DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Muskhelishvili, D. / მუსხელიშვილი, დ. / Мусхелишвили, Д. Л.
- Title: ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა / Археологический метриал поселения Ховлегора
- Publication Date: 1978
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_0a410dbfe6

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

## Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.



დავით მუსხელიშვილი

# ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა

«მეცნიერება» 1978

IVE
4040

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს არქეოლოგიური კომისია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

დავით მუსხელიშვილი

# ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა

19476





გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1978



902.6 (с 41)
902.6(47.922)
ბ 936

მონოგრაფია ეძღვნება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლის, ხოვლეგორის ნამოსახლარის გათხრებს. ხოვლეგორა პირველხარისხოვანი ძეგლია აღნიშნული ეპოქის საქართველოს არქეოლოგიისათვის და ამიტომ გათხრილი მასალის მონოგრაფიულ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უძველესი ხანის ისტორიის რიგი კარდინალური საკითხების კვლევისათვის. კერძოდ, ხოვლეგორის ნამოსახლარის მატერიალური კულტურის შესწავლის საფუძველზე მონოგრაფიაში დასმულია ქართველ ტომთა აბორიგენობისა და მათი კულტურული ურთიერთობის პრობლემები ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან.

ბ 10602
M 607 (06)—78 235—78

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ხოვლეგორის არქეოლოგიური გათხრა ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა 1954—1961 წლებში. საველე სამუშაოები საკმაოდ ფართოდ გაიშალა: ითხრებოდა, როგორც საკუთრივ „გორა“, ასევე მის გარშემო მდებარე ნასოფლარი, აგრეთვე მოშორებით განლაგებული საწარმოო უბანი, სამაროვანი და სხვა ობიექტები[1]. გათხრის დამთავრების შემდეგ, რამდენადაც განზრახული იყო არქეოლოგიურ სამუშაოთა შედეგების მონოგრაფიული შესწავლა, მოპოვებული მასალის მეცნიერული დამუშავება ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ ცალკეული არქეოლოგიური ობიექტებისა და მათი შესწავლის საფუძველზე წამოჭრილი ძირითადი ისტორიული პრობლემების მიხედვით იყო დაგეგმილი. მართლაც, ყველაფერი ეს შესრულდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის 1962—1963 წწ. სამეცნიერო კვლევითი გეგმის მიხედვით და ჩატარებული კვლევის შედეგები მოხსენდა ინსტიტუტის საგანგებო სამეცნიერო სესიას[2].

საკუთრივ ხოვლეგორის ნამოსახლარის („გორის“ და ნასოფლარის) განათხარი მასალის მონოგრაფიული შესწავლა ნ. ბერძენიშვილმა მე დამავალა. ამის შედეგია წინამდებარე ნაშრომი, რომელიც შესრულებულ იქნა 1962—1963 წწ-ში. მისი ძირითადი შედეგები მოხსენდა იმავე სესიას[3].

ექსპედიციის ხელმძღვანელის სურვილი — ხოვლეგორის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები გამოქვეყნებულიყო ერთიანი კოლექტიური მონოგრაფიის სახით, რომელსაც წინ უნდა წამძღვარებოდა თეორიული გამოკვლევა „გორათა“ შესახებ — მისი გარდაცვალების გამო (1965 წ.) ვერ შესრულდა. ამის განხორციელება სხვადასხვა მიზეზების გამო შემდგომ უახლოეს წლებშიც ვერ მოხერხდა. ეს ფრიად სამწუხარო ფაქტია.

ამჟამად, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის დადგენილებით, გადაწყდა ამ ნაკლის გამოსწორება. რამდენადაც ტექნიკური მიზეზების გამო ხოვლეგორის ექსპედიციის შედეგების ერთიანად გამოქვეყნება ვერ ხერხდება, ამიტომ პირველ რიგში მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ძეგლის ძირითადი არქეოლოგიური მასალის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა. ამან განაპირობა წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნება პირველ ნაკვეთად.

---

[1] დეტალური მეცნიერული ანგარიში ხოვლეგორის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ წარმოდგენილი იქნება ცალკე, ექსპედიციის შედეგებისადმი მიძღვნილი გამოკვლევის მეორე ნაწილში.

[2] ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, 1964 წ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1964.

[3] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, გვ. 5—8.

გამოკვლევა „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა“, ორიოდე სქოლიოს გამოკლებით, იბეჭდება უცვლელად ისევე, როგორც შესრულებულ იქნა იგი 1963 წ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნამოსახლარის კულტურული ფენის ცალკეული სამშენებლო ჰორიზონტების დათარიღებისას, არსებითად, ვეყრდნობოდით იმ ქრონოლოგიურ შკალას, რომელიც რ. აბრამიშვილმა შეიმუშავა აღმოსავლეთი საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქისათვის[4]. სულ უკანასკნელ ხანში კ. ფიცხელაურმა წარმოადგინა სხვაგვარი თვალსაზრისი ზემოხსენებული არქეოლოგიური პერიოდის ძეგლების ქრონოლოგიის შესახებ[5], რომლის გაზიარების შემთხვევაში საჭირო შეიქნება ხოვლეს ნამოსახლარის უძველესი ჰორიზონტების რამდენადმე გაახალგაზრდავება. რამდენადაც, ჯერჯერობით, პრობლემა სადავოა, ჩვენ ძველი ქრონოლოგიის ფარგლებში ვრჩებით.

აქვე, ტექსტის უკეთ გაგებისათვის გვინდა შევნიშნოთ: ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალის საველე ნუმერაცია ობიექტების მიხედვით ერთი არ იყო. ამიტომ ტაბულებზე ნაჩვენები მასალის წარმომავლობის გარკვევისათვის უნდა ვიცოდეთ, რომ, თუ რომელიმე ნივთის რიგით ნომერს არ ახლავს რაიმე სხვა ინდექსი (მაგ., № 2337), ეს ნიშნავს, რომ იგი აღმოჩნდა ნამოსახლარ ბორცვზე („გორაზე“); თუკი ნივთის რიგით ნომერს ბოლოში თან ახლავს დეფისით გამოყოფილი ლათინური მთავრული N ან S (მაგ., № 2347— N ან № 565— S), ე. ი. იგი აღმოჩენილია სამოსახლო ბორცვის („გორის“), შესაბამისად ჩრდილოეთიდან ან სამხრეთიდან მიმდებარე ნასოფლარზე; რადგან 1961 წლის კამპანიის დროს აღმოჩენათა ნუმერაცია თავიდან დაიწყო, ამიტომ სხვადასხვა ნივთების ნომერთა დამთხვევის თავიდან ასაცილებლად 1961 წ. აღმოჩენილ ნივთს ბოლოში აქვს დეფისით გამოყოფილი ინდექსი —61 (მაგ., № $273_1$—61). ასეთივე ინდექსი უკეთდება, მაგალითად, 1961 წ. ჩრდილო ნასოფლარზე აღმოჩენილ ნივთს (მაგ., № 392—61— N). დაბოლოს, არცთუ იშვიათად შეგვხვდება ტოლობის ნიშნით გაერთიანებული სხვადასხვა რიგითი ნომრებით აღნიშნული ნივთები (მაგ., № 1943 = 2216 = 2223 ან № $2363_2$ = 300—61). ამგვარადაა აღნიშნული ერთი და იგივე ნივთის (მაგ., ჭურჭელი) რამდენიმე ფრაგმენტი, აღმოჩენილი სხვადასხვა ადგილას ან სხვადასხვა დროს.

განათხარი მასალის ფოტოსურათები გადაიღო ფოტოგრაფმა მ. კოზლოვსკიმ, ხოლო ნახატები შეასრულა მხატვარმა ვ. კანდელაკმა. ნახატები წარმოდგენილი XIII ტაბულაზე ეკუთვნის მხატვარ ნ. ბაბაიანს.

---

[4] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A, XXI—B, 1957.

[5] კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV—VII სს.), თბ., 1973.

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლარი, რომლის თხრის შედეგად მოპოვებული მასალის შესწავლას ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევა, მდებარეობს კასპის რაიონში, სოფ. ხოვლეს მახლობლად, მისგან ორიოდე კმ-ზე ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი მოიცავს ბორცვზე განლაგებულ ძველ გვაროვნულ სამოსახლოს („გორას“) და მის გარშემო დროთა ვითარებაში წარმოქმნილ ნასოფლარს. ადგილობრივი მოსახლეობა სამოსახლოდ გამოყენებულ ზემოხსენებულ ბორცვს „ხოვლიგორას“ ან „ხოვლეგორას“ უწოდებს.

ისევე, როგორც ეს ჩვეულებრივია ყველა ძველი ნამოსახლარისათვის (ცხადია, ქვის ხანის გამოკლებით), ხოვლეშიც განათხარი მასალის უდიდეს ნაწილს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები წარმოადგენს.

ხოვლური ჭურჭელი, დაწყებული დღეს ცნობილი უძველესი ჰორიზონტიდან უახლესამდე, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, რომელსაც ქვემოთ საგანგებოდ აღვნიშნავთ, მთლიანად სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული. თიხა თითქმის ყოველთვის წვრილსილანარევია, ერთგვაროვანი. უფრო მსხვილკენჭნარევი თიხაც გვხვდება, მაგრამ იშვიათად. წმინდად გაცრილი ანუ ძლიერ დაწმენდილი თიხისაგან ნამზადი პროდუქცია ფრიად იშვიათია ქვედა ჰორიზონტებში, მაგრამ გვიანდელ პლასტებში ჭურჭლის ამგვარი კეცი საკმაოდ ხშირია.

რაც შეეხება ხოვლური კერამიკის გამოწვის ტექნიკას, სრულიად გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჭურჭლის შავად ან ლეგად გამოწვა, უმეტეს შემთხვევაში, კეცის ზედაპირის სათანადო გაპრიალებით, თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში, მეტწილად გავრცელებული ხერხი ყოფილა ხოვლეგორის უძველესი მოსახლეობისათვის.

იშვიათია შემთხვევები, როდესაც ჭურჭლის კეცი გამომწვარია წაბლისფრად ან მოწითალოდაც კი, ხოლო ზედაპირი, როგორც ჩანს, საგანგებოდ (შებოლვით) გაპრიალებულია შავად (№№ 2361—VII; 71—61—VI; და $29_1$—61; $2280_2$—V ჰორიზონტები). გვხვდება წაბლისფერზედაპირიანი ჭურჭელიც. კერძოდ, ორი ასეთი მუქწაბლისფრად გაპრიალებული ქოთანი აღმოჩნდა უძველეს VIII ჰორიზონტში (№№ 289—61; 273—61).

საკმაო რაოდენობა ღიაწაბლისფრად გაპრიალებული კერამიკული ნატეხებისა გვხვდება შემდგომ ჰორიზონტებშიც და ეს გარემოება თითქოს აშკარად მიუთითებს, რომ შავლეგა ჭურჭლის გარდა, ამ დროს ხოვლეგორაზე წაბლისფერ კერამიკასაც ამზადებდნენ. შესაძლებელია ეს ასეც იყო, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი სიფრთხილეს გვიკარნახებს.

ჯერ ერთი, არის მთელი რიგი წაბლისფერი ნატეხებისა, რომელთაც აშკარად ეტყობათ გადაწვის კვალი (არათანაბარი გამოწვა, კეცის ზედაპირის დასკდომა და ახეთქვა, გაწიდების ნიშნები). ამგვარი მოვლენა შესაძლებელია ხანძრის შედეგი ყოფილიყო, მით უმეტეს რომ ხოვლეგორაზე ნახანძრევი შრეები არცთუ იშვიათია, ხოლო VI ჰორიზონტი კი მთლიანად ხანძრის შედეგადაა დანგრეული. მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ასეთი გამოწვა წუნს

წარმოადგენდეს, თუნის შიგნით ტემპერატურის აწევისა ან სხვა რაიმე გარემოების გამო.

კიდევ უფრო საინტერესოა ისეთი ფაქტები, როდესაც კერამიკული ნატეხებისავან ჭურჭლის ან მისი ნაწილის შეკოწიწების დროს აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ნატეხები ერთი და იგივე ჭურჭლისა სხვადასხვაფრადაა გამომწვარი: ზოგი შავად ან ლეგად, ზოგი — წაბლისფრად. თანაც ფერთა განსხვავების საზღვარი შეკოწიწების ხაზს ემთხვევა ანუ ზედ ჭურჭლის ვადანატეხზე მოდის. ეს, ცხადია, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჭურჭელი, თავდაპირველად შავად ან ლეგად გამომწვარი, ოდესღაც დამტვრეულა, ხოლო მიწის ზედაპირზე თუ ოთახის იატაკზე მიმოფანტული ნატეხების ნაწილი შემდეგ, ალბათ ხანძრის შედეგად ცეცხლში მოხვედრილა და ხელმეორედ, ახლა უკვე წაბლისფრად, გამომწვარა[1].

ამას აშკარად მოწმობს № 2363$_2$=300—61 (ტაბ. V) პირმოყრილი ქოთნის ნატეხები (VII ჰორიზონტი) ანდა № 2382 (ტაბ. VI). დერგის პირი (VII ჰორიზონტი); № 42—61 (ტაბ. XVIII) შავპრიალა ჯამი (VI ჰორიზონტი); № 1943=2223=2216 (ტაბ. XXXII) დიდი დერგის (?) პირის ნატეხები (V ჰორიზონტი) და სხვ. ასეთი მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება.

მსგავსი ვითარება გვაქვს IV ჰორიზონტშიც. აქ ერთ-ერთი ოთახის იატაკზე ნაპოვნი ჭურჭლებიდან (იხ. ქვემოთ) ყველა შავად ან ლეგადაა გამომწვარი, მხოლოდ ერთი ორყურა მოხდენილი ქოთანი (№ 1955) წაბლისფრადაა გაპრიალებული და მასაც ერთ გვერდზე არათანაბარი გამოწვის გამო შავპრიალა ლაქა აქვს. ამ ოთახს (ოთახი № 1) ხანძრის კვალი არ ეტყობა და ამიტომ ეს უკანასკნელი ჭურჭელი, უეჭველია, საგანგებოდაა დამზადებული.

რაც შეეხება ამავე IV ჰორიზონტის № 2 ოთახს, რომელიც ხანძრის შედეგად დანგრეულა, აქ ჭურჭელთა უმეტესობა ღიაწაბლისფრადაა გამომწვარი და მათი აღდგენილი ნაწილები ისეთსავე ფაქტს გვიდასტურებენ, როგორც ზემოთ VII—V ჰორიზონტების ჭურჭლის შესახებ აღვნიშნეთ (№ 1973; № 1974). ერთ-ერთი აღდგენილი ჭურჭელი ამ ოთახიდან შავპრიალაა (№ 1975). მსგავსი ფაქტები გვაიძულებენ ვაღიაროთ, რომ ხოვლეგორის უძველეს ჰორიზონტებში უმეტესწილად შავი ან ლეგა ფერის ჭურჭელი მზადდებოდა, თუმცა წაბლისფერი კერამიკის საგანგებო დამზადების თითოოროლა შემთხვევაც აშკარად გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ III ჰორიზონტში იმთავითვე ჩნდება „წითლადგამომწვარი“ კერამიკა, რომელიც შავლეგა ჭურჭელთან ერთად თანაარსებობს დაახლოებით ერთნაირი შეფარდებით, ხოლო შემდგომ პერიოდში აშკარად კიდევაც სჭარბობს ამ უკანასკნელს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს წითლადგამომწვარი ჭურჭელი საგანგებოდაა დამზადებული და სწორედ ამ ჯურის კერამიკას ახასიათებს კარგად გაცრილი, დაწმენდილი თიხა.

[1] არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ქოთნის ან დერგის და სხვ. ნატეხები ორ მომიჯნავე ოთახში ყრია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საყოფაცხოვრებო დეტალი: № 1931 ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა 1958 წ SW სექტორის $D_{6-9}$ კვადრატებში, IV ჰორიზონტში. 1960 წ. ოთახი № 1-ის ღუმლის პრეპარაციის ს მის შელესილობაში აღმოჩნდა უამრავი ნატეხი კერამიკისა (№ 2371), რომელთაგან ზოგიერთი მიუდგა ზემოაღნიშნულ ნატეხებს, რის შედეგადაც აღდგენილ იქნა დიდი შავპრიალა დერგის ნაწილი. IV ჰორიზონტის № 1 ოთახი მოთავსებულია დაახლოებით $F_{7-8}$—$G_{7-8}$ კვადრატებში და ე. ი $D_{6-9}$ კვადრატებს დაახლოებით 4 მ-თაა დაშორებული. ეს მოწმობს, რომ ამ ზონაში ($D_{6-9}$) IV ჰორიზონტის დროს ნაგებობა კი არ მდგარა, არამედ ცარიელი ადგილი იყო, „ეზო“, სადაც, როგორც ჩანს, ეყარა ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც IV ჰორიზონტის № 1 ოთახის მოსახლემ თავისი ღუმლის აგებისას გამოიყენა.

# თავი I

## ჰორიზონტი ხოვლე VIII

### კერამიკა

(ტაბ. I—III)

უძველესი VIII ჰორიზონტი ხოვლეგორაზე სუსტადაა გამოვლენილი. ამიტომ მისი შესატყვისი განათხარი მასალაც, უმთავრესად კერამიკა, მცირე რაოდენობითაა მოპოვებული. ეს არის, ძირითადად, შავი და ლეგა ფერის ჭურჭელი. აღსანიშნავია, რომ უკვე ამ ჰორიზონტში წარმოდგენილი არის თითქმის ყველა ძირითადი ფორმა ხოვლური ჭურჭლისა, რომელიც მომდევნო ჰორიზონტებშიც გვხვდება.

დ ე რ გ ე ბ ი წარმოდგენილია ლეგად გამომწვარი, მოხდენილი კვერცხისებური ფორმის ჭურჭლით, (h=35) ბაკოგადმოზნექილი დაბალი ყელით, ვიწრო ბრტყელქუსლიანი ძირით და განიერ მუცელზე ორი მოზრდილი ბრტყელ-ოვალური ყურით. მხრისა და მუცლის საზღვარზე ჭურჭელს სამი წვრილი და თხელი კონცენტრული ღარის ვიწრო სარტყელი შემოუყვება. ხოლო ამ სარტყელსა და ყელს შორის დარჩენილი არე მხრისა შემკული აქვს დაწნევით დატანილი წვრილი პრიალა დამრეცი ხაზებით (№ 264—61). ეს დერგი ჩადგმული იყო VIII ჰორიზონტის „საკურთხევლიანი ოთახის“ იატაკში.

დ ო ქ ე ბ ი. იქვე აღმოჩენილია ლეგაპრიალა დოქის პირის ნატეხი, რომელსაც ყელის ძირში, მხარზე სამი თხელი ღარის სარტყელი შემოუყვება. ბაკო ძლიერადაა გადმოზნექილი. მაღალი რკალური ყური უშუალოდ პირთან არის შეერთებული და მისი ზურგი დამახასიათებელი, თხელი და ფართო ირიბი ღარებით ისეა დასერილი, რომ ყურის ზურგი „გრეხილის“ შთაბეჭდილებას ტოვებს (№ 273$_1$—61).

ქ ო თ ნ ე ბ ი. იმავე „საკურთხევლიან ოთახში“, საკურთხევლის წინ იდგა შესანიშნავი, წაბლისფრად გაპრიალებული ქოთანი (№ 289—61). ჭურჭლის ფორმა იმეორებს დერგებისას, მხოლოდ უფრო დაბალია (h=27) და ამავე დროს პირფართოც. ბრტყელი ძირი კი უფრო ვიწროა. ქოთნის მხარზე დატანილია სხვადასხვა ხასიათის ორნამენტული სახეები: დაწნევით, პრიალა ხაზებით შექმნილი დაშტრიხული სამკუთხედების რიგი და წვრილად და მკვეთრად ამოკვეთილი თევზიფხური „კიბეები“ და რომბულუჯრედებიანი ბადე.

მთელი ეს ორნამენტული სარტყელი მოთავსებულია თხელ- და წვრილღაროვან კონცენტრულ წრეხაზებში. ამას გარდა ქოთნის დაბალ ყელს კიდევ სამი წვრილი კონცენტრული, ამოღარული სარტყელი შემოუყვება.

ქოთანს სამი სიმეტრიულად განლაგებული „ყური“ აქვს მხრისა და მუცლის საზღვარზე. ფაქტიურად, ეს ყურები კი არ არის, არამედ შემკულობის ერთ-ერთი ხერხია. ესაა დაბალი რელიეფის, ასე ვთქვათ, მუთაქისებური მინაძერწები ქოთანზე, რომლებიც ზემოდან ღრმა და ფართო სწორი ან ირიბი ნაჭდევებითაა დასერილი, რაც მათ უნაგირის მსგავს ფორმას აძლევს. რადგან მსგავსი „ყურები“ შემდეგ ჰორიზონტებშიც შეგვხვდება, ამიტომ სიმარტივისათვის ჩვენ მათ „უნაგირისებურ ყურებს“ ვუწოდებთ. ზემოაღნიშნული ქოთნისათვის დამახასიათებელი ის არის, რომ ერთი მისი „ყური“ შედგება ორი „უნაგირისაგან“, მეორე — სამისაგან, ხოლო მესამე — ოთხისაგან. ესეც, რა თქმა უნდა, მათ ორნამენტულ მნიშვნელობაზე მიუთითებს და არა პრაქტიკულ დანიშნულებაზე.

კიდევ ერთი ასეთი „უნაგირისებური ყური“ შემოგვინახა VIII ჰორიზონტმა. იგი შავპრიალა ქოთნის ან დერგისა უნდა იყოს, რომელიც ამას გარდა ირიბწერტილოვანი შტრიხების სარტყლით ყოფილა შემკული (№ 307—61).

VIII ჰორიზონტის „საკურთხევლიან ოთახშივე“ აღმოჩნდა მეორე მსგავსი წაბლისფრად გაპრიალებული ქოთანი შემკული ყელის ძირსა და მხარზე შუასიგანის თხელი კონცენტრული ღარებით (№ 273—61). ქოთანს პირი არ შემორჩენია.

საინტერესოა ლეგაპრიალა უყელო, ბაკოგადმოზნექილი სქელკეციანი ქოთნის ფრაგმენტების შემკულობა: მხარეზე თხელი ღარის სარტყელი, ზედ ერთმანეთთან მიჯრილი ე. წ. „ფრჩხილის ორნამენტის“ ჭდეული სარტყლით. მხრისა და მუცლის საზღვარზე — კონცენტრულ ღარებში ჩასმული ამოღარული, „სავარცხლით“ დატანილი ტალღისებური სარტყელი „ფრჩხილის ორნამენტთან“ ერთად. მხარზე ამ ორ ზემოხსენებულ სარტყელს შორის გრძელი, მკვეთრად ნაჭდევი შტრიხებით შექმნილი სამკუთხედები (ორ-ორი ერთად). ორნამენტი საკმაოდ ულაზათო ნახელავია (№ $309_2$—61).

სხვა შავპრიალა ფრაგმენტის მიხედვით, ქოთნის ღრმა და განიერი სარტყლებით შემკობაც ცოდნიათ (№ $309_1$—61). ამ ხერხს ჩვენ უფრო გვიანაც შევხვდებით. ფრიად საინტერესოა ამ ჰორიზონტში ქოთნის ერთი ტიპის დადასტურება. სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი და ისიც თავის დროზევე, როგორც ჩანს, სანაგვე ორმოში ჩაყრილი. ესაა უყელო, ბაკოგადმოზნექილი სფერული მოყვანილობის შავად გამომწვარი „სამზარეულო“ ქოთანი, რომლის მთელი ტანი დაფარულია თხელი, მაგრამ მკვეთრი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი კონცენტრული ღარებით. ასეთივე ღარებით თუ სპირალით დაფარულია ქოთნის ბრტყელი ძირი. ამას გარდა, მხარზე ორმწკრივად გასდევს მკვეთრად დატანილი „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყელი. ასეთივე ჭდეები შემოსდევს ძირის კიდეს ისე, რომ იქმნება შთაბეჭდილება რელიეფურ-გრეხილი სარტყლისა. ამას გარდა, ჩვენს ცალს ქვედა ტანზე, ძირთან ახლოს მოკლე ვერტიკალური თხელი ხაზებიც ჰქონია ჩამოსმული კონცენტრულ ღარებზე (№ 303—61). ეს ფრაგმენტები განეკუთვნება იმ ჭურჭელს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ღაროვან-ფრჩხილისებური ორნამენტით შემკულ ქოთნებსა თუ ქვაბქოთნებს. ზემოხსენებული ქოთნის ფრაგმენტებთან ერთად იმავე ორმოში აღმოჩნდა მსგავსი ჭურჭლების სხვა ფრაგმენტებიც (№ $303_1$—61; № $303_2$—61).

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი. დაბალი, ($h = 16$) პირფართო ($d = 26$) და ძირვიწრო, შავადგამომწვარი გვერდწიბოიანი ჭურჭელი, გადაზნექილი ბაკის ქვეშ ორი

თხელი და განიერი ღარის სარტყლით. ზედატანი და ქვედატანის ნაწილი კარგად გაპრიალებულია. ქვედატანზე ძირამდე ფართო პრიალა სხივებითაა შემკული. ბრტყელი ძირი, ფაქტიურად, ქუსლს წარმოადგენს, რომლის ბაკოც ოდნავ დიფერენცირებულია. ჭურჭელი კარგი ნახელავია (№ 262—61).

მეორე ტიპის ქვაბჭოთანა (№ 274—61) პატარა მოცულობისაა (h = 17), ერთი ბრტყელ-ოვალური ყურით მუცელზე. ყურის თავზე „რქისებური“ დანაძერწით. ეს არის ჩვეულებრივი, დროის დიდ მონაკვეთზე გავრცელებული ტიპი ქვაბჭოთნებისა. იგი შემკულია მხარზე დატანილი მკვეთრი, ირიბი „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყლით, რომელიც მოთავსებულია ღარებს შორის. ქვედა ღარი მკვეთრი და ღრმაა. ტანი შემკულია წვრილი პრიალა მერიდიანული ხაზებით. ამგვარი ქვაბჭოთნები, ჩვეულებრივ, „სამზარეულო“ ჭურჭელთა რიგს განეკუთვნება. ორივე ზემოხსენებული ჭურჭელი „საკურთხევლიანი ოთახის“ იატაკში იყო ჩადგმული. ასეთივე ქვაბჭოთნის ფრაგმენტი, მხოლოდ ხელით ნაძერწი, აღმოჩნდა ამავე ფენის სანაგვე ორმოში (№ 309$_5$—61).

ტ ო ლ ჩ ე ბ ი. საკმაოდ ულაზათოდ ხელით ნაძერწია მოზრდილი ტოლჩა თუ კათხა, რომლის მხოლოდ ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე. ოდნავ გამობერილ მუცელზე ძლიერ მორკალური მოკლე ყური აქვს. ყურის თავზე, მცირედ გადაშლილი პირის სწორად, რქისებური წანაზარდებია მიძერწილი. ტოლჩა ბაცი წაბლისფერია, მაგრამ ალაგ-ალაგ შავი ლაქები აქვს და შავადაცაა გამომწვარი. ზოგან კეცი დახეთქილია, როგორც ჩანს, სიმხურვალისაგან. რადგან ეს ჭურჭელიც აღმოჩენილია „საკურთხევლიანი ოთახის“ იატაკზე და, იქ ხანძრის ვარაუდი გამორიცხულია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ტოლჩა ქურაში გამოწვის დროს „გადამწვარა“ და ე. ი. ფაქტიურად, წუნს წარმოადგენს (№ 274$_1$—61).

„რქებიანი ყურები“, რომლებიც, ჩვეულებრივ, ზემოხსენებული ქვაბჭოთნებისა და ტოლჩებისთვისაა დამახასიათებელი, დიდ ჭურჭელსაც უკეთდებოდა (№ 307$_2$—61). განსაკუთრებით საინტერესოა დიდი ზომის სქელკეციანი შავპრიალა ჭურჭლის ყური, რომელიც მხარზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. წრიულგანივკვეთიანი ეს ყური დაბალია, თავზე სამი წაკვეთილი „რქა“ აქვს ჯვრისებურად განლაგებული. ყურის თავი ჭურჭლის მხართან შეერთებულია მაღალი და ვიწრო წიბოს მეშვეობით. მხარზე ჭურჭელს, როგორც ჩანს, წვრილი შტრიხების ჰდეული თევზიფხური სარტყელი შემოუყვებოდა (№ 270—61).

ქ ი ლ ე ბ ი ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ერთი შავად გამომწვარია, უყელო. ბაკოს ქვეშ ორი თხელი და წვრილი ღარის სარტყლით. ხელითაა ნაძერწი (№ 267—61).

ჯ ამ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი. ამ ჯგუფის ჭურჭლის მხოლოდ ერთი ნატეხია აღმოჩენილი. ეს არის შავად გამომწვარი, პირგადაშლილი ღრმა ლანგრის ნატეხი. შიგნიდან შავპრიალაა, გარედან — წაბლისფერი. კარგი ნახელავია. ქიმზე გარედან ორი თხელი ღარითა და ჰდეული ტალღისებური სარტყლით ყოფილა შემკული. შემკული ჰქონია ძირიც: წვრილი „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყელი — სრულიად უჩვეულო ჯამ-ლანგრებისათვის. ძირს გარედანვე კარგად ეტყობა ჩარხზე ნაკეთობის კვალი. შესაძლებელია ეს წვრილი და ხშირი ღარების სარტყლები აგრეთვე შემკობის საგანგებო ხერხი იყო (№ 307$_1$—61).

აღსანიშნავია აგრეთვე ხელით ნაძერწი ფრაგმენტი პატარა ჭურჭლისა, რომელსაც ზედა ნაწილი ოდნავ უნდა აკლდეს. შესაძლებელია იგი ფ ი ნ ჯ ნ ი ს

მაგვარი ჭურჭლის ფრაგმენტი იყოს (№ 309—61). არის მეორე ამგვარივე, უფრო მოზრდილი ჭურჭლის ძირის ნატეხი (№ 309$_4$—61). ორივე ფრაგმენტი VIII ჰორიზონტის სანაგვე ორმოდანაა.

### ქანდაკება

VIII ჰორიზონტის „საკურთხეველიან ოთახში“ ზედ საკურთხეველზე იდო მსხვილკენჭნარევი თიხისა და ბზის ნარევისაგან ე. ი. ალიზისაგან გამოძერწილი გამოუწვავი ქანდაკება ცხვრის თავისა, რომელიც სამწუხაროდ, დაზიანებული იყო და რამდენიმე ნაწილად დაიშალა (№ 271—61).

უეჭველია, რომ ცხვრის თავი საკურთხეველზე ძველი ხოვლეგორელების კულტის მანიშნებელ რელიკვიას წარმოადგენდა.

### ჭვის ნაკეთობა

თიხის ნაწარმის გარდა, ხოვლეგორის VIII ჰორიზონტმა შემოგვინახა კაჟის ერთადერთი ჩასართი, რომელიც აგრეთვე საკურთხეველთან იდო. ჩასართი მოხდენილი ფორმისაა: გრძელი, ვიწრო და თხელი. კბილები ორივე მხრიდან გაპრიალებული აქვს, რაც მოწმობს, რომ იგი ხანგრძლივად ყოფილა ხმარებაში. საფიქრებელია, ეს იყოს კაჟის ნამგლის ჩასართი (ტაბ. LXI, № 283—61).

### ძვლის ნაკეთობა

აქვე ნაპოვნია დამწვარ-გაშავებული ძვლის გახვრეტილი ფალანგა, რომელიც აგრეთვე საკურთხეველზე იდო (ტაბ. LXI, № 284—61).

## თავი II.

## ჰორიზონტი ხოვლე VII

### კერამიკა

(ტაბ. IV—XII)

VII ჰორიზონტი აგრეთვე ფრაგმენტულადაა შემორჩენილი ხოვლეგორის განათხარ უბანზე. ჭურჭლის უდიდესი ნაწილი კვლავ შავი და ლეგა ფერისაა, მაგრამ VIII ჰორიზონტთან შედარებით აქ ახალი ფორმებიც გვხვდება.

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი. ამ ჰორიზონტმა შემოგვინახა რამდენიმე ფრაგმენტი ქვევრისა( თუ ქვევრებისა?). ესაა მსხვილკენჭნარევი თიხის სქელკედლიანი (1.5) ნატეხები. განიერი და სქელი ბაკო უშუალოდ ქვევრის მხარზეა გადმოკეცილი. მხარზე სამი რელიეფური ხაზის კონცენტრული სარტყელი შემოუყვება. ქვევრი მოწითალოდაა გამომწვარი და ბაცი წაბლისფერი ზედაპირისაა. იგი აშკარად გადამწვარია — მისი პირი გაწიდებულია სიმხურვალისაგან — და, ცხადია,

წუნს წარმოადგენს (№ 265—61). ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ იგი სანაგვე ორმოში იქნა აღმოჩენილი.

დ ე რ გ ე ბ ი. იმავე სანაგვე ორმოში აღმოჩნდა შავპრიალა დიდი (h=40) დერგის ნატეხები, რომელთა რესტავრაციის შედეგად აღდგენილ იქნა ჭურჭლის ფორმა. ამ ჭურჭლისათვის ისევე, როგორც VIII ჰორიზონტის მსგავსი ცალისათვის დამახასიათებელია კვერცხისებური, მოხდენილი ფორმა, მაღალი ყელი, გადმოზნექილი და გასქელებული ბაკო, ვიწრო და ბრტყელი ძირი. განიერ მხრებზე ამოკვეთილი ორნამენტი: ორ კონცენტრულ, შუასიგანის თხელ ღარებს შორის მოთავსებული წვრილი და მკვეთრი შტრიხებით დატანილი ორმაგი თევზიფხური სარტყელი (№ 290—61).

ორყურა დერგიც იმავე ფორმას იმეორებს, მხოლოდ აქ მხრებიც და ქვედატანიც შემკულია შუასიგანის პრიალა მერიდიანული ხაზების კონებით (№ 291—61).

სხვა, ფრაგმენტულად მოღწეული დერგის პირები იგივე პროფილს იმეორებენ და ყელის ძირში ან ამოღარული ტალღური (№ 2382) ანდა მარტივი ღარების სარტყლით არიან შემკული (№№ $2363_1$; $2368_6$; 2361; 294—61). ერთ შემთხვევაში მხარზე დამატებით განიერი, მსხვილი წერტილებით შექმნილი ირიბშტრიხოვანი სარტყელია დატანილი (№ $269_2$—61).

მხოლოდ ერთი ლეგად გამომწვარი შავპრიალა დიდი დერგის პირი სრულიად სხვაგვარი პროფილისაა. შვეული ბაკო მეტად სქელია და მაღალი, კეციც საკმაოდ სქელია (№ $2368_2$). ამგვარი ჭურჭელი (ქოცო?) ჩვენ შემდგომ ჰორიზონტებშიც შეგვხვდება.

დ ო ქ ე ბ ი. დოქისებური ჭურჭლის სულ რამდენიმე ცალმა მოაღწია და ისიც ფრაგმენტების სახით. ეს არის ჭურჭლის ყელის ნატეხები შემკული მკვეთრი ღარებით, შვეული ან ოდნავ გადმოზნექილი ბაკოთი (№№ 318—61; $2381_1$). ერთ შავპრიალა ცალს, რომლის ყელი ძლივს შესამჩნევი გაუპრიალებელი ღარებითაა შემკული, ბაკო მკვეთრად აქვს გადმოზნექილი და ბაკოს პირზე ზემოდან კიდევ ერთი წვრილი, თხელი ღარი შემოუყვება (№ $2379_{32}$).

VII ჰორიზონტიდანვე გვაქვს მაღალი და წვრილყელიანი ს უ რ ი ს (?) ფრაგმენტი, რომელსაც პირი, როგორც ჩანს, უფართოვდებოდა (№ $2363_4$) ეს არის ერთადერთი ფრაგმენტი ამგვარი ჭურჭლისა ხოვლეგორის ძველ, ქვედა ჰორიზონტებში. ამავე რიგის ჭურჭელს უნდა მიეკუთვნოს რამდენიმე შავპრიალა ფრაგმენტი ერთ-ერთ მათგანზე ყურის ძირის ნაშთით. ეს უნდა იყოს ხ ე ლ ა დ ი ს მხრის ნატეხები, შემკული მკვეთრად ამოკვეთილი ორნამენტით: კონცენტრული ღარებით შემოწერილ არეში ბადისებურად დაშტრიხული, ფუძეზე მდგარი სამკუთხედების წყება (№ $2363_{7,\ 17-18}$).

ქ ო თ ნ ე ბ ი. ამ ჰორიზონტიდან გვაქვს ლეგად გამომწვარი წაბლისფერპრიალა საშუალო ზომის (h=26) სფერული მოყვანილობის ბრტყელძუსლიანი ქოთანი. გაპრიალებულია მთელი ტანი. დამახასიათებელია თვით გაპრიალების ტექნიკა: ზედა ტანზე საპრიალებელი წაუსვამთ განივი ანუ წრიული მიმართულებით, ხოლო ქვედა ტანზე, იმ ხაზიდან საიდანაც ქოთნის კორპუსი იწყებს შევიწროებას, საპრიალებელი სიგრძივ ანუ მერიდიანული მიმართულებით უსვიათ. გაუპრიალებელია მხოლოდ ჭურჭლის დაბალი ყელი, რომელიც დასერილია წვრილი და თხელი, ძლივს შესამჩნევი წრიული ღარებით. მხარზე ქოთანი შემკულია პარალელურ ღარებში ჩასმული „სავარცხლით“ დატანი-

ლი ტალღური სარტყლით. ორნამენტი მკრთალად, მაგრამ ლაზათიანადაა დატანილი. საერთოდ ქოთანი კარგი ნახელავია (№ 295—61).

სამწუხაროდ, სხვა ქოთნების ფორმის აღდგენა არ მოხერხდა. მათი მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომელთა შემკულობა სხვადასხვა ხასიათისაა: თევზიფხური სარტყელი (№ $2368_3$), პრიალა რომბულუჯრედებიანი ბადე მხარზე (№ $269_1$—61) ან დაწნევით დატანილი მერიდიანული საზების კონები (№ 2369). ზოგიერთი სფერულმუცლიანი ქოთნის მთელი ტანი შემკულია კონცენტრული რელიეფური წიბოებით, რომლებიც, თავის მხრივ, დაჭდეულია „ფრჩხილისეული“ ორნამენტით, რაც გრეხილ სარტყლებს მიემსგავსება (№$318_3$—61). თხელი რელიეფური წიბოებითაა შემკული კიდევ ორი ქოთნის მუცლის ნატეხი, რაც მათ ტეხილ კონტურს აძლევს (№ $306_1$—61; $2369_?$).

განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ქოთნის ფრაგმენტები ორმაგი, მკვეთრი თევზიფხური სარტყლით გადმოზნექილი ბაკოს ქვეშ (№ 269—61). ერთ ნატეხს ბრტყელღვალური ყური აქვს შერჩენილი, რომელსაც თავზე თითქოს ცხოველის დაცქვეტილი ყურები ადევს, ხოლო მათ შორის კი მეჩეჩისებური მინაძერწია. ზურგზე ჩამოუყვება სამი, შუასიგანის, თხელი, მაგრამ წიბოებით კარგად გამოყოფილი ღარი. ქოთანი კარგი ნახელავია.

აქ პირველად გვხვდება ქოთნის ბაკოს შემკობის წესი. ერთი დიდი ქოთნის ნატეხი (№ $318_{10}$—61) გვაძლევს საშუალებას ამგვარი შემკობის ერთ-ერთი ხერხი წარმოვიდგინოთ: უკვე დამზადებულ ქოთანს გამოწვამდე გლუვ, გადმოზნექილ ბაკოზე მთელი პირის ირგვლივ ამოუჭრიდნენ „საფეხურს“. შემდეგ ამ „საფეხურში“ მიაძერწავდნენ თიხის სარტყელს, რომელზედაც თითის დაჭერით თანაბრად დაჰქონდათ განიერი ჭდეები, რითაც ქმნიდნენ რელიეფური „გრეხილის“ შთაბეჭდილებას. მაგრამ შესაძლებელია ეს რელიეფური გრეხილი პირდაპირ ბაკოზე ყოფილიყო დატანილი (№ $318_6$—61), რისთვისაც ბაკოს გარედან საგანგებო წიბო უკეთდებოდა, რომელიც ზოგჯერ მკვეთრად იყო გამოყოფილი (№ $318_7$—61). ამავე ჰორიზონტში გვხვდება ფრაგმენტები ე. წ. „პირმოყრილი“ ქოთნებისა. ე. ი. უყელო ჭურჭლისა, რომელთა ბაკო უშუალოდ მხარზე დევს. ჩვეულებრივ ეს არის სფერული ფორმის, მუცელგანიერი დაბალი ქოთნები.

ამგვარი ჭურჭლის ორ ნატეხს მარტივი გადმოკეცილი ბაკო აქვს (№№ $2363_5$; $2382_2$): მესამე — შესქელებული და დაბრტყელებული ბაკოთი, კარგად ნახელავი შავპრიალა ქოთანი უნდა ყოფილიყო, შემკული მხარზე მკვეთრი ორმაგი ჭდეული თევზიფხური სარტყლით (№ $2363_2$ = 300—61); მეოთხე, ამგრეთვე შავპრიალა ქოთანს კი უჩვეულო, მეტად განიერი და ბრტყელი კიბისებური ბაკო ჰქონია, რომლის ქვეშაც ჭდეული ურთიერთგადამკვეთი ირიბი შტრიხების სარტყელი გასდევს (№ $2379_{11}$).

კიდევ ერთი პირმოყრილი ქოთნის ნატეხი სრულიად სხვაგვარადაა შემკული: გასქელებული და გადმოკეცილი ბაკოს გარეპირი ორმაგია, შუაში ამოკვეთილი მკვეთრი სამკუთხა ღარის გამო და თითოეული წიბოზე „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყლის ნაჭდევებია ურთიერთმიმართ თევზიფხურად დატანილი. ხარზე ქოთანს წვრილი, პრიალა ხაზების რომბულუჯრედებიანი ბადე აქვს[1].

[1] სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტს სველე ნომერი არ აღმოაჩნდა და ამდენადვე მისი მიკუთვნება, მაინცდამაინც, VII ჰორიზონტისადმი სათუოა (იხ. ტაბ. VI და XI).

ქ ვ ა ბ-ქ ო თ ნ ე ბ ი. VII ჰორიზონტიდან გვაქვს რუხად გაშომწვარი, ლეგაპრიალა ორყურა ქვაბქოთანა (h = 20), ფართო პირითა და ვიწრო ძირით. დაბალი ყელის ქვეშ სამი თხელი, განიერი, გაუპრიალებელი ღარის სარტყელი შემოსდევს. დამახასიათებელია მხრებზე მოთავსებული პატარა რკალური ყურები (№ 288—61). შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ჭურჭელზე ჯერ თიხის მთლიანი, ნახევარბორბლის ფორმის შვერილები მიამაგრეს, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი ცილინდრული საგნით გახვრიტეს ერთი მიმართულებით. ამის შედეგად ნახვრეტების კიდეებთან გაჩენილი ნაწიბურები უხეშად ყურზეც აგლისეს.

ანალოგიური ყურები რამდენიმე გვაქვს ამავე ჰორიზონტიდან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაწიბურები ნახვრეტის ორივე მხარესაა აგლესილი (№ $2369_1$), ხოლო მეორეგან ისინი, როგორც ჩანს, ორნამენტის როლსაც ასრულებენ (№№ $2363_6$, $2363_9$). რასაკვირველია, VII ჰორიზონტისათვის არ არის უცხო ჩვეულებრივი ყურიანი ქვაბ-ქოთნები მხრებზე „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყლით და ყურებზე „რქებისებური“ დანაძერწით (№ 293—61).

დაბოლოს, ამავე ჰორიზონტიდან გვაქვს აგრეთვე გვერდწიბოიანი ქვაბქოთნების ფრაგმენტები (№№ $2368_1$; $2369_4$; $318_9$—61). ორი მათგანი ზედატანზე შემკულია სამ წყებად ამოკვეთილი „სავარცხლით“ დატანილი სარტყლით (№ $2368_1$) და წვრილი პრიალა ხაზების რომბულუჯრედებიანი ბადით (№ $318_9$—61).

ერთი პატარა, ღიაწაბლისფრად „გადამწვარი“ ქვაბქოთანას აღდგენა მთლიანად მოხერხდა (№ 292—61). ეს ჭურჭელი შესაძლებელია ღრმა ჯამად ჩაგვეთვალა, (h = 7.7). მაგრამ იგი რომ, მაინცდამაინც, ქვაბქოთანაა, ამას მოწმობს, ჯერ ერთი, მისი პროპორციები, შემდეგ ის, რომ ჭურჭელი შიგნიდან არ არის გაპრიალებული, რაც დამახსიათებელია ჯამებისათვის და, ბოლოს, — ორნამენტაციაც: ღრმა და მკვეთრი განიერი ღარები მაღალ ქიმზე და შუასიგანის რადიალური სხივები ქვედატანზე, რაც დამახასიათებელია სწორედ გვერდწიბოიანი ქვაბქოთნებისათვის[2].

ღრმა ჯამის თუ ქვაბქოთანას ნატეხი უნდა იყოს შავპრიალა ფრაგმენტი ჭურჭლის პირისა, რომელსაც ოდნავ გასქელებული და გამოყოფილი ბაკოს ქვეშ ხუთი კონცენტრული წვრილი ღარი შემოსდევს (№ $2369_{12}$).

ცალკე აღსანიშნავია პატარა ქოთნის, კ ო ჭ ო ბ ი ს ფრაგმენტი, რომლის მუცელი ყელისაგან მახვილკუთხა წიბოთია გამოყოფილი. წიბოზე დაჭდეულია წვრილი „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყელი, ხოლო ამის ქვეშ — წვრილი და მკვეთრი ამოკაწრული ხაზი (№ 306—61).

ჯ ა მ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი. ამ ჯურის ჭურჭელი VII ჰორიზონტმა ქვედასთან შედარებით უფრო მრავლად დაგვიტოვა და, შესაბამისად, მრავალფეროვანიცაა. გვხვდება პირგადაშლილი ქიმგაზნექილი ცალები. ერთი ასეთი შავპრიალა ლანგარი თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი. იგი უორნამენტოა და ძირი თუმცა ოდნავ დიფერენცირებულია ქვედატანისაგან და ოდნავ ამობურცულიც, მაინც — ჭუსლიანი არ ეთქმის (№ 277—61). ამ ტიპის ჯამებიდან ერთ-ერთი შემკული ყოფილა გარედან ქიმზე „სავარცხლით“ დატანილი ტალღური სარტყლით, რომელიც მთელ ქიმს ფარავს (№ $318_4$—61). მეორე (№ $2365_6$) ქვედატანზე გარედან პრიალა რადიალური სხივებითაა დასერილი.

---

[2] შდრ. VIII ჰორიზონტის ქვაბქოთანა (№ 263—61).

გვხვდება აგრეთვე პირგადაშლილი სწორჭიმიანი ჯამები (№№ 2380$_3$) და შვეულჭიმიანი ცალებიც. ამ უკანასკნელთაგან შემორჩენილია მშვენივრად ნახელავი შავპრიალა პატარა უქუსლო ჯამი, „სავარცხლით“ დატანილი ლაზათიანი ტალღური სარტყლით ქიმზე (№ 285—61). ამ ტიპის ორი დანარჩენი ფრაგმენტიდან, ერთის ქიმი შემკულია თხელი, განიერი ღარებით, ხოლო ფსკერი (შიგნიდან) — პრიალა ირიბი ხაზებით (№ 2369$_3$); მეორის ბაკოზე მიძერწილია რელიეფური „გრეხილი“, ქიმს კი ერთი ტალღისებური ღარი ამკობს (№ 2363$_3$).

აქვე უნდა აღინიშნოს საწურის ქუსლის ფრაგმენტი ორი შერჩენილი ნახვრეტის ნაშთით (№ 318$_8$—61). ქუსლის ბაკო ცოტათი, მაგრამ მკვეთრად დიფერენცირებულია.

ამ ჰორიზონტის ჭურჭლის, დერგებისა თუ ქოთნების შემკობის ხერხები და სახეები, ზემოთქმულს გარდა, ნაჩვენებია ტაბულებზე. (ტაბ. VII და XII). შემკობისათვის იხმარებოდა, ძირითადად, სამი ხერხი: ამოკვეთა, გაპრიალება, დაძერწვა. რასაკვირველია, გვხვდება, ამ სამი ხერხის კომბინაციაც. უფრო იშვიათია დაწნევის ხერხი, რომლის საშუალებითაც ფართო ღარებს შემოავლებდნენ ხოლმე ჭურჭელს. შემკულობის თვალსაზრისით საინტერესოა ცალკეული ჭურჭლის ყურები. ზოგიერთზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

სადა ყურებს გვერდით გვხვდება ყური, რომლის ზურგიც დაჭდეულია ირიბი მკვეთრი ნაჭდევებითა და თან სიგრძივაა კიდევ გადასერილი (№ 2369$_2$) ანდა ზურგი ირიბი მკვეთრი ან თხელი ღარებითაა შემკული, რაც მათ გრეხილ სახეს აძლევს (№№ 318$_2$—61; 300$_2$—61)[3]. ხშირია „რქისებური“ მინაძერწების ხმარების შემთხვევები. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ორი ჭურჭლის ყური, რომლებიც, ჩვენი აზრით, ვერძის სტილიზებულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდნენ (№№ 300$_2$—61; 2365$_3$).

* * *

VII ჰორიზონტის თიხის ნივთებიდან აღსანიშნავია თავბრტყელი სოკოს ფორმის საბეჭდავი (№ 298—61. ტაბ. LXI და LXIII). ორივე სიბრტყეზე, თავსა და ბოლოში, ამოკვეთილია სხვადასხვა სახეები: ქვედა, დიდ წრეზე— რელიეფური სპირალი; ზედაზე — ჯვარი, რომლის მკლავების უბეებშიც კიდევ მართი კუთხეებია ამოკვეთილი*.

ამავე დონეზეა აღმოჩენილი თიხის ოთხი გორგოლაჭი, რომელთაგან ორი შუაშია გახვრეტილი და, როგორც ჩანს, კვირისტავად გამოიყენებოდა. დანარჩენი ორი გაუხვრეტავია და წარმოადგენს გამომწვარი ჭურჭლის ნატეხების საგანგებო შემომრგვალების შედეგად გაკეთებულ ნამზადს, რომელიც შემდეგ აღარ გაუხვრეტიათ (№ 317—61, ტაბ. LXI).

ერთ, ცუდად მოზელილი და ამგვარადვე გამომწვარი თიხისაგან უხეშად დამზადებულ ნივთს პატარა ოთხკუთხა აბაზანისებური ფორმა აქვს და მისი ერთი კიდე ზედაპირზე ამოსული გამჭოლი ნახვრეტით თავდება (№ 275—61). შესაძლებელია ამ საგანს ჭრაქის დანიშნულება ჰქონოდა.

---

[3] შდ. VIII ჰორიზონტის ყურს (№ 273$_1$—61).

* ეს და სხვა ხოვლური საბეჭდავები ამჟამად გამოცემულია: იხ. მ. ლორთქიფანიძე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, 1969.

დაბოლოს აღსანიშნავია ბზენარევი გამოუწვავი თიხისაგან დამზადებული ოთხწახნაგა პირამიდისებური საგანი, რომელიც თითქოს რაღაცის დეტალს უნდა წარმოადგენდეს. იგი, როგორც ჩანს, ადრევე ჩამოტეხილა და სანაგვე ორმოში ჩაუგდიათ (№ 310—61).

### ლითონის ნაკეთობა

(ტაბ. LXI—LXII)

VII ჰორიზონტმა ლითონის ნივთებიც შემოგვინახა, კერძოდ, ამ დონიდანაა ე. წ. სეგმენტისებური იარაღი, დამახასიათებელი დასავლურ-ქართული კულტურისათვის. იგი ზომით პატარა და დაზიანებულია: აკლია ფრთების ბოლოები და ყუნწის თავიც (№ 281—61). გვაქვს ბრინჯაოს მახათი გრძელი და წვრილი მავთულისაგან, თავთან დაბრტყელებულ-გაგანიერებული, ოვალური ნახვრეტით (№ 2353) და ბრინჯაოსავე ფირფიტოვანი ისრისპირების ფრაგმენტები, რომელთა ფორმის აღდგენა, სამწუხაროდ, შეუძლებელია (№ 2355).

### ქვის ნაკეთობა

(ტაბ. LXI)

ქვის საგნებიდან მხოლოდ კაჟის ნამგლის პირის ერთი ჩასართი გვაქვს (№ 2354).

### ძვლის ნაკეთობა

ასევეა მხოლოდ ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი ძვლის ნაკეთობაც. ეს არის ერთ კიდეზე საგანგებოდ გახვრეტილი კოჭი (№ 301—61).

## თავი III

## ჰორიზონტი ხოვლე VI

### კერამიკა

(ტაბ. XIII—XXIV)

VI ჰორიზონტის ნაგებობები ხოვლეგორაზე შედარებით უკეთ არის წარმოდგენილი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ფენის არსებობის ბოლოს სამოსახლო ბორცვზე ძლიერი ხანძარი გაჩენილა, რომელსაც შენობები ერთბაშად დაუწვავს და დაუნგრევია. ამ უეცარი კატასტროფის გამო გამომწვარმა ალიზმა (ბათქაშმა) შენობათა კონტურები შედარებით უკეთ შემოინახა. იმავე გარემოების შედეგად შესაძლებელი გახდა შედარებით დიდი რაოდენობის კერამიკული ნაწარმის in situ გამოვლენაც და აღდგენაც. მაგრამ ხანძარმა კერამიკასაც თავისი დაღი დაადო. VI ჰორიზონტის ხოვლური ჭურჭელი თითქმის მთლიანად „წითლად“ გამომწვარია, ანდა ორგვარად — „წითლად“ და შავად. ეს, რასა-

კვირველია, სწორედ ხანძრის შედეგია, რომლის გამოც შავი და ლეგა ჭურჭელი ხელმეორედ გამოიწვა და არა იმის მაუწყებელი, თითქოს ხოვლეგორელებმა დაიწყეს „წითელი“ ჭურჭლის მასობრივი წარმოება. ჭურჭლის ტიპებიც იგივეა:

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი. ამ ტიპს ვაკუთვნებთ დიდი ზომის დაბალყელიან, პირფართო და ქუსლვიწრო ჭურჭელს, რომელიც საკმაოდ ლაზათიანი ნახელავია (№ 260—61). ჭურჭლის ზედატანი, როგორც ჩანს, პრიალაა. მხარზეა ორნამენტი: ყელის ძირში — სამი წვრილი კონცენტრული ღარი; შუა მხარზე — თხელ გაუპრიალებელ კონცენტრულ ღარებში მოთავსებული მეტად წვრილი, შესანიშნავად შესრულებული „სავარცხლით“ დატანილი ტალღური სარტყელი; მხრის ბოლოს — ორი კონცენტრული რელიეფური სარტყელი.

ყველაფერი ეს და აგრეთვე კეცის სისქე (0,6—0,7 სმ) მოწმობს, რომ, თუ ეს ჭურჭელი ქვევრს წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში იგი არ იყო მიწაში მთლიანად ჩასადგმელად გამიზნული. ჭურჭლის ქვედა ტანის ზედაპირის შედარებით უხეშად დამუშავება და გაუპრიალებლობა, შესაძლებელია, მოწმობდეს, რომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ იჯდა მიწაში.

ამავე დონეზე გვხვდება აგრეთვე პატარა ქვევრების, თუ ქ ო ც ო ე ბ ი ს ფრაგმენტები. სამწუხაროდ, მათი აღდგენა, თუნდაც იმდენად, რომ მეტ-ნაკლებად ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ მათ ფორმაზე, არ მოხერხდა: ამჟამად გვაქვს ამ ჭურჭლის მხოლოდ პირისა და მხრის ნატეხები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ეს არის სრულიად გარკვეული და ჩამოყალიბებული ფორმის ჭურჭელი, რომელიც შესაძლებელია, ერთი და იგივე დანიშნულებისათვის კეთდებოდა: სქელკეციანია (1—1,3 სმ), უყელო, მასიური, გადმოზნექილი ბაკოთი. მხარზე, პირთან ახლოს სამი რელიეფური, კონცენტრული სარტყლითაა შემკული. მუცელი საკმაოდ ფართო უნდა ჰქონოდა. VI ჰორიზონტში სულ ხუთი ამგვარი ჭურჭლის ფრაგმენტია ნაპოვნი და ისინი ზედმიწევნით იმეორებენ ერთმანეთს (№№ 188—61; 182—61; 102—61; $2377_1$). მხოლოდ ერთი ასეთი ჭურჭლის (№ 198—61) ბაკო შეუღია და მხრისაგან მკვეთრადა დიფერენცირებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა ამ ჭურჭელს ჩვენ პატარა ქვევრებს თუ ქოცოებს ვუწოდებთ, ისინი მიწაში არ იდგმებოდნენ, რასაც ცხადად მოწმობს შერჩენილი ზედატანის ფრაგმენტების საგანგებო სიპრიალე.

კიდევ ერთი ამგვარივე ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტი გვხვდება ამ ჰორიზონტში (№ $2377_2$), მაგრამ მისი მხარი, როგორც ნაშთიდან ჩანს, წვრილი ჰდეული ღარებით ყოფილა შემკული.

დ ე რ გ ე ბ ი. იმეორებენ ქვედა ჰორიზონტების ფორმებს. გვხვდება, როგორც უყურო, პირფართო დაბალყელიანი დერგი, (h = 33) დამახასიათებელი კვერცხისებური მოყვანილობისა, ძირვიწრო, კარგად გამოკვეთილი ქუსლით (№ 199—61); აგრეთვე, შედარებით ვიწროპირიანი, მუცელზე ორი დიდი, ბრტყელ-ოვალური ყურით (№ 43—61), რომელიც ზედმიწევნით იმეორებს VIII და VII ჰორიზონტების ამგვარი დერგების ფორმას. უყურო დერგი შემკულია მხარზე დატანილი ჰდეული ორნამენტით: ყელის ქვეშ — წვრილი წრიული ღარი; საკუთრივ მხარზე — წვრილ კონცენტრულ ღარებში ჩასმული ირიბი „ფრჩხილის ორნამენტის“ ორი სარტყელი. ყურებიანი დერგი შემკულია ყელის ქვეშ სამი წვრილი კონცენტრული მკვეთრი ღარით, შუა მხარზე — ერთი შუასიგანის, დაწნევით დატანილი სარტყლით და მხრის ბოლოს, ყურებს

ზემოთ, აგრეთვე მკვეთრად ნაჭდევი სამი კონცენტრული ღარის სარტყლით. ამ სამ სარტყელს შორის მოთავსებული ფართო არეები შევსებულია ირიბი პრიალა ხაზებით[1]. სამი პრიალა მერიდიანული ხაზი ამკობს აგრეთვე ყურის ზურგს. VI ჰორიზონტის ამ ტიპის დერგების პროფილებისათვის იხ.: №№ $2377_6$: $187_1$—61; $2377_{13}$; $2377_{14}$.

აღსანიშნავია მომცრო, ბრტყელძირა დერგის — სადღვებლის ფრაგმენტები (№ 169—61 = 179—61) შემკული, გარდა მკვეთრი და წვრილი კონცენტრული ღარებისა ყელის ძირში, ჰდეული „ჯვრების“ სარტყლით მხრის ბოლოს.

დ ო ქ ე ბ ი. ამ ჯგუფის ჰურჭლეულიდან მხოლოდ რამდენიმე პირის ფრაგმენტია. ერთი მათგანი ძაბრისებური დოქის ყელის ნატეხია (№№ 76—61; 108—61; 170—61). ყველა შემკულია კონცენტრული ღარებით.

სამაგიეროდ აღდგენილ იქნა სამი პატარა ზომის ხ ე ლ ა დ ა თ უ ჭ ი ჭ ლ ა. ერთ-ერთ მათგანს (h = 16) დაბალი ყელი აგრეთვე დაღარული აქვს და ასეთივე ორი წვრილი ღარი ყურის ბოლოს გასწვრივ შემოუყვება (№ 167—61). მეორე, უფრო დიდი ზომისაა (h = 20), ყელის ქვედა ნაწილში აგრეთვე დაღარულია (სამი ძლივს შესამჩნევი ხაზი). მხარი კი შემკული აქვს ულაზათოდ დაჭდეული, ფუძეზე მდგარი დაშტრიხული სამკუთხედების რიგით (№ 256—61). ორივე ჰურჭლის ყური გადმოზნექილ ბაკოსთან უშუალოდ ყოფილა მიერთებული.

მესამე ხელადა განსხვავებული ფორმისაა. ისიც პატარაა (h = 16), მაგრამ ყელმაღალი. „რქისებურწანაზარდიანი“ ყური გადმოშლილ ბაკოსთან კი არ არის უშუალოდ მიერთებული, არამედ ყელსა და მხრის ბოლოს აკავშირებს. ბაკოს ქვეშ ოთხი წვრილი და თხელი ღარი შემოუყვება. ყელის ქვეშაც — ორი ასეთივე, უფრო მკვეთრი ღარი, მხარზე მეტად წვრილი და მკვეთრი ხაზებით დაჭდეულია რვა დაშტრიხული სამკუთხედი. ამათგან ექვსი — რიგრიგობით ხან ერთი, ხან მეორე ფერდის პარალელურად, ხოლო ორი დანარჩენი სამკუთხედებადვეა დაშტრიხული, ამასთან, ერთი, დამატებით, წვერიდან გამომავალი სწორით გაყოფილი ორ მართკუთხედად. სამკუთხედების ეს რიგი მხრის ბოლოს შემოწერილ წვრილ და მკვეთრ ღარზე დევს (№ 194—61). სამივე ხელადა ძირვიწროა, ჭუსლიანი.

ქ ო თ ნ ე ბ ი. ამ ჰორიზონტში მრავლად აღმოჩნდა ამგვარი ჰურჭელი, მაგრამ თითქმის მთლიანად ფრაგმენტების სახით. მხოლოდ ერთი ქოთნის აღდგენა მოხერხდა იმდაგვარად, რომ შესაძლებელია მისი ფორმის შესახებ მეტ-ნაკლებად ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ, ისიც პირის გ მოკლებით; აგრეთვე აღდგენილ იქნა თითქმის მთლიანად ერთი პატარა კოჭობი.

მოწაბლისფროდ გამომწვარი ქოთანი შედარებით მაღალი და ბრტყელჭუსლიანია. მთელი მისი ტანი შემკულია კონცენტრული რელიეფურ-ტალღური სარტყლებით, ყელის ძირში კი ორ პარალელურ თხელ და წვრილ ღარს შორის მოთავსებულია ირიბი „ფრჩხილის ორნამენტის“ ულაზათოდ დატანილი მწკრივი. ქოთანი თითქოს ალაგ-ალაგ „გამურულია“. იგი ე. წ. „სამზარეულო ჰურჭელს“ თუ განეკუთვნებოდა (№ 30—61).

კოჭობი პატარაა (h = 10), პირგადაშლილი, ძირფართო, ჭუსლიანი. მხარ-

[1] შდ. VIII ჰორიზონტის დერგს (№ 264—61).



17

ზე შემოუყვება დაწნევით ღრმად დატანილი შუასიგანის ღარი. მთელი ტანი გაპრიალებული აქვს (№ 26—61). კარგად ეტყობა, რომ ჩხირისებური საპრიალებელი ვერტიკალური მიმართულებით წაუსვამთ.

როგორც აღვნიშნეთ, დანარჩენებზე შეგვიძლია მხოლოდ ფრაგმენტების საშუალებით ვილაპარკოთ. ეს უკანასკნელნი კი VI ჰორიზონტმა საკმაო რაოდენობითა და ნაირსახეობით შემოგვინახა.

ამ ჯგუფის ჭურჭლეულს შორის გვხვდება შედარებით მაღალყელიანი ჭოთნები, შემკული მხარზე დაჭდეული ორმაგი „თევზიფხურით“ სარტყლით (№ 2377$_4$), ან კონცენტრული ღარებით (№№ 2377$_5$) ანდა რომბულუჯრედებიანი პრიალა ბადით (№ 203—61). ზოგჯერ ორნამენტი უშუალოდ ბაკოზეა დატანილი: ჭდეული „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყელი (№№ 86—61; 187—61) ან მიძერწილი რელიეფური „გრეხილი სალტე“ (№ 133—61)[2].

გვხვდება უყელო, ბაკოგადმოკეცილი ჭოთნის ნატეხები შემკული „ფრჩხილის ორნამენტის“ (№ 185$_2$—61) ან დაღარული ტალღოვანი სარტყლით და „რქებიანი“ ყურით, რომელსაც ზურგზე ასეთივე ტეხილი ვერტიკალური სარტყელი გასდევს (№ 68—61).

აღსანიშნავია აგრეთვე დამახასიათებელი თხელკეციანი, პირგადაშლილი, მაღალ და თხელბაკოიანი ჭოთნები თხელი, მკვეთრი ღარებით ან უწვრილესი რელიეფური წრეხაზებით გადმოკეცილი ბაკოს ქვეშ, პრიალა მერიდიანული ან ირიბი ხაზებით შემკული ტანით (№ 93—61).

დაბოლოს — პირმოყრილი ჭოთნები: სფერული ფორმისა, სრულიად გამოუყოფელი ბაკოთი, პირთან ორმაგი თევზიფხურით შემკული (№ 2374$_5$); და დიდი ასეთი ჭოთნის პირის ნატეხი, სქელკეციანი, განიერი ბაკოთი, რომელზედაც სამმაგი ფართო და თხელი რელიეფური „გრეხილი სალტეა“ (№ 130—61).

ზემოაღნიშნულის გარდა, ამ ჰორიზონტიდან აკრეფილი მრავალი ჭურჭლის ფრაგმენტები წარმოდგენას გვაძლევენ დერგებისა თუ ჭოთნების ორნამენტაციაზე. გაბატონებული ხერხი ჭურჭლის შემკობისა კვლავ დაჭდევაა (და გაპრიალება). ამასთანავე, როგორც წესი, ორნამენტი დატანილია სარტყლებად მხოლოდ ჭურჭლის მხარეზე. ეს არის, უმთავრესად, კონცენტრულ ღარებში ჩასმული ირიბი ჭდეები, ირიბწერტილოვანი შტრიხები, ტალღური ხაზები, კლაკნილი შტრიხები, თევზიფხური, ორმაგი თევზიფხური, „ჯვრები“, დაშტრიხული სამკუთხედები. ირიბწერტილოვანი სარტყლების კომბინაცია ტალღურ ორნამენტთან (№№ 127—61). ან დაშტრიხულ სამკუთხედებთან (№ 184—61).

გაპრიალებით დატანილი ორნამენტი: რომბულუჯრედებიანი ბადე ცალკე ან ჭდეულ ირიბწერტილოვან სარტყელთან ერთად; დაშტრიხული სამკუთხედები, ზოგჯერ რელიეფურ სარტყლებთან კომბინაციაში (№ 175$_4$—61).

რელიეფური ორნამენტი უფრო იშვიათია. ეს არის: სწორი ან ტალღური სარტყლები ან მერიდიანული სხივები (№№ 136—61; 2377$_{15}$; 2389$_3$).

გვხვდება აგრეთვე „უნაგირისებური ყურები“ (№ 190$_1$—61; 176$_1$—61). განსაკუთრებით მდიდრულად არის შემკული ერთი ჭოთნის ფრაგმენტი (№ 184—61), რომელიც, სამწუხაროდ, გადამწვარი და დეფორმირებულია: ორი მწკრივი დაშტრიხული სამკუთხედებისა მოთავსებულია ირიბწერტილოვან

[2] შდ. VII ჰორიზონტის ჭოთანი (№ 318—61).

სარტყლებზე. ეს ჭურჭელი შემკული ყოფილა აგრეთვე „უნაგირისებური ყურით“ (თუ ყურებით?) და დამატებით ორი მოკლე, მორჩისებური ყურით თხლად ჭდეული ჯვრების გამოსახულებით ბრტყელ თავებზე. უფრო მკვეთრად ამოკვეთილია ჭდეული „ჯვარი“ ჩვეულებრივი რკალური ყურის ფრაგმენტზე (№ 129—61).

ქვაბქოთნები ქოთნებთან შედარებით უკეთაა წარმოდგენილი: გვხვდება დიდი, განიერი და მომრგვალებულმუცლიანი ქვაბქოთნები. ერთი მათგანი (№ 111—61) მხარზე შემკულია მკვეთრი ღარებით, ხოლო ბაკოს დაბალი რელიეფის „გრეხილი სალტე“ შემოსდევს. მეორე (h=20) უფრო სადა შემკულობისაა: თითო წვრილი ღარი დაბალი ყელის ძირში და მხრის ბოლოს. ამ ჭერჭელს კარგად გამოკვეთილი ჭუსლი აქვს (№ 249—61).

გვერდწიბოიანი ქვაბქოთნებიც სხვადასხვა სახისაა: დიდი (h=16), პირგანიერი, ბრტყელძუსლიანი ქვაბქოთანა, გაპრიალებული ქიმით და ქვედატანის ნაწილით. ქვედატანის გაუპრიალებელ ნაწილზე წვრილი პრიალა ვერტიკალური სხივების კონებია დატანილი ჭუსლამდე (სულ 8 ასეთი კონა № 23—61).

მეორე მსგავსი ქვაბქოთანა პატარა ზომისაა (h=8), აგრეთვე ბრტყელჭუსლიანი, ქიმზე მკვეთრი შუასიგანის ღარით და პრიალა რომბულუჯრედებიანი ბადით. ქვედატანი შემკულია განიერი პრიალა სხივებით (№ 204—61).

მესამე (h=7) კარგი ნახელავია. გაუპრიალებელი ქვედატანი ამასაც წვრილი პრიალა ხაზების კონებითა აქვს შემკული (№ 259—61), ბრტყელ ჭუსლზე კი პრიალა ხაზებით ჯვარია გამოსახული.

სრულიად სხვაგვარად და ამგვარი ჭურჭლისთვის უჩვეულოდაა შემკული ამ ფენის გვერდწიბოიანი ქვაბქოთნის ერთი ფრაგმენტი: ქიმზე გარედან გასდევს სამი კონცენტრული ღარი (№ 79—61). ასეთი შემკულობა დამახასიათებელია ჯამების გარკვეული ტიპისათვის და ისიც უფრო გვიანი ჰორიზონტებისათვის (იხ. ქვემოთ).

მრავალნაირია აგრეთვე ცალყურა, ყურზე „რქისებური“ წანაზარდებით, ქვაბქოთნების ასორტიმენტი. ისევე როგორც ქვედა ჰორიზონტების მსგავსი ჭურჭლისათვის, ამათთვისაც დამახასიათებელია „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყელი დაბალი ყელის ქვეშ, რომელიც ზოგჯერ ორ კონცენტრულ ღარშია ჩაწერილი (№№ 24—61; 254—61). მათ ახასიათებთ მკვეთრად გამოკვეთილი ჭუსლი, რომელთა ბაკოც აგრეთვე შემკულია „ფრჩხილის ორნამენტის“ ნაჭდევებით. ასეთი ნაჭდევებით ჭუსლები VIII და VII ჰორიზონტშიც გვხვდება, მაგრამ იქ უმთავრესად ბრტყელი (დიფერენცირებული ბაკოს გარეშე) ჭუსლებია და მათი კიდეებია ამგვარად შემკული.

ზოგჯერ ამ ჭურჭელს ხელით უხეშად ძერწავდნენ. ერთ-ერთი ასეთი ქვაბქოთნის ფრაგმენტი ჰორიზონტული წვრილი „ფრჩხილის ორნამენტით“ არის შემკული და დამატებით ყურს ზემოთ სამი ღრმა მახვილკუთხა ნაჭდევი აქვს (№ 112—61). სადაც ეს ფრაგმენტი იყო აღმოჩენილი, იქვე მეორე ამგვარი ჭურჭლის ნატეხი იქნა ნაპოვნი ჭდეული მახვილი კუთხეების ნაშთით (№ 183—61). შესაძლებელია ეს ერთი და იგივე ჭურჭლის ნაწილებია და მაშინ ეს ქვაბქოთანა ორყურა უნდა ყოფილიყო.

ამავე რიგის ჭურჭელს მიეკუთვნება პატარა ცალყურა ბრტყელძირიანი კოჭობი (h=10), რომელსაც ყურზე პატარა „რქებს“ გარდა, არვითარი სხვა

შემკულობა არა აქვს (№ 201—61), და აგრეთვე — მინიატურული ქვაბქოთანა ბაკოდიფერენცირებული ჭუსლით, რომელსაც დიდი მსგავსი ქვაბქოთნების დაგვარად, თავმარყუჟა გამოშვერილი ყური აქვს (№ 196—61)[3].

ტ ო ლ ჩ ე ბ ი. მხოლოდ ერთი ამგვარი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა (h = 14). იგი პირშეწეულია, შვეულბაკოიანი, რომლის ძირშიც ორი თხელი და განიერი ღარი შემოუყვება. ჭურჭელი ძირისკენ ვიწროვდება. ყველაზე განიერ ადგილას პატარა რკალური ყურია მიძერწილი, რომელსაც თავი მოტეხილი აქვს. გარედან ჭურჭელი გაპრიალებულია (№ 255—61).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხელით ნაძერწი პატარა ქ ი ლ ა თუ თიხის „ჭიქა", მოგრძო კასრისებური ფორმისა, პირშეწეული და ძირბრტყელი, რომელიც პირის ქვეშ შემკულია ულაზათოდ დატანილი ღარით და ჰდეული ტეხილი ხაზის სარტყლით (№ $187_2$—61).

დაბოლოს აღვნიშნავთ მინიატურულ ჭურჭლებს (№ 2375; $2375_1$; $203_1$—61), ერთ-ერთ მათგანს, როგორც ჩანს, მუცელზე მორჩისებური „ყური" უნდა ჰქონოდა თავზე ორი მეჭეჭით (№ 240—61).

ჯ ა მ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი. ამ ჯგუფის ჭურჭელი აგრეთვე ფართო ასორტიმენტითაა წარმოდგენილი, რომლის დანაწევრებაც შესაძლებელია ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ტ ი პ ი I: პირგადაშლილი ჭ უ ს ლ ი ა ნ ი ჯ ა მ ე ბ ი. ამ ტიპის დანაწევრება კიდევ ორ ჯგუფადაა შესაძლებელი: a) ქ ი მ შ ე ზ ნ ე ქ ი ლ ი ცალები (№ 189—61). ამავე ჯგუფში ვათავსებთ შავპრიალა კარგად ნახელავ თეფშს გამოკვეთილი ჭუსლით. თეფში ორმხრივაა შემკული: გარედან ქიმზე — ღაროვანი ტალღის სარტყელი; ტანზე — წვრილი პრიალა რადიალური სხივების კონები. შიგნიდან ფსკერზე — წვრილი პრიალა, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი სხივების კონები, რომლებიც ფსკერს რვა სექტორად ყოფენ (№ 39—61).

b) ს წ ო რ ქ ი მ ი ა ნ ი ც ა ლ ე ბ ი (№ 261—61; d = 15). ერთ-ერთი ასეთი ლანგრის ქიმზე გარედან კვლავ ღაროვანი ტალღის სარტყელია შემოვლებული (№ $175_2$—61). აქვე უნდა მოვიხსენიოთ წაკვეთილი კონუსის ფორმის, ხელით უხეშად ნაძერწი, ღრმა, ბრტყელძირიანი ჯამი (№ 257—61; h = 9).

ტ ი პ ი II: შ ვ ე უ ლ ქ ი მ ი ა ნ ი ბ რ ტ ყ ე ლ ი ძ ი რ ი თ (№ $2377_3$) და ბ რ ტ ყ ე ლ ქ უ ს ლ ი ა ნ ი ჯ ა მ ე ბ ი (№ 258—61) ქიმზე „სავარცხლით" დატანილი ღაროვანი ტალღური სარტყლით (№ 75—61), ან ბაკოზე გარედან მიძერწილი რელიეფური „გრეხილი სალტით" (№ $260_1$—61). ერთ-ერთი ამგვარი ჯამი საწურს წარმოადგენს (№ 258—61).

დაბოლოს, ამ ჰორიზონტში გვხვდება პ ი რ შ ე ზ ნ ე ქ ი ლ ი ს წ ო რ ქ ი ვ ი ა ნ ი ჯ ა მ ე ბ ი (ტიპი III b). ერთ-ერთი ამ ტიპის ბადიის თითქმის მთლიანად აღდგენა მოხერხდა (№ 42—61): ბადია საკმაოდ ღრმაა (h = 8,5) და პირფართო (d = 25,5) ბაკოგადმოზნექილი, ფართო, ბრტყელი ქუსლით (d = 11). იგი აგრეთვე ორმხრივაა შემკული: შიგნიდან ფსკერი ფართო პრიალა რადიალური ზოლებით ექვს სექტორადაა განაწევრებული და თითოეულ სექტორში წვრილი პრიალა ხაზებით რომბულუჯრედებიანი ბადეა ჩაწერილი. გარედან ქვედატანი შუასიგანის პრიალა სხივების კონებითაა შემკული. ორი კარგად ნახელავი.

[3] ანალოგია, იხ. ტ. X X V, № 2358 (ხოვლე V).

ლეგად და შავად გამომწვარი, ამგვარი ჯამის ქიმები შემკული ყოფილა სამ-სამი კონცენტრული მკვეთრი ღარების სარტყლით (№№ 73—61; 103—61).

ასეთი ჯამები, როგორიც ეს ორი უკანასკნელია, დამახასიათებელია ხოვლეგორის უფრო გვიანდელი ჰორიზონტებისათვის. ორივე ნატეხი აღმოჩენილია VI ფენის ე. წ. „დიდ დამწვარ ოთახში“, ერთი (№ 73—61) — ხანძრის შედეგად დანგრეული და გამომწვარი ბათქაშების ნაყარში, მეორე (№ 103—61) — ამ ნანგრევ ბათქაშებს ზემოდან. „დიდ დამწვარ ოთახს“ სტრატიგრაფიულად ზემოდან V ფენის შენობათა ნანგრევები ედო. შესაძლებელია ეს ჯამები სწორედ ამ ნაგებობის კუთვნილი იყოს და ისინი ან გათხრის პროცესში აქ, ამ ადგილას ფენების მკვეთრი ზღვრის უქონლობის გამო, შემთხვევით VI ფენისად იქნა მიჩნეული, ანდა იმთავითვე, V ფენის პერიოდშივე რაღაც მიზეზის (მიწის გაღათხრა და სხვ.) გამო ქვედა კულტურულ ფენაში მოხვდა. საერთოდ, ამ მხრივ, „დიდი დამწვარი ოთახის“ ნანგრევ დამწვარ ბათქაშებს ზემოდან ნაყარი ფენის მასალა სიფრთხილეს მოითხოვს. ეს ეხება პირველ რიგში, ცხადია, ჭურჭლის იმ ნატეხებს, რომელთაც ხანძრის შედეგად „გადაწვის“ არავითარი კვალი არა აქვთ. ასეთებია სწორედ ზემოაღნიშნული ჯამების ნატეხები. თუმცა თავისთავად არაფერია გასაკვირი რომ ასეთი ჯამები ხოვლეგორაზე VI ფენაში ჩნდებოდეს.

ამავე ფენაშია ნაპოვნი შავპრიალა „სამარილე“ (№ 99—61). ეს არის თითქოს რაღაც ჭურჭლის შეღრმავებული ქუსლი (d = 5,5), რომელიც გადანატეხში სპეციალურადაა მოხეხილ-მოგლუვებული (შდ. ასეთივე „სამარილე“ V ფენაში). ცალკეა აღსანიშნავი ვიწროპირიანი ჭურჭლის, ალბათ დოქების, კონუსური ხ უ ფ ე ბ ი (№№ 46—61; 110—61; 193—61) და ურმის ბორბლის სალტისებური „ს ა დ გ ა რ ი“ ცალპირზე დიდი და ღრმა ირიბი ნაჭდევებით — რელიეფური „გრეხილით“ (№ 171—61).

## ჭანდაკება და სხვა საგნები

კერამიკული საგნებიდან აღსანიშნავია პატარა ს ა ბ ე ჭ დ ა ვ ი ბოლოებწაწვეტებული ტარით, თავზე ღრმა კონცენტრული ღარების წრეხაზებით (№ 242—61, ტაბ. LXI და LXIII).

კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ი — ჭურჭლის ნატეხისაგან (№ 97—61).

ც ხ ვ რ ი ს პ ა ტ ა რ ა ჭ ა ნ დ ა კ ე ბ ა (უფეხო) „დიდი დამწვარი ოთახის“ იატაკიდან საბეჭდავთან ერთად ნაპოვნი (№ 241—61, ტაბ. LXI).

ბრტყელი ოვალური საგანი ზედ ექვსფურცელა ყვავილის მსგავსი დანაჭდევით. ისიც იქვეა ნაპოვნი და, როგორც ჩანს, თავის დროზე მიკრული უნდა ყოფილიყო სხვა რაღაცაზე, შესაძლებელია საკურთხეველზე (№ 244—61, ტაბ. LXI).

ცილინდრული ფორმის გამომწვარი საგანი და ასეთივე ღერაკის ნამტვრევი (№№ $246_1$—61; $246_2$—61).

VI ფენის ხანძარს უნდა ვუმადლოდეთ თიხისაგან დამზადებული მეტად საინტერესო არქიტექტურული დეტალებისა და აგრეთვე ვ ე რ ძ ი ს თ ა ვ ე ბ ი ს ჭანდაკებების გადარჩენას „დიდი დამწვარი ოთახიდან“ (№№ 2383; $2383_1$).

### ლითონის ნაკეთობა

#### ბრინჯაო

(ტაბ. LXI—LXII)

ლითონის ნივთებიდან აღმოჩნდა მოკლე (l=5,5) ოთხკუთხაგანივკვეთიანი თავხვიასაკინძი (№ 262—61) და ოთხკუთხაგანივკვეთიანი სადგისის (?) ნატეხი (№ 1864).

### ძვლის ნაკეთობა

(ტაბ. LXI)

ძვლის ცილინდრული ან ოვალური მძივები (№№ 14—61; 243—61); ასეთივე დანიშნულებისაა, როგორც ჩანს, გახვრეტილი ფალანგები (№№ 15—61; 96—61). № 15—16 ფალანგები აღმოჩენილია დამწვარსაკურთხევლიან ოთახში, საკურთხევლის „ჯიბეში“ (შდ. VIII ფენის ასეთივე ფალანგას, რომელიც აგრეთვე საკურთხეველზე იდო!).

### ქვის ნაკეთობა

ქვის საბეგველი (№ 276—61) (l=26; ტარის I=10; სიგანე=10).

მსუბუქი, ფემზისებური ქვის ნატეხი. ერთი მხარე შეზნექილი აქვს, როგორც ჩანს, ხახუნის გამო (№ 245—61). მეორე ასეთივე ჯიშის, უფრო მძიმე შავი ქვა დაახლოებით სწორკუთხა პრიზმის ფორმისაა (№ 87—61). შესაძლებელია საშურდულე ქვები იყოს, ორი სხვადასხვა ზომის მრგვალი ქვა (№№ 186$_1$—61; 172—61).

აღსანიშნავია აგრეთვე რიყის ქვები დამწვარსაკურთხევლიანი ოთახის საკურთხევლის „ჯიბიდან“. ორი მათგანი გახვრეტილია (№ 47—61).

დაბოლოს აღსანიშნავია კაჟის ჩასართი ნამუშევარი კბილებით (№ 132—61). ალბათ ნამგლისა თუ იყო (ტაბ. LXI).

## თავი IV

### ჰორიზონტი ხოვლე V

ყველა ნიშნით V ჰორიზონტიდან ხოვლეგორაზე წინა პერიოდებთან შედარებით უფრო ინტენსიური ცხოვრება იწყება. იზრდება თვით ბორცვზე მდებარე ნამოსახლარის ფართობი, და ჩრდილოეთის მხრიდან მას ნასოფლარი უჩნდება. შესაბამისად განათხარი მასალაც მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი, თუმცა უდიდეს ნაწილში მხოლოდ ფრაგმენტების სახით. კერძოდ, სულ თითო-ოროლა ჭურჭლის ფორმის აღდგენა მოხერხდა მეტ-ნაკლებად მთლიანად. ეს, რასაკვირველია, პირველ რიგში გამოწვეული უნდა

იყოს იმით, რომ, როგორც ჩანს, ამ დროს ხოვლეგორის ნამოსახლარს არ გა-. ნუცდია რაიმე დიდი სტიქიური თუ სხვა კატასტროფა, ისეთი, მაგალითად, როგორიც VI ფენაში დასტურდება და რომელიც არქეოლოგისათვის, ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, ბედნიერ შემთხვევად ითვლება.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული მცირე ხანძრის ნიშნების დამადასტურებელ ფაქტებს V ჰორიზონტის ხოვლეგორაზეც ვხვდებით. ეს ჩანს, როგორც განათხარ ნაგებობათა ნაშთებიდან (ე. წ. „ვერძისთავებიანი ოთახი“), აგრეთვე ამ ფენის მასალის, კერძოდ, კერამიკის მიხედვითაც (№ 1943 = 2216 = 2223).

## კ ე რ ა მ ი კ ა

(ტაბ. XXV—XXXIX)

რაიმე არსებით ცვლილებას V ჰორიზონტის კერამიკა წინა ფენებთან შედარებით არ ამჟღავნებს და, პირუკუ, რამდენადაც შეიძლება ფრაგმენტების მიხედვით იმსჯელო, იგი იმეორებს ჩვენთვის უკვე ცნობილ ჭურჭლეულს და მის ორნამენტაციას.

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი. წარმოდგენილია ერთი შავადგამომწვარი სქელკეციანი (1,5), ბაკოგადმოკეციალი ნატეხით, რომელსაც არათანაბარი გამოწვის შედეგად ზედაპირი ორფერი აქვს: ლეგა და წაბლისფერი (№ $2093_5$).

გვხვდება აგრეთვე ქ ო ც ო ე ბ ი ს ფრაგმენტები სქელი, შვეული ან გადმოწეული ბაკოთი ($2160_3$). ამათგან ზოგიერთი ზედმიწევნით იმეორებს VI ფენის ამგვარ ჭურჭელს (№№ $2093_1$; $2285_2$; $2359_9$). ერთ შავპრიალა დიდ ჭურჭელს მეტად დაბალი ყელი და გასქელებული ბაკო აქვს (№ 296—61). პირის ასეთი პროფილი მომდევნო ჰორიზონტებისათვის ჩანს დამახასიათებელი.

ასეთივე ფორმისაა უფრო მომცრო ზომის მსგავსი ჭურჭელი ჩრდ. ნასახლარის № 1a ნაგებობიდან (№ 2347— N), რომელიც მხარზე შემკულია რელიეფური სწორხაზოვანი და ტალღური სარტყლებით, მსგავსად ზემოხსენებული შავპრიალა ჭურჭლისა, ხოლო დაბალი ყელის ქვეშ სამი კონცენტრული ღარი შემოსდევს — ესეც თითქოს მომდევნო ჰორიზონტების ამგვარი ჭურჭლისთვისაა დამახასიათებელი.

დ ე რ გ ე ბ ი. ერთი დიდი, ორყურა, ლეგად გამომწვარი დერგი (№ 392—61—N) კვერცხისებური კორპუსით იმეორებს ქვედა ჰორიზონტებიდან ცნობილი ასეთი ჭურჭლის ფორმას. ყელის ძირში და მხარზე იგი შემკულია კონცენტრული ღარებით, ხოლო მთელი კორპუსი დასერილია პრიალა მერიდიანული ხაზებით. ასეთივე პრიალა განივი ხაზებითაა შემკული ბრტყელ-ოვალური განივკვეთის პატარა ყურები. ძირის კიდე ოდნავ დიფერენცირებულია და დაჭდეულია ირიბი „ფრჩხილის“ ორნამენტით („გრეხილი“).

მეორე, შავპრიალა აგრეთვე დიდი დერგი კარგი ნახელავია. ისიც ზემოხსენებულივით ჩრდ. ნასოფლარის ერთ-ერთი (№ 2) ნაგებობიდანაა. ყელზე და მხრებზე ამასაც კონცენტრული ღარები შემოუყვება, მუცელზე რელიეფური კოპი ამკობს, ხოლო გაუპრიალებელი ქვედა ტანი შემკულია ლაზათიანად დატანილი მოქნილი პრიალა ხაზებით (№ 48—61—N).

დანარჩენები მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. ეს არის ჭურჭლის ყელის ფრაგმენტები 3—5 სმ-ის სიმაღლისა, 0,6—0,9 სმ-ის კეცის

სისქით. მათ ბაკო ყოველთვის გადმოზნექილი აქვთ და ყელის ქვეშ, ჭდეული ღარების სარტყელი შემოსდევთ, ხოლო მხარზე რელიეფური კონცენტრული სარტყლები (№ 2346—N; 156—61), ეს არის ჩვეულებრივი, ჩვენთვის უკვე ცნობილი დერგების ფრაგმენტები. გვხვდება რამდენადმე განსხვავებული ცალებიც.

აღსანიშნავია, ჯერ ერთი, თავისი დიდი ზომით (ყელის h = 5,5; პირის d = 18; კეცი = 0,8) ერთი ასეთი ჭურჭლის ფრაგმენტი (№ 1943 = 2216 = 2223), რომლის ნატეხებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ სხვადასხვაფრად, შავად და ღიაწაბლისფრადაა გამომწვარი, რაც მოწმობს დამტვრევის შემდეგ ამ ჭურჭლის ზოგიერთი ნატეხის ხელმეორედ გამოწვას ხანძარში.

შემდეგ, ერთი შავპრიალა ფრაგმენტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია კარგად დიფერენცირებული, მაღალი და შვეულპირიანი ბაკო (№ $2333_3$); აგრეთვე, მხარზე, უჩვეულოდ, რელიეფური სწორკუთხა პრიზმისებური დანაძერწით შემკული ფრაგმენტი, რომელიც ჭდეულ ორნამენტსაც ატარებს: ყელზე წვრილი ღარები, მხარზე —— თევზიფხური (დანაძერწის ზურგზე) და დაშტრიხული სამკუთხედები (№ $323_7$—61).

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მაღალყელიანი დერგის ფრაგმენტები, ძლიერ გამოწეული ჰორიზონტული ბაკოთი, რომლის ბრტყელ ზედაპირს წვრილი, მაგრამ მკვეთრი ღარი შემოუყვება, ხოლო გარეპირიც დაჭდეულია ირიბი შტრიხებით. ამას გარდა დერგი მხარზედაც ყოფილა შემკული ჭდეული ორნამენტით: ყელის ძირში ირიბწერტილოვანი შტრიხების სარტყლით, მხარზე — რომბულ-უჯრედებიანი ბადისებურად დაშტრიხული შვეული ზოლებითა და სამკუთხედებით (№ $2124_1$).

შესაძლებელია დაბალყელიანი დერგის (თუ ქოთნის?) ნატეხი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი შემკული პრიალა ორნამენტით: შუასიგანის ვერტიკალური ხაზებით. ხაზებს ზემოდან პრიალა წვრილი ტეხილით (№ $2106_2$).

დ ო ქ ე ბ ი საკმაოდ მრავალმხრივი ასორტიმენტითაა წარმოდგენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ესენიც მხოლოდ ფრაგმენტების სახით. გვხვდება შვეულყელიანი ცალები, პირზე მაღლა აზიდული რკალური ყურით, რომელიც ზოგჯერ თხელი და განიერი ირიბი ღარებითაა შემკული ზურგზე ისე, რომ „გრეხილი“ ყურის შთაბეჭდილებას ტოვებს (შდ. VI ფენის ამგვარ ყურებს) (№№ $2359_3$; $2370_5$; $2370_1$). ზოგჯერ ყური ძლიერ მორკალურია და მაშინ იგი უმეშვეოდ პირზე კი არ არის მიერთებული, როგორც ზემოხსენებულ დოქებზეა, არამედ — ბაკოს ქვეშ (№ $2093_6$). ხანდახან ასეთ ყურზე „რქისებური“ წანაზარდებიც გვხვდება (№ 1905).

ჩვეულებრივ დოქის ყელი შემკულია ხოლმე ჭდეული კონცენტრული ღარებით (№№ 1905; $2093_6$; $2359_3$; $2284_{10}$; 143—61) ანდა ასეთი ღარებით შემკულია ხოლმე მხოლოდ ყელის ძირი და მხარი (№ 2370; $2370_1$). ამას გარდა ხშირად მხარზე პრიალა ირიბი ხაზებიც დაჰქონდათ (№ $2093_6$) ან ასეთივე ხაზებით — რომბულუჯრედებიანი ბადე (№№ 1905; 2370). ერთ შემთხვევაში მხარზე განიერი ზოლებით თითქოს (ნაშთიღაა) სვასტიკაა გამოსახული, თუმცა იმდენად ულაზათოდ, რომ შესაძლებელია ეს შემთხვევითი იყოს (№ 2370).

შვეულყელიანი დოქების გვერდით გვხვდება პირგადაშლილი ცალებიც (№ 1904) და აგრეთვე ძაბრისებური ყელიახებიც, შემკული გარედან ზემოხსენებულებსავით კონცენტრული ღარებით (№№ $2165_2$; $29_1$—61; 148—61).

ამათგან ორი შავპრიალა, დიდი, კარგად ნახელავი დოქის პირები დამატებით შემკულია პირის შიგნიდან, ბაკოსთან: ერთს სამი შუასიგანის თხელი ღარი შემოსდევს (№ 2280$_2$), ხოლო მეორეს—ერთი შუასიგანის მკვეთრი ღარი და ამის პარალელურად წვრილი ღარი. მათ შორის მოთავსებულ ზოლზე კი — ირიბი „ფრჩხილების“ სარტყელი (№ 1724).

ასეთივე დოქების (?) ფრაგმენტები აღმოჩნდა ჩრდ. ნასოფლარის № 1 (№ 2194$_2$— N) და № 1а (№ 2343— N) ნაგებობებში.

ამავე ნასოფლარიდან გვაქვს (№ 3 ნაგებობა) კიდევ ერთი შავპრიალა პირგადაშლილი დოქის ფრაგმენტი. მხრის ბოლოს ჭურჭელს სამი მკვეთრი კონცენტრული ღარის სარტყელი შემოსდევს, რომლისგანაც დაწნევით დატანილი მერიდიანული კონები ჩასდევს მუცელზე (№ 220—61—N). დოქისებურ ჭურჭლებშივეა აღსანიშნავი შავად გამომწვარი, შავპრიალა პატარა ხელადის ფრაგმენტი ყურის ძირის ნაშთით. მხრის ბოლოს ეს ჭურჭელი შემკული ყოფილა „სავარცხლით“ მეტად წვრილად და ხშირად დატანილი ჭდეული ტალღური სარტყლით (№ 34—61).

ქ ო თ ნ ე ბ ი. ამ ფენის მხოლოდ ერთადერთი ქოთანი იქნა აღდგენილი, ისიც ნაწილობრივ — პირი აკლია. ეს არის საკმაოდ კარგი ნახელავი შავპრიალა პატარა (h = 20), მხრებგანიერი და ძირვიწრო ქუსლიანი (d = 8,5) ჭურჭელი. ქუსლის ბაკო მცირედ, მაგრამ მკვეთრად არის დიფერენცირებული. მხარზე ორი სარტყელი შემოუყვება: ყელთან — ორ შუასიგანის თავთხელად და მკვეთრად ამოღებულ ღარს შუა ირიბწერტილოვანი შტრიხები; მხრის ბოლოს: ასეთივე ღარებს შორის არეში — ირიბწერტილოვანი შტრიხებით შექმნილი თევზიფხური. განიერ მუცელზე — რელიეფური მოკლე ვერტიკალური ხაზები. ქვედა ტანი არ არის შემკული (№ 165—61). ქოთნების სხვაგვარი ფორმების შესახებ ჩვენ მხოლოდ მიახლოებით შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მონაპოვარი ფრაგმენტების მეშვეობით. ეს არის დაბალყელიანი (2,5 სმ-მდე) სხვადასხვა ზომის ჭურჭლის პირის ნატეხები ხან სრულიად სადა, ხან კი შემკული ჭდეული ან პრიალა ხაზებით შექმნილი ორნამენტებით: ჩვეულებრივი წვრილი ღარები ყელის ქვეშ დერგებსავით ან ყელზე; ზოგჯერ კონცენტრული ხაზებით მკვეთრად დაღარულია მხარიც. უფრო იშვიათია ჭდეული „ფრჩხილის“ სარტყელი (№№ 2285$_3$; 2337$_{21}$). ხშირია მხრის შემკობა პრიალა ხაზების რომბულუჯრედებიანი ბადით (2219), ზოგჯერ ამოღარულ ტალღურ სარტყელთან კომბინაციაში (№№ 30—61; 323$_8$—61). აგრეთვე პრიალა დაშტრიხული სამკუთხედებით (№ 2099$_1$).

არცთუ ისე იშვიათი ჩანს მხრის თუ ყელის რელიეფური სარტყლით შემკობა. ერთი ქოთნის ტანი კი, როგორც ჩანს, მთლიანად ყოფილა შემკული თხელი და განიერი ღარებით, რომლებიც ერთმანეთისაგან თხელი რელიეფური კონცენტრული სარტყლებითაა გამოყოფილი (შდ. ხოვლე VII) (№ 2131$_3$). ასეთივე დაბალი რელიეფის ლეგაპრიალა ფართო სარტყლები ამკობდა, როგორც ჩანს მეორე ქოთნის ტანსაც (№ 2109).

გავრცელებულია ქოთნის ბაკოს შემკობის წესიც. ჯერ ერთი, აღსანიშნავია ერთი მაღალყელიანი (h = 3,5), დიდი (პირის d = 30) ასეთი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომლის ბაკო ზედმიწევნით ანალოგიურია ამავე ფენის ზემოთ უკვე მოხსენიებული ერთ-ერთი დერგის ბაკოსი (იხ. ზემოთ გვ. № 2124$_1$); მაგრამ იგი შემკულია მხოლოდ წვრილი და მკვეთრი ღარით (№ 2334$_3$) და გარეპირზე აღარა აქვს ირიბი ჭდეები. სამაგიეროდ ეს უკანასკნელი მოტივი, სხვა-

დასხვა ვარიაციებში, ხშირია სხვა ჭოთნებზე (№№ 2216; $2342_{15}$; $2339_{1}$; $323_{11}$—61).

განსაკუთრებით ხშირია ჭოთნის ბაკოს შემკობა რელიეფური „გრეხილით“ (№ $2132_{1}$ და სხვ.). ასეთივე „გრეხილი სალტეებითაა“ შემკული ერთი სფერულმუცლიანი, უყელო ჭოთნის ტანი (№ 2333a). V ჰორიზონტში გვხვდება აგრეთვე ე. წ. „პირმოყრილი“ ჭოთნების ნატეხები (№№ $2109_{1}$; $2331_{3}$; $323_{9}$—61), რომელთაგან ერთის ბაკო VII ფენაში ნაპოვნი ფრაგმენტის ზუსტი ანალოგიაა (№ 120—61).

ცალკეა აღსანიშნავი ერთი პატარა კოჭობი, რომელიც მთელი იყო და შიგ დამწვარი ხის პატარა ნაფოტები იდო (№ 2348) და ხოვლეგორისათვის უჩვეულო ფორმის აგრეთვე პატარა ჭურჭლის ნატეხი: პირვიწრო (d = 3,5). მხარგანიერი, იგი დაახლოებით ფუძეებით ერთმანეთზე მიდგმული თავკვეთილი პატარა კონუსების ფორმისა უნდა ყოფილიყო. მხარს ამკობს ულაზათოდ დატანილი ჭდეული თევზიფხური (№ $323_{10}$—61).

დერგებისა და ჭოთნების უამრავი ნატეხი წარმოდგენას გვაძლევს ამ ჭურჭლეულის ტანის შემკობის ხერხებზე (ტაბულა XXVIII—XXXI). ორნამენტული სახეები და ტექნიკაც ძირითადად იგივეა, რაც ქვედა ჰორიზონტებში, მაგრამ, ამ მხრივ, V ჰორიზონტში ზოგიერთი თავისებურებაც გვხვდება.

ჯერ ერთი, აქ დაჭდევის, დაწნევის, გაპრიალებისა და დაძერწვის გვერდით გვხვდება ამოღარვისა და დატვიფრვის ხერხი (იხ. ქვემოთ). გვხვდება აგრეთვე განსხვავებული ორნამენტული სახეები. მაგალითად, ერთი ჭურჭლის მხარ-მუცლის ფრაგმენტზე შერჩენილია ღრმად ამოღარული სპირალისებური ფიგურის ნაშთი (№ $2342_{10}$). ორნამენტის მთლიანი აღდგენის საშუალებას იძლევა მეორე ჭოთნის ნატეხები, რომლებიც, მართალია, არ არის ნაპოვნი ფენაში in situ, მაგრამ, ჩემი აზრით, V ჰორიზონტს უნდა მივაკუთვნოთ. ჭოთანი მდიდრულად ყოფილა შემკული მხარზე სარტყლების რამდენიმე რიგით (№ 2191): I სარტყელი—წვრილ პარალელურ ღარებში ჩასმული ირიბწერტილოვანი შტრიხების სარტყელი, ცალფა ღაროვანი ტალღა; II სარტყელი — შუასიგანის სამი თავთხელი კარგად გამოკვეთილი ღარი; III სარტყელი — წვრილი პარალელურ ღარებში ჩასმული „სავარცხლით“ დატანილი ტალღა; IV სარტყელი — ისეთივეა, როგორც II; V სარტყელი იმეორებს I-ს, მხოლოდ აქ შტრიხები სამწერტილოვანია, ნაცვლად ორწერტილოვანისა. ყოველივე ამის ქვეშ ჭოთნის მუცლის დასაწყისში ღრმა ამოღარვით დატანილი, დაწვენილი და გადმობრუნებული S-ის სახის სპირალებია.

აგრეთვე რთული ორნამენტია მეორე დიდი ჭურჭლის ფრაგმენტზე (№ $2341_{2}$), სამწუხაროდ, მისი მთლიანად აღდგენა შეუძლებელია: თევზაფხური ნაჭდევები მეტად დაბალი რელიეფით შესრულებულ კონცენტრულ წრეხაზებთან თუ სპირალთან ერთად.

ლაზათიანადაა შემკული ერთი კარგი ნახელავი წაბლისფრად გაპრიალებული სფერული ჭოთნის ტანი: დაწნევით (როგორც ჩანს, ჭურჭლის გაპრიალების შემდეგ) მიღებულია ჰორიზონტული და ვერტიკალური შუა სიგანის თავთხელი, მაგრამ წიბოებით კარგად გამოკვეთილი ღარები. მხარზე ორი ასეთი ოთხღარიანი სარტყელია. მუცელზე კი ვერტიკალური ღარები ფართო კონებად ყოფილა ჩამოსმული (№ $2359_{2}$).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთივე ხერხით შესრულებული ორნამენტითაა შემკული ლეგად გამომწვარი და წაბლისფრად გაპრიალებული, თხელკეციანი (0,3—0,4) შესანიშნავად ნახელავი პატარა ქოთნის გვერდის ნატეხი (№№ $2337_5$), მხოლოდ მისი შემკულობა — დაწნევით დატანილი, გაუპრიალებელი მკვეთრი ვერტიკალური ღარების პარალელური კონები — იმეორებს ხოვლე VII უფრო დიდი ქოთნის ასეთსავე შემკულობას. ეს უნდა იყოს იმ ტიპის ცალყურა პატარა ხელადების ფრაგმენტი, რომელსაც „თიხის სიტულებს“ უწოდებენ. თავისი ფაქტურით იგი, ვფიქრობთ ხოვლური ნაწარმი არ უნდა იყოს. ამავე ფენის ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ძლიერ დაბალი და განიერმუცლიანი ქოთნის მთელი ტანი დაფარული ყოფილა რელიეფური სხივებით, რომლებიც გამოდიან აგრეთვე რელიეფური წრიული სარტყლიდან, რომელიც, ეტყობა, გარშემოუყვებოდა ჭურჭლის პირს (№ $1874_1$).

კიდევ ერთი დიდი დერგის თუ ქოთნის ნატეხები გვიჩვენებენ განსხვავებულ ორნამენტაციას. ეს არის სილის საათის ფორმის ორნამენტი შესრულებული ჭდეული ხაზებით და ჩასმული ორ-ორი შუასიგანის თხელი ღარების სარტყლებში; ქვეშ — მინაძერწი „ყური“ სამი კოპისებური თავით (№ 1874). ორივე ეს ნატეხი (№№ 1874; $1874_1$) და აღმოჩნდა ბორცვის შემომსაზღვრელი V ჰორიზონტის გალავნის კედლის ძირში.

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი. ამ ჯგუფის ჭურჭლეულმაც V ჰორიზონტიდან მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწია. მათ შორის გვხვდება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ტიპი სხვადასხვა ზომის გვერდწიბოიანი ქვაბქოთნებისა, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ განსხვავდებიან ქვედა ფენების ამგვარივე ჭურჭელში. ზოგიერთი მათგანის ქიმი პრიალა ხაზების რომბულუჯრედებიანი ბადითაა შემკული. ერთზე—სამი პარალელური თხელი ღარია შემოვლებული (№ 32—61; შდ. ხოვლე VI, № 79—61). ზოგს ბაკოზე რელიეფური „გრეხილი“ სარტყელი ამკობს (№№ $2337_{30}$; $323_6$—61); ერთი პატარა და ღრმა, უჩვეულოდ მაღალი ქიმის მქონე ქვაბქოთნის ქვედატანი შემკულია რადიალური პრიალა სხივებით (№ 28—61; შდ. ხოვლე VI, № 204—61 და ხოვლე VIII, № 263—61), მეორისა კი შემკული ყოფილა ფართო და წვრილი ასეთივე ხაზებით (№ $2119_7$) ერთი შავპრიალა პატარა ასეთი ქვაბქოთანა თითქმის დაუზიანებლად შემორჩა (№ 280—61).

ჩვეულებრივი ქვაბქოთნების ფრაგმენტები ძალზე დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი. მათი შემკულობაც, შეიძლება ითქვას, ტრადიციულია: ყელის ძირში — წრიული ღარები და „ფრჩხილის“ სარტყლები (№№ 2096, $2337_4$, 2221); ტანზე — პრიალა მერიდიანული ხაზები (№№ 312—61; №, $2341_5$). ზოგიერთს შერჩენილი აქვს „რქებიანი“ რკალური ყური და აგრეთვე „ფრჩხილისებური“ ნაჭდევები ჭუსლიან ძირზე (№ 51—61— N). ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ულაზათოდაა შემკული (№№ $2109_2$; $2218_1$; 2215).

ცალკეა აღსანიშნავი დიდი ზომის შავად გამომწვარი ქვაბქოთნის ნატეხები, რომელიც დამატებით შემკული ყოფილა ტანზე თხლად ამოღარული ტალღისებური სარტყლებით, ხოლო ბრტყელი ძირის გარშემო აგრეთვე „ფრჩხილის ორნამენტის“ სარტყელი შემოუყვება (№ $323_{19}$—61).

ერთი პატარა, ჭუსლიანი კოჭობი დიდი ქვაბქოთნების ფორმისა და მათსავით შემკული თითქმის მთლიანად აღსდგა (№ 2358). მას მორჩისებური

ყური უნდა ჰქონოდა და, როგორც ჩანს, სრულიად იდენტური უნდა ყოფილიყო VI ჰორიზონტის ასეთივე კოჭობისა[1].

ტ ო ლ ჩ ე ბ ი. ამ ტიპის ჭურჭელი თითო-ოროლა ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ორი მათგანის ფორმა, რამდენადაც ნატეხები ამაზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევენ, იმეორებს ქვედა ჰორიზონტებიდან ცნობილ მსგავს ფორმებს. ერთ-ერთს (ხელით ნაძერწს) აქვს „რქებიანი“ პატარა ყური (№№ 2223$_1$; 2333$_3$). ორი დანარჩენი შეეულგვერდებიანია და უფრო დ ი დ ი ჭ ი ქ ი ს ე ბ უ რ ი ჭურჭლის ნატეხები უნდა იყოს. ერთს შეეული ბაკოს ქვეშ ორი თხელი ღარი შემოუყვება (№ 33—61), მეორის მთელი ტანი კი შემკული ყოფილა ძლივსშესამჩნევი, წვრილი, რელიეფური პარალელური წრეხაზებით (№ 2367).

ხოვლეგორის V ჰორიზონტმა შემოგვინახა მეტად საინტერესო ჭურჭლის ორი ფრაგმენტი, რომელიც ამავე რიგში უნდა მოვიხსენიოთ. ეს არის რუხად გამომწვარი, ლეგაზედაპირიანი ფ ე რ ხ ე დ ი ღ რ უ თ ა ს ი ს ძირის ნატეხები. თასი შემკული ყოფილა დატვიფრვის წესით დატანილი ორნამენტით: ძირში — წვრილი და მკვეთრი პარალელური ღარებით შექმნილ არეში ორმწკრივად განლაგებულია ფუძეზე მდგარი ჭდეული პატარა სამკუთხედები, რომლებიც, როგორც ნაშთების მიხედვით ჩანს, თეთრი მასით ყოფილან ამოვსებული. ამ სარტყლის ზემოდან სწორკუთხა რელიეფურ ჩარჩოში ვანლაგებულია რელიეფურივე, წვრილი ოთხკუთხედები (№ 2335). სამწუხაროდ, ორნამენტის მთლიანი აღდგენის საშუალებას ნატეხები არ იძლევიან.

ჯ ა მ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი აგრეთვე დიდი რაოდენობით შემოგვენახა. ზოგიერთი მათგანის აღდგენაც მოხერხდა.

განსაკუთრებით საინტერესოა შავადგამომწვარი, კარგი ნახელავი დიდი (პირის d = 35), ბრტყელძირიანი (d = 9), ძაბრისებური ფორმის „ხილის მისართმევი“ ლანგარი (№ 1857), რომლის ბაკო რელიეფურ, „გრეხილ სალტეს“ წარმოადგენს. იგი, როგორც ჩანს, ჩარხზე გამოყვანის შემდეგ მიუძერწიათ ლანგრის პირზე. „გრეხილი სალტე“ ჭურჭლის ტანიდან წვრილი, მაგრამ მკვეთრი ღარებითაა გამოყოფილი.

ასეთივე, ძაბრისებური ფორმისაა უხეშად ხელით ნაძერწი ღრმა (7,5) და პატარა ჯამი (№ 2072), რომელიც სრულიად იდენტურია VI ჰორიზონტის „დიდი დამწვარი ოთახის“ საკურთხეველზე ნაპოვნი ხელით ნაძერწი ჯამისა (იხ. ზემოთ, ხოვლე VI, № 257—61).

V ჰორიზონტში გვხვდება უკვე ყველა ის ტიპი ქიმიანი ჯამებისა თუ ლანგრებისა, რომლებიც ხოველეს შემდეგდროინდელ ფენებშიცაა გავრცელებული:

ტიპი Ia — პირგადაშლილი ქიმგაზნექილი ჯამები.

ტიპი Ib — პირგადაშლილი სწორქიმიანი ჯამები.

ტიპი II — შვეულქიმიანი ჯამები.

ა ნ გ ვ ა რ ი ჯ ა მ ე ბ ი ქვედა ფენებისთვისაცაა დამახასიათებელი, მაგრამ გვხვდება ისეთი ტიპისაც, რომლებიც, რამდენადაც ხოვლეს განათხარი მასალა ამის საშუალებას იძლევა, მგონი, უფრო V და შემდგომი ჰორიზონტებისთვისაა დამახასიათებელი, თუკი საერთოდ მხოლოდ ამ დროიდან დაწყებული არ შემოდის აქ ხმარებაში. ესენია:

---

[1] № 196—61.

ტიპი IIIa — პირშეწეული ქიმშეზნექილი და
ტიპი IIIb — პირშეწეული სწორქიმიანი ჯამები.

ცხადია, ჯამების ჩვენი ასეთი კლასიფიკაცია მხოლოდ პირობითი შეიძლება იყოს, რამდენადაც, ჯერ ერთი, არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, გათხრილი ფართობის სიმცირის გამო, რომ ხოვლეგორის ფენათა ინტენსივობა და თითოეულ მათგანში მოპოვებული მასალის რაოდენობის ურთიერთშეფარდება რეალურად გამოხატავდეს ხოვლეგორის მოსახლეობის ცხოვრების ინტენსიურობას სხვადასხვა ეტაპზე. შემდეგ, ჩვენ საქმე გვაქვს, უმთავრესად, ამ ჭურჭლის პირის ფრაგმენტებთან, რაც არ იძლევა საშუალებას ფორმა მთლიანად წარმოვიდგინოთ და ამდენად დანამდვილებით თითქმის არასოდეს ვიცით ჯამი ჭუსლიანია თუ ძირბრტყელი და სხვ. მესამეც, ცხადია, გვხვდება ისეთი გარდამავალი ფორმის ფრაგმენტები, რომელთა გადაჭრით მიკუთვნება ამა თუ იმ ტიპისადმი ყოველთვის საეჭვოდ რჩება. და მაინც, ძირითადში, ამ ჭურჭლეულის ასეთი კლასიფიკაცია, ვფიქრობთ, სწორია და ხოვლეს განათხარი მასალის მიმართ გარკვეული შედეგების მომცემიც.

დიდი ნაწილი ჯამ-ლანგრებისა შემკულია. ამკობდნენ, როგორც ბაკოსა და ქიმებს, აგრეთვე ჯამების ფსკერს (შიგნიდან) და ქვედა ტანსაც (გარედან). ორნამენტის დატანის ხერხებიც ჩვეულია: ამოღარვა, გაპრიალება და დაძერწვა. საინტერესოა, რომ, როგორც ეს ჩვენს ხელთ არსებული მასალით დგინდება, ამა თუ იმ ტიპის ჯამ-ლანგრებს უპირატესად სხვადასხვა გარკვეული ორნამენტული სახეებით ამკობდნენ.

მაგალითად, I ტიპის ჭურჭელს ქიმზე, უმთავრესად, ცალფა ამოღარულ ტალღას შემოავლებდნენ ხოლმე ფსკერზე, რომელიც ხშირად, ფართო პრიალა რადიალური ზოლებით რამდენიმე სექტორად იყოფოდა, დაჰქონდათ (თითოეულ ამ სექტორში) წვრილი პრიალა ხაზები ან რომბულუჯრედებიანი ბადე. ქვედა ტანს კი გარედან პრიალა სხივებით თუ სხივთა კონებით ამკობდნენ (იხ. 323—61; $1323_5$; $2285_1$; 65—61—N).

II ტიპის ჯამების ქიმზე უფრო ხშირად „სავარცხლით“ დატანილი ტალღური სარტყელია გამოსახული (იხ. $323_2$—61; 2367), ხოლო ბაკოს, ქოთნებისა და ქვაბქოთნების მსგავსად, რელიეფური „გრეხილი სალტე“ შემოსდევს (იხ. 118—61; $2342_1$). ცხადია, ზოგჯერ ამ ორნამენტული მოტივების კომბინაციაც ხდებოდა. რაც შეეხება III ტიპის ჭურჭელს, ისინი თითქმის მხოლოდ ქიმზე შემოვლებული ღარებით არიან შემკულნი (113—61; $323_5$—61). სწორედ ამ უკანასკნელი ვარიანტის ჯამ-ლანგრები მიგვაჩნია ჩვენ V და მომდევნო ჰორიზონტებისათვის დამახასიათებლად და, მართლაც, ორი საეჭვო შემთხვევის გარდა, ისინი ძველ ჰორიზონტებში არ შეგვხვედრია (იხ. ზემოთ, ხოვლე VI, №№ 73; 109).

ცალკეა აღსანიშნავი რამდენიმე ჯამის ფრაგმენტის ორნამენტაცია: ქოთის ქიმზე დატანილია წყვეტილი ცალფა ტალღა, ორი გადაბმული ქართული ო-ნის სახისა (№ $2359_8$). მეორე — შემკულია კომბინირებული ხერხით; შვეულ ქიმთან მართი კუთხით გადმოწეული განიერი და ბრტყელი ბაკოს ზედაპირზე — წვრილი რელიეფური „გრეხილი სალტეა“; გარეპირზე — ფართო ასეთივე „გრეხილი“; ხოლო ქიმს ამოღარული რომბების მწკრივი ამკობს, რომელიც, ფაქტიურად, ერთმანეთზე დადგმული ორი ცალფა ტეხილი ტალღის სარტყლის მიერაა შექმნილი (№ $2342_1$). ორი ჯამის ფსკერი კი წვრილი პრიალა რადიალური ხაზებით დაყოფილია სექტორებად, რომლებიც ასეთივე

ხაზებით, მონაცვლეობითაა შემკული: ერთის — ბადისებური ორნამენტით და რადიალური ტალღური ხაზებით (№ 222—61—N); მეორის — ირიბი შტრიხებით და აგრეთვე რადიალური ტალღური ხაზებით (№ 225—61— N). ორივე ჯამის ფრაგმენტი ჩრდილოეთის ნასოფლარიდანაა.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ფენაში დამოწმებული, ხოვლესათვის უჩვეულო, ფერხედი თეფშის ფრაგმენტი.

შავპრიალა თეფში საშუალო ზომისაა (d=20) კარგი ნახელავი, პირგადაშლილი (ტიპი I b), შვეულ ქიმზე მკვეთრი შუასიგანის ღარით, კარგად გამოკვეთილი ჭუსლით (d=7). ქვედა ტანის კიდეზე შერჩენილი აქვს ერთი მრგვალგანივკვეთიანი ფეხის ნაშთი (№ 114—61). სავარაუდოა რომ სამი ასეთი ფეხი უნდა ჰქონოდა. მსგავსი რამ ამ ჰორიზონტში ჩვენ არ შეგვხვედრია. აქვე აღვნიშნავთ მინიატურულ ჭუსლიან ჯამს (ტიგელი?) (№ 2332).

როდესაც ჩვენ ხოვლეგორის ამ ჰორიზონტის ჯამ-ლანგრებზე ვლაპარაკობთ, უნდა მოვიხსენიოთ ერთი ფაქტი. V ჰორიზონტის ხოვლეგორის შემომსაზღვრელი გალავნის კედლის ძირში სხვა კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა ერთი (თუ ორი?) წითლადგამომწვარი და წითელწერნაქიანი, თხელკედლიანი, პროფილირებული ჯამის ორი ნატეხი (№№ 1881a; 1881b). აქ ეჭვის შეტანა აღმოჩენის ფიქსაციაში ძნელია. ე. ი. გამოდის რომ წითელწერნაქიან ჯამებს, რომლებიც ხოვლეში III ჰორიზონტიდანაა დამახასიათებელი (იხ. ქვემოთ), იცნობდნენ უკვე V ჰორიზონტშიც.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ხოვლე IV ასეთი ჯურის კერამიკას არ იცნობს, აგრეთვე ორიოდ ფრაგმენტს გარდა (იხ. ქვემოთ). IV ფენა კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რამდენიმე საუკუნეს მოიცავს.

ასე რომ ჩვენ იძულებულნი ვართ ვაღიაროთ: ზემოხსენებული ფრაგმენტები არ არის ნაპოვნი in situ და ხოვლე V კედლის ძირში უფრო გვიან უნდა მოხვედრილიყვნენ (IV ან III ჰორიზონტების შესატყვის პერიოდში). მით უმეტეს, რომ ფაქტურითაც ეს ჯამები უფრო გვიანდელი ნახელავი უნდა იყოს.

ამავე ჰორიზონტიდანაა ლეგად გამომწვარი თიხის პატარა წაღისებური სასმისი, რომელსაც თავი ჩამოტეხილი აქვს, თუმცა ბევრი აღარ უნდა აკლდეს. „ლანჩის“ გარშემო, აგრეთვე ყელის გარშემო და სასმისის (წაღის) წინა ნაწილზე ჭდეული ირიბი შტრიხების არშია აქვს შემოვლებული — ტყავის თუ ქეჩის გადანაკერის იმიტაცია (№ $48_1$—61— N).

აღსანიშნავია აგრეთვე ჭურჭლის ცალკეული ყურების შემკულობა. ქვედა ჰორიზონტებში გავრცელებული მარტივი რკალური, მორჩისებური და „რქებიანი“ ყურების გვერდით აქ გვხვდება VII ჰორიზონტის მსგავსად (შდ. ზემოთ, ხოვლე VII, № $300_2$—61), „ცხვრისთავიანი“ ყური (№ $2342_5$). აგრეთვე სწორკუთხა განივკვეთიანი რკალური ყურები თავთან დანაძერწი „მეჭეჭებით“ (№ $2280_1$; შდ. VII ჰორ. № $318_2$—61). ერთი ყურის ასეთი შემკულობა საკმაოდ რთულია: ყურის თავთან, გვერდებზე თითო მსხვილი ცილინდრული კოპია მიძერწილი. მათ შორის ორრიგად — ოთხ-ოთხი ბრტყელი ღილაკი, ხოლო ამ რიგებს შორის — დაჭდეული „თევზიფხური“ ($2342_3$).

ორ პატარა ყურს თავზე მაღალი ცილინდრული კოპი უზის, ხოლო ერთერთ მათგანს ზემოდან კიდევ პატარა მეჭეჭი აქვს (№№ 41—61; 160—61). გვხვდება აგრეთვე „უნაგირისებური ყურებიც“ (№№ 29—61; $2333_1$), მაგრამ ახალი ჩანს მათი დერივაცია: მუთაქისებური დანაძერწები დასერილია ღრმა

და ვიწრო „ფრჩხილისებური“ ჭდეებით (№№ $2113_2$; $323_{15}$—61), ერთ-ერთი ასეთი მაღალი რელიეფის „ყური“ (№ $2337_{18}$) ზუსტ ანალოგიას პოულობს VII ჰორიზონტის „რქებიანი“ რკალური ყურის თავთან (№ $318_1$—61).

ამ ჰორიზონტის თიხის ნაწარმიდან უნდა აღვნიშნოთ ჭურჭლის ხ უ ფ ე ბ ი, რომლებიც წინა პერიოდის ამგვარივე საგნებთან შედარებით თითქოს უფრო რკალური კონტურისანი არიან (ტაბ. XXXVIII, №№ 2340; 2330), თუმცა ერთ-ერთს კონუსისებური მოყვანილობა აქვს და თან თავზე, წვერის გარშემო, სამი კონცენტრული შუასიგანის ღარების წრეხაზი შემოუყვება (№ 2287); შავადგამომწვარი კ ო ვ ზ ი სატარეში ოთხკუთხი ნახვრეტით ხის ტარისათვის (№ 2308, ტაბ. LXIII); ურმის ბორბლის სალტისებური „ს ა დ გ ა რ ი“ (h = 12; d = 23,5), VI ჰორიზონტში ნაპოვნის მსგავსი, მაგრამ გაცილებით უკეთესი ნახელავი, ორივე პირზე რელიეფური „გრეხილით“ (№ 2304). ორივე უკანასკნელი საგანი „ვერძისთავებიან“ ოთახში აღმოჩნდა. ამ ჰორიზონტში კიდევ ხუთი ამგვარი „სადგარის“ ფრაგმენტები აღმოჩნდა (№№ $2082_{10}$; $2341_6$; 121—61; 2194— N; 2343— N). სხვაგვარი ტიპის ასეთივე დანიშნულების (?) საგანია (№ 2336) აღმოჩენილი V ჰორიზონტის ერთ ოთახში. განსხვავებით ზემოაღნიშნულებისა, ამ უკანასკნელის კორპუსი შეზნექილია (d = 19).

ჩრდ. ნასოფლარის № 1 ნაგებობაში აღმოჩნდა თითქმის სრულიად დაუზიანებელი ჭ რ ა ქ ი, რომელიც თავისი ფორმით მომდევნო ჰორიზონტების ჭურჭლის ხუფებს მიაგავს (№ $2194_1$— N). ერთი პატარა ნივთი (№ $323_{19}$— 61), ბრტყელძირიანი „ფეხსაცმლის“ ფორმისა, გაურკვეველი დანიშნულებისაა. ზემოდან მას ღრუ აქვს, რომელშიც ალბათ ხის (?) ღერძი თუ იდგმებოდა. როგორც ჩანს, ეს ნატეხი, რაღაც უფრო დიდი საგნის დეტალს წარმოადგენს. აგრეთვე რაღაცის (სათამაშო ურმის?) დეტალს უნდა წარმოადგენდეს ბ ო რ ბ ლ ი ს მ ო დ ე ლ ი, რომლის ფრაგმენტიღაა შემორჩენილი (№ $2131_{11}$).

დაბოლოს, არქიტექტურული დეტალებია საკმაოდ მაღალი ხელოვნებით შესრულებული ვ ე რ ძ ი ს თ ა ვ ე ბ ი ს ქ ა ნ დ ა კ ე ბ ე ბ ი (№№ 2299—2303), აღმოჩენილი ყველა ერთ, საკულტო დანიშნულების ნაგებობაში, რომელსაც ამის გამო „ვერძისთავებიან ოთახს“ უწოდებენ. ეს ქანდაკებები წინა ფენების ანალოგიურ ძეგლებთან შედარებით აშკარად მიუთითებენ მხატვრული გემოვნებისა და ხელოვნების განვითარებას.

იმავე „ვერძისთავებიან ოთახში“ აღმოჩნდა აგრეთვე მ ი ნ ი ა ტ უ რ უ ლ ი ქ ა ნ დ ა კ ე ბ ე ბ ი, რომელთაგან ორი, თითქოს, ანთროპომორფულია (ტაბ. LXIII №№ 2312; $2312_1$) და გამოუწვავი თიხისგან დამზადებული გაურკვეველი დანიშნულების, ბრტყელთავიანი სოკოს ფორმის საგანი. აქვეა აღმოჩენილი გამომწვარი თ ი ხ ი ს ჩ ა რ ჩ ო ს ე ბ უ რ ი საგანი (№ 2351).

## ლითონის ნაკეთობა

### ბ რ ი ნ ჯ ა ო

(ტაბ. LXII)

№ 13—61— N. სამკუთხა ფირფიტოვანი, ყუნწიანი ისრისპირი. ფრთების ბოლოები წატეხილი აქვს. აქვე მოვიხსენიებთ კიდევ ორ სამკუთხა ფირფიტოვან ისრისპირს, რომელთაგან ერთი (№ 845) აგრეთვე ყუნწიანია, ხოლო მეო-

რე (№ 987) ქუსლამოღარული და შუაში გახვრეტილი. ორივე ამ უკანასკნელი ისრისპირის ზუსტი სტრატიგრაფიული კუთვნილება გაურკვეველია.

№ 2159$_1$. მრგვალგანივკვეთიანი ყუნწგახვრეტილი მახათი (I = 6,5).

№ 2159. ნემსის ნატეხი.

№ 8—61— N. თავკონუსური საკინძი.

№ 3—61— N. ორფერდასახურავიანი საკინძი, ხორხისებური ყელით. წვერი ჩამოტეხილი აქვს.

№ 2205$_1$— N. ოთხკოპიანი საკინძი ხორხისებური ყელით.

№ 2054. თავგახსნილი, ძლიერ პატინიზებული პატარა რგოლი (ბეჭედი?).

№ 10—61— N. ნახევარსფერული ღილი.

№ 5—61— N. ოვალურზედაპირიანი, რომბისებური ღილაკი.

№ 11—61— N. პატარა მანჭვალი (?), წვერწატეხილი.

№ 2205— N. ბრტყელფირფიტოვანი სვასტიკა. ორი მკლავი წატეხილი აქვს. დანარჩენი ორის ბოლოები გახვრეტილია, როგორც ჩანს, დასამაგრებლად (ტანისამოსზე?).

№ 2352. უფორმო, „ნაღვენთისებური“ ბრტყელი ნაჭერი „ვერძისთავებიანი ოთახის“ საკურთხევლიდან. ბოლოში თითქოს საგანგებოდ მოტეხილია. შესაძლებელია წარმოადგენდეს ბრინჯაოს პატარა „ზოდს“ წვრილი ნივთების ჩამოსასხმელად (იხ. ქვემოთ).

№ 1011—S. ბრინჯაოს სატევრის ფრაგმენტები, ქედზე ორი ღარით, შემთხვევით აღმოჩენილი სამხრეთი ნასოფლარის ტერიტორიაზე, დროის მიხედვით ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს (ტაბ. LXI).

## რკინა

№ 2307. გრძელი და წვრილი, სწორპირიანი დანის პირი. გატეხილია.

№ 2141. ასეთივე დანის პირის სამი ფრაგმენტი.

№ 2141$_1$. პატარა ასტამისებური საგანი ოთხკუთხა მოყვანილობისა, ტუჩებიანი (მასრაგახსნილი) სატარით, რომელშიც ხის ნაშთი იყო შერჩენილი.

## ქვის ნაკეთობა

(ტაბ. LXI, LXIII)

ცული (?), დამზადებული რიყის ბრტყელი ქვისაგან, წელში შეზნექილი, როგორც ჩანს, ხის ტარის დასამაგრებლად (№ 279—61) (l = 16; პირის სიგანე = 15; ყუის სიგანე = 11). პირი ჩამოტეხილი აქვს.

კაჟის ნამგლის ჩასართები, 6 ც (№№ 2157; 2176; 2138; 2158; 2156; 2291).

ოთხწახნაგა პირამიდისებური საგნები, ქვედა ნაწილში გამჭოლად გახვრეტილი, ბრტყელ ძირში კი ამოღრუებული. ერთერთი მათგანის ძირის ღრუს კიდეები ძლიერ გახეხილ-გაპრიალებული და გაშავებულია (№ 2177). შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ამ ღრუში ღერძი იყო ჩადგმული, რომელიც სწრაფად ტრიალებდა. მეორე ასეთივე საგნის წახნაგები ორნამენტირებულია ირიბი და გრძივი ჭდეებით (№ 2148). ამ საგანთა დანიშნულება ჩემთვის გაურკვეველია.

ჩამოსასხმელი ყალიბის ფრაგმენტი, რომელიც ლეგა ჭანის ქვის ბრტყელ გასიპულ ოთხკუთხა ნატეხს წარმოადგენს. ეს ფრაგმენტი ორმაგი ყალიბის ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს (თუ სამმაგი ყალიბის შუა ნაწილი?), ოთხი გამჭოლი ნახვრეტით — მეორე ნაწილთან დასამაგრებლად. იგი ორმხრივ ჩამოსასხმელი ყოფილა: ერთ სიბრტყეზე თითქოს სხივისებური საყურეების ყალიბია, მეორეზე კი — ისრისპირების (?) (№ 2311). ეს საინტერესო საგანი აღმოჩნდა „ვერძისთავებიანი ოთახის“ საკურთხეველზე.

სალესი ქვის ნატეხი (№ 2167).

მრგვალი კვერის ფორმის ბრტყელძირიანი ქვის ნატეხი (№ 2376)— გაურკვეველი დანიშნულებისა.

რიყის ქვები (ოთხი ცალი). ერთ-ერთი კიდესთან გახვრეტილია (№ 2360). აღმოჩნდა „ვერძისთავებიანი“ ოთახის საკურთხევლის უკან (შდ. ზემოთ VI ჰორ., № 4761, ასეთივე რიყის ქვები საკურთხევლის „ჯიბიდან“. ორი მათგანი გახვრეტილია!).

## ძვლის ნაკეთობა

(ტაბ. LXI, LXIII)

მშვენივრად ნახელავი, წაგრძელებული ფორმის, ოთხწახნაგა (l = 10) ისრისპირი (№ 320—61), მრგვალგანივკვეთიანი გრძელი ყუნწით (l = 4) აღმოჩნდა ბორცვზე, IV ჰორიზონტის ბოსლის ფილაქნის ქვეშ.

№ 7—61— N. პატარა სწორკუთხა ფირფიტა გახვრეტილი ორივე ბოლოში.

№ 2202— N. თავგახვრეტილი სადგისის ნატეხი.

## მძივები

პასტის ცისფერი მასიდან დამზადებული მძივები: ერთი (№ $2139_1$) — ბრტყელი წრიული ფორმისაა, ოდნავ თავბოლო წაბრტყელებული. წიბოზე წვრილი და მკვეთრი ღარი შემოუყვება. კიდეები ირგვლივ ორივე მხარეს წვრილი პატარ-პატარა ნაჭდევებით აქვს შემკული. შუაში წრიულად გახვრეტილია. დაბრტყელებულ მხარეებში ძაფის გასაყრელი წვრილი ნახვრეტებით (d = 1/5; h = 0,3).

მეორე — სწორკუთხა ფორმისაა. მოკლე წახნაგები ოდნავ შეზნექილია და აქედან ძაფის გასაყრელი ნახვრეტები აქვს. შუაში ესეც წრიულადაა გახვრეტილი (№ $2139_2$). (l = 1; b = 0,8; h = 0,3).

მესამე, აღმოჩენილი ჩრდ. ნასოფლარის № 3 ნაგებობაში მოიწვანო ფერისაა, დიდი, სფერული, სიგრძივ დაღარული ზედაპირით (№ 316—61—N).

სარდიონის ე. წ. „დახეთქილი“ პატარა მძივი (№ $2139_3$), აღმოჩნდა IV ჰორიზონტის „კოდებს“ ქვეშ.

№ 6—61— N. წარმოადგენს ნიჟარის ნატეხს გამოყენებულს საკიდად.

## თავი V

## ჰორიზონტი ხოვლე IV

### კერამიკა

### (ტაბ. X—XLIX)

IV ჰორიზონტის ნამოსახლარი ხოვლეგორაზე (ბორცვზე) კიდევ უფრო ფართოვდება, ამასთან ერთად, თუკი აქამდე იგი ძირითადად ბორცვის თხემზე იყო გაშლილი, ახლა უკვე ფერდებზედაც ჩნდება მნიშვნელოვანი სამეურნეო ნაგებობები (ბოსელი). ნასოფლარი, რომელიც ბორცვს ჩრდილოეთიდან ეკრა, ამ დროისათვის სწყვეტს არსებობას და ბორცვის სამხრეთით ინაცვლებს.

როგორც ჩანს, ამ პერიოდის ზოგიერთი შენობა ხოვლეგორაზე ერთბაშად დანგრეულა და ჭურჭელი, რომელიც ამ შენობებში იყო ადგილზევე დარჩა. ამ გარემოებამ საშუალება მოგვცა მათი საკმაო რაოდენობის აღდგენისა ისე, რომ მთლიანი ფორმების წარმოდგენა შესაძლებელი ხდება. მაგრამ, რასაკვირველია, აქედანაც ჭურჭელთა უდიდესმა ნაწილმა ფრაგმენტების სახით მოაღწია.

საწუხაროდ, IV ჰორიზონტის ხოვლეგორული ქვევრების შესახებ ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია, რადგან არც ერთი ამ დროის შემორჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი ამგვარი იდენტიფიკაციის საშუალებას არ იძლევა. თავისთავად ცხადია, ეს შემთხვევითი გარემოება უნდა იყოს და არა იმის მაჩვენებელი, რომ ამ პერიოდში ქვევრებს არ ამზადებდნენ. ეს მტკიცდება იმით, რომ ასეთი ტრადიცია, როგორც ვიცით, ადრეც არსებობდა და უფრო გვიანაც ამგვარი ჭურჭელი სახეზეა (იხ. ქვემოთ).

საინტერესოდ შემონახულია რამდენიმე ფრაგმენტი ქოცოებისა. ეს არის სქელკედლიანი (0,9—1,3) დიდი ჭურჭლების პირის ფრაგმენტები, რომელთაც ყელთან, განსხვავებით V—VI ჰორიზონტების მსგავსი ჭურჭლისაგან, რელიეფური სარტყლები კი არ შემოუყვება, არამედ — მკვეთრად ჭდეული კონცენტრული ღარები. ბაკო მაღალი, გასქელებულია და ან უშუალოდ მხარზე დევს (№ 1760), ანდა დაბალი ყელითაა მასთან შეერთებული (№ 2327), ამ უკანასკნელი ჭურჭლის პირის პროფილი იმეორებს VII ფენის დიდი დერგის (თუ ქოცოს?) პროფილს (იხ. ზემოთ, ხოვლე VII, № $2368_2$; შდ. ხოვლე VI, № $2377_2$). ქოცოს პირის ფრაგმენტი უნდა იყოს ბოსლის იატაკზე ნაპოვნი სქელკედლიანი (1,1), ბაკოგადმოზნექილი ნატეხი, რომელსაც ბაკოს პირზე გარედან თხელი და განიერი ღარი შემოუყვება (№ $2275_4$).

დერგები. ამ ჭურჭლეულიდან ერთ-ერთის თითქმის მთლიანად აღდგენა მოხერხდა, უმეტესობისა კი იმდენად, რომ ფორმებზე წარმოდგენას გვაძლევენ. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი სხვადასხვა ზომის ლაზათიანად ნახელავი, კვერცხისებური ფორმის თუ კონიკური, უყურო, ძირქუსლიანი ჭურჭელი, შემკული ყელის ძირში კონცენტრული ღარებით, მხარზე კი ერთი ან რამდენიმე, დერგებისათვის დამახასიათებელი, ჭდეული, ირიბშტრიხოვანი (№ 1974), ირიბწერტილოვანი (№ 1973), „სავარცხლით“ დატანილი ტალღის (№№ 1964; 1975), ან ურთიერთგადამკვეთი შტრიხების (№ 2328) სარტყლებით, რომლებიც, თავის მხრივ, აგრეთვე კონცენტრულ ღარებშია ჩასმული.

ერთი დიდი დერგის მხარი, რომელსაც სამი კონცენტრული ირიბწერტილოვანი სარტყელი შემოსდევს, დამატებით, პირველი და მეორე სარტყლების მიერ შექმნილ არეში, შემკულია შუასიგანის პრიალა შვეული ხაზებით. ხოლო მხრის ბოლოს ირგვლივ სიმეტრიულად მიძერწილი აქვს მუთაქისებური რელიეფური და ღრმად დაჭდეული „ყურები“ (№ 1931—2371), რომელთა მსგავსი ჩვენ უკვე V ფენაში შეგვხვდა (იხ. ზემოთ, ხოვლე V, №№ $2113_2$; $2337_{18}$; $323_{15}$—61). ასეთივე, უფრო მოკლე „ყურებით“ ყოფილა შემკული მეორე დერგიც (№ 2328). მკვეთრად დიფერენცირებული ჭუსლი ერთ შემთხვევაში ბრტყელია (№ 1974), მეორეში — ბაკოგამოყოფილი (№ 1973). ეს ორი უკანასკნელი ჰურჭელი, აშკარად ხელმეორედაა „გადაწვარი“ ხანძრის დროს (ღიაწაბლისფერებია), დანარჩენები — შავად მშვენივრად გაპრიალებული ცალებია.

ყველა ეს მეტ-ნაკლებად აღდგენილი ცალი, რომლის პირის ფორმის შესახებაც ლაპარაკი შეიძლება, დაბალყელიანია (2—3), ხოლო ერთი ზემოხსენებული დიდი დერგი (პირის d = 20) თიქმის უყელოა (№ 1973). სხვა ამ ფენიდან მოპოვებული ფრაგმენტები მაღალყელიანი დერგების არსებობაზედაც მიუთითებენ.

საინტერესოა ერთ-ერთი ფრაგმენტის შემკულობაც: ყელზე, უშალოდ გადმოზნექილი ბაკოს ქვეშ მკვეთრი და წვრილი ირიბი შტრიხებით დატანილია ორმაგი „თევზიფხურა“ სარტყელი, რომელიც ქვემოდან ორი ვიწრო და მკვეთრი, კონცენტრული ჭდეული ხაზითაა შემოსაზღვრული; მხარზე აგრეთვე მკვეთრი შტრიხების „თევზიფხური“ სარტყელი შემოუყვებოდა (№ $1934_7$). ამ დერგის შემკულობა ანალოგიას ხოვლეგორის სამაროვანზე მოპოვებულ მასალაში პოულობს (იხ. ქვემოთ).

დ ო ქ ე ბ ი პირის რამდენიმე ფრაგმენტითაა წარმოდგენილი. ყელი სადაა ან შემკული თხელი, განიერი (№ 1807) და წვრილი (№ $2276_6$), ზოგჯერ მკვეთრი ღარებით. საინტერესოა ერთ-ერთი შავპრიალა ფრაგმენტი, რომლის ბაკოს შიდაპირი შემკულია (№ $2327_5$) V ჰორიზონტის მსგავსი ჰურჭლის პირივით. მსგავსი ფრაგმენტი გვაქვს ძაბრისებური დიდი დოქის (?) პირისა სამხრეთი ნასოფლარის ამ დროის ფენიდან (№ 1292— S, ტაბ. L).

ქ ო თ ნ ე ბ ი თიქმის მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი, სადა ან ორნამენტირებული ისევე, როგორც V ჰორიზონტში: წვრილი ღარები ყელის ქვეშ (№ $1926_2$) ან ყელზე და მხრებზედაც (№ $2288_{16}$), რომელსაც ამკობდნენ აგრეთვე ირიბშტრიხოვანი სარტყლით. გვხვდება აგრეთვე წვრილი ირიბწერტილოვანი შტრიხების სარტყელი (№ $1940_1$).

ერთი კარგი ნახელავი ყურიანი ქოთნის ფორმის აღდგენა თიქმის მთლიანად (ძირის გარდა) მოხერხდა. თავის ზომასთან (შერჩენილი სიმაღლე = 18) შედარებით იგი საკმაოდ სქელკედლიანი (0,7), მაგრამ მეტადა სიმეტრიული და სასიამოვნო, სფერული ფორმისაა. მაღალი ყელის (2,3) ძირში და მხარზე ირგვლივ სამ-სამი მკვეთრი კონცენტრული ღარი შემოსდევს. მოკლე და განიერი წრიული ყური, რომელიც მუცელზეა მიძერწილი, შემკულია „რქებისებური“ წანაზარდებით. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ქოთანს მუცლის მოპირდაპირე მხარეზე მეორე ყურიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამ მხრიდან იგი ნაკლულია. ქოთანი ლეგად არის გამომწვარი (კეცი) და ღიაწაბლისფერი პრიალა ზედაპირი აქვს დიდი შავპრიალა ლაქით ქვედა ნაწილში (№ 1955).

კიდევ ერთი აღდგენილი პატარა შავი ქოთანი მეტად თხელკედლიანია

(0,3—0,4), წაგრძელებული ფორმისა, ძირქუსლიანი (d=5). მთელი ტანი შემკულია შუასიგანის შავპრიალა ოდნავ დაბრეცი ზოლებით (№ 2320). ქვედა ფენების მსგავსად აქაც გვხვდება ბაკოშემკული ქოთნების ფრაგმენტები: ერთ-ერთის ბაკოზე გარედან მიუძერწიათ „ზონარი“, რომელიც დაჭდეულია ღრმა, ირიბი შტრიხებით (№ 2048); მეორეზე ჩვეულებრივი რელიეფური „გრეხილია“ შემოვლებული (№ 1900); მესამე დიდი ქოთნის (დერგის?) ბაკოს გარეპირის კიდეებზე თხელი რელიეფური „გრეხილის“ ორმაგი სალტეა შემოწერილი, მათ შორის თხელი ღარით (№ $1929_1$); ხოლო მეოთხე ასეთივე ჭურჭლის ბაკო ზედაპირზე შემკულია წვრილი და მკვეთრი ღარით, ხოლო გარეპირზე — ჭდეული „ფრჩხილების“ თევზიფხურით. ასეთივე სარტყელი შემოუყვებოდა მას მხრის გარშემოც (№ $2288_{12}$). IV ჰორიზონტის დიდი ჭურჭლების, დერგებისა და ქოთნების შემკულობის ნიმუშები მოცემულია ტაბ. XLV—XLVI, XLIX.

საგანგებოდ აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. ჯერ ერთი, აქ გვხვდება დაწახნაგებულტანიანი ჭურჭელი (№ 1847), რომლის მსგავსი VII ჰორიზონტიდან გვაქვს (იხ. ხოვლე VII, № $306_1$—61). ზუსტად ასეთივე შავპრიალა პატარა ჭურჭლის ფრაგმენტი ნაპოვნია ნაძრავ ფენაში, ბორცვის ჩრდილოეთით (№ $2191_3$), ღაროვანი სპირალებით შემკულ ჭურჭლებთან ერთად (იხ. ზემოთ, ხოვლე V).

შემდეგ აღსანიშნავია შავპრიალა სფერული, კარგად ნახელავი ქოთნის ფრაგმენტები (№ 1929) შემკული „კანელურებით“, მსგავსად V ჰორიზონტის ასეთივე ჭურჭლებისა (იხ. ზემოთ, ხოვლე V).

ბოლოს — შავად გამომწვარი, ლეგა-მოწაბლისფროდ გაპრიალებული დიდი (კეცი = 0,9) ჭურჭლის მხრის ნატეხი შემკული რელიეფური პარალელური სარტყლებით და რომბულთავიანი გველის გამოსახულებით (№ 2041). აღარ გვხვდება ე. წ. პირმოყრილი ქოთნები.

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი. ეს ჭურჭლეული IV ჰორიზონტში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი წითლადგამომწვარი მრგვალმუცლიანია, დაბალ- და შველყელიანი; მხარზე სამი კონცენტრული ღარით, ტანზე — წვრილი პრიალა ირიბი ხაზებით (№ 1902). ქვაბქოთნების რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ორი უყელო, ბაკოგადმოწეული ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელთაგან ერთი შემკულია უწესრიგოდ დატანილი წვრილი პრიალა მერიდიანებით (№ 2067), ხოლო მეორე — წვრილი პრიალა ვერტიკალური ტეხილი (ტალღური) ხაზებით (№ $1926_6$). ორივე ნატეხი შესაძლებელია გვერდწიბოიან ქვაბქოთნებს მიეკუთვნებოდეს.

ეს უკანასკნელი ვარიანტი ჩვენთვის უკვე ცნობილი ფორმებისაა და აგრეთვე ნაცნობი ორნამენტული სახეებითაა შემკული: განიერი და თხელი ღარები ბაკოს ქვეშ (№ 1830. შდ. ხოვლე VIII, № 263—61) პრიალა რომბულუჯრედებიანი ბადე მხარზე (№ 2276). მაგრამ ერთი წითლადგამომწვარი კარგი ნახელავი ფრაგმენტი სრულიად სხვაგვარ ორნამენტაციას გვიჩვენებს. კერძოდ, ზედა ტანზე, კარგად გამოკვეთილ წიბოსთან სამი დიდი სოლია ამოტვიფრული (№ 1838). ეს ქვაბქოთანა თავისი ორნამენტაციით სრულიად განცალკევებით დგას ხოვლური მსგავსი ჭურჭლეულისაგან.

საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აგრეთვე ყურიანი ქვაბქოთნები, რომელთაგან რამდენიმეს აღდგენა მეტ-ნაკლებად მოხერხდა. აღსანიშნავია სფერული მოყვანილობის ძირგანიერი და ძირბრტყელი ასეთი ჭურჭელი მუცელზე პატა-

რა ოთხკუთხა განივკვეთიანი ყურით, რომელსაც ზურგზე თხელი და განიერი ღარი გასდევს (№ 1868).

სხვადასხვა ზომის ქვაბქოთნები, ყურზე „რქებისებური“ წანაზარდებით, ჩვეულებრივი ტიპისაა და შემკულია ჩვენთვის უკვე ცნობილი ორნამენტით: ყელის ძირში — წვრილი ღარები და „ფრჩხილის“ სარტყლები. ასეთივე ჰდეული სარტყელია ჭუსლის კიდეზე. ზოგს ტანი კიდევ მერიდიანული პრიალა ხაზებითა აქვს შემკული (№№ 1925; 1956; 1957; 2152). ამ ტიპის ჭურჭლის შემორჩენილი ფრაგმენტების დიდი ნაწილი ასეთსავე სურათს იძლევა (ტაბ. XLIV, XLVII).

მხოლოდ ზოგიერთი ცალია რამდენადმე განსხვავებული. კერძოდ, ერთი დიდი ქვაბქოთნის ფრაგმენტზე ყელის ქვეშ „ფრჩხილების“ ორმაგი სარტყელია თევზიფხურად განლაგებული (№ 1901), ხოლო მეორეს, ამის გარდა, ბაკოს შიდაპირზე წვრილი და მკვეთრი ღარი შემოუყვება (№ $1934_{11}$). ტალღური ცალფა ღარებითაა შემკული ერთი ფრაგმენტი (№ 1835-1846) და იგი ზუსტ ანალოგიას პოულობს V ჰორიზონტის მსგავს ჭურჭელთან (იხ. ზემოთ, ხოვლე V, № $323_{19}$—61. ჩრდ. ნასოფლარის № 3 სახლიდანაცაა ასეთი ფრაგმენტი № 206—61— N). გასაოცარი მსგავსებაა აგრეთვე IV (№ $2371_2$) და V (№ 2215, იხ. ზემოთ, ტაბ. XXXIII) ჰორიზონტის ორ ფრაგმენტში.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ერთი პატარა ლეგა ქვაბქოთნის (?) ძირის ფრაგმენტი, რომელზედაც შუასიგანის შავპრიალა ხაზებით „კიბისებური“ ორნამენტია გამოსახული (№ 1837). ამგვარი ორნამენტი ხოვლეში შეგვხვედრია და კიდევ შეგვხვდება, მაგრამ არა პრიალა, არამედ ამოკაწრული თუ ჰდეული ხაზებით შესრულებული. დაბოლოს, აღსანიშნავია ხოვლეს ჭურჭლეულისთვის სრულიად უჩვეულო ხერხი: ჭურჭლის მხრის ჰდეული პატარა კონცენტრული წრეხაზებით შემკობა (№ 1650).

ტ ო ლ ჩ ე ბ ი. ამ ტიპის სამი ჭურჭლის ფორმის აღდგენა მოხერხდა. ერთი — დიდ ზომისაა (h = 19), ხელით, უხეშად ნაძერწი, სქელკეციანი (0,8—1,0), შუატანზე ძლიერად მორკალური, „რქებიანი“ ყურით, ოდნავ პირშეზნექილი (№ 1958). მეორე, რომლის თითქმის ზუსტი ანალოგია ჩვენ V ჰორიზონტიდან გვაქვს (№ $2223_1$; იხ. ზემოთ, ტაბ. XXVII) საშუალო ზომისაა (h = 12,5), ჩარხზე გაკეთებული. პირი ამასაც ოდნავ შეზნექილი აქვს და გარშემო ორი თხელი ღარი შემოუყვება: ბაკოს ქვეშ და ოდნავ გამობერილი მუცლის დასაწყისში. მთელი ტანი თავის დროზე შემკული ჰქონია პრიალა ირიბი მერიდიანული ხაზებით. განიერი (9,0) და ბრტყელი ძირის კიდე ოდნავ დიფერენცირებულია ისე, რომ, ფაქტიურად, ამ ჭურჭელს მეტად დაბალი ჭუსლი აქვს. ტანის უდიდესი ნაწილი ძირიანად აჭერცლილია, როგორც ჩანს, ცეცხლზე დგომისგან. შუატანზე ამ ტოლჩასაც ყური ჰქონია, რომლის ძირიღაა შემორჩენილი (№ 1967). მესამე ჭურჭელი კიდევ უფრო პატარა ზომისაა (h = 8) და ამდენად, ფაქტიურად, თიხის ფ ი ნ ჯ ა ნ ს წარმოადგენს. მისი ფორმა იდენტურია ზემოხსენებული ტოლჩისა. ბაკოს ქვეშ ამასაც სამი წვრილი ღარი შემოუყვება, ხოლო ყურზე ზემოდან ბრტყელი მეჯეჯისებური დანაძერწი ამკობს (№ 1966). სამივე ეს ჭურჭელი ერთ ოთახში იქნა აღმოჩენილი.

ჯ ა მ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი. IV ჰორიზონტში ჩვენ გვხვდება ყველა ის ტიპი ჯამლანგრებისა, რომლებიც V ჰორიზონტისათვისაა დამახასიათებელი (იხ. ზემოთ). მათი შემკულობაც ძირითადად ჩვეულებრივია და საინტერესო ის არის, რომ განაწილება სხვადასხვა სახის ორნამენტისა ჯამ-ლანგრების ჩვენ მიერ გამო-

ყოფილი ტიპების მიმართ ისეთივეა, როგორც V ჰორიზონტში. ეს უნდა მოწმობდეს ჩვენი დაკვირვების სისწორეს.

როგორც V ჰორიზონტში აქაც, მაშასადამე I ტიპის ჯამ-ლანგრებისათვის დამახასიათებელია ჭიმის შემკობა ცალფა ღარული „ტალღით“, ფსკერისა — რომბულუჯრედებიანი პრიალა ბადით და სხივებით, ხოლო ქვედა ტანისა გარედან — პრიალა რადიალური სხივებით.

ჭიმის შემკობა „სავარცხლით“ დატანილი ტალღური სარტყლით, ხოლო ბაკოსი — რელიეფური „გრეხილი სალტით“ II ტიპისთვისაა ჩვეულებრივი. რაც შეეხება III ტიპის ამგვარ ჭურჭლეულს იგი კვლავ, ძირითადად, ჭიმდაღარულია (იხ. ტაბ. XLIV, XLVIII).

დამახასიათებელი ჩანს თითქოს ამ ჰორიზონტის ჯამების ფსკერის შემკობა პრიალა რადიალური ხაზებით (ტიპი I a: № 2371; ტიპი III b: № 1656). შესაძლებელია, ამგვარ შემკულობაზე სრულ წარმოდგენას იძლევა ერთი თითქმის მთლიანად აღდგენილი ჯამი (ტიპი III b), რომელიც IV ჰორიზონტის ერთ-ერთ ოთახში იქნა აღმოჩენილი (№ 1963)[1].

ცალკეა აღსანიშნავი რამდენიმე ჯამის ფრაგმენტების ორნამენტაცია: ერთი შავად გამომწვარი ჯამის (ტიპი I a) ფსკერი, როგორც ჩანს, დაყოფილი ყოფილა განიერი პრიალა რადიალური ზოლებით სექტორებად, რომლებიც დაშტრიხული ყოფილა განიერი ზოლებიდან განტოტვილი წვრილი პრიალა პარალელური ხაზებით (№ 2063). მეორე დიდი ლეგაზედაპირიანი ლანგარი (ტიპი II), რომლის ბაკოზე მიძერწილია რელიეფური „გრეხილი სალტე“, ფსკერზე აგრეთვე განსხვავებულ ორნამენტს ატარებს. იგი თითქოს ზემოხსენებულივით სექტორებად ყოფილა დანაწევრებული მხოლოდ წვრილი, პრიალა რადიალური ხაზებით. სექტორების (თითოს გამოშვებით?) ზედაპირი კი შევსებული ყოფილა ტეხილი წვრილი პრიალა ხაზებით (№ 2055)[2].

რამდენიმე ფრაგმენტი „საწურისა“ ყოფილა (№№ 1803; 1906), ხოლო ერთი დიდი და ღრმა, ოდნავ პირშეზნექილი ჯამის (ტიპი III a) ფრაგმენტი ყურიანია (№ 1889), რაც ხოვლესთვის საკმაოდ უჩვეულო მოვლენაა.

აქვე მოვიხსენიებთ შავადგამომწვარ „სამარილეს“ (№ 1962), რომლის ძირი ისეა საგანგებოდ ცოხეხილ-მოსწორებული, თითქოს იგი რომელიღაც სხვა ჭურჭლის ჭუსლის გადანატეხს წარმოადგენდეს (შდ. ზემოთ, ხოვლე VI, № 99—61, ტაბ. XXII).

ჭურჭლების (დერგების, ჭოთნების, ქვაბჭოთნების...) ცალკეული ყურები იგივე სურათს იძლევა, რაც ჩვენ V ფენაში გვქონდა. ეს არის ჩვეულებრივი ბრტყელ-ოვალურ განივკვეთიანი რკალური ყურები ხშირად „რქებისებური“ წანაზარდებით. ერთი მათგანი ზურგზე შემკულია ზიგზაგისებური განივი წვრილი პრიალა ხაზებით. ზოგჯერ თავზე ცილინდრული კოპია. შვერილი მორჩისებური თავმარყუჟა ყურები (№№ $2276_{13}$); „უნაგირისებური“ ყურები, აგრეთვე „მუთაქისებური“ ყურები (№ $2288_6$), ზოგჯერ შემკული თევზიფხური ან ტეხილი ჰდეებით (№№ 1755; 149—61, ტაბ. LV).

IV ჰორიზონტის ჭურჭლეულის მოხილვის ბოლოს საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ აქ ჩვენ უკვე გვხვდება თითო-ოროლა ფრაგმენტი წითლად გამომწვარი კერამიკისა, რომელიც სრულიად არ არის ქვედა

---

[1] ანალოგია იხ. ტაბ. XXXVIII, № 65—61—N (ხოვლე V).

[2] ანალოგია იხ. ტაბ. LIII, № 1245—S (ხოვლე III).

ჰორიზონტებში და, რაც აგრეთვე საინტერესოა, ამ ჭურჭლის ფორმები ისეთია, როგორსაც ჩვენ შემდგომ ჰორიზონტებში შევხვდებით. მხედველობაში გვაქვს ორი პროფილირებული ჯამის ფრაგმენტი, ერთი ბორცვის კულტურული ფენიდან (№ $2323_2$), მეორე — სამხრეთი ნასოფლარის შესატყვისი ჰორიზონტიდან (№ 1277— S).

ქვედა ფენებში აღმოჩენილი მრგვალი სალტისებური „სადგარის“ ნატეხი უნდა იყოს № $2276_{12}$, რომლის ბაკოც შემკულია სამმწკრივად განლაგებული ირიბი ჭდეებით. ამავე ჰორიზონტიდან გვაქვს ერთი ხუფის ფრაგმენტიც, რომელიც განსხვავებით ქვედა ჰორიზონტის კონუსურ ან ოვალურთავიანი ხუფებისაგან თავზე დაბალ და ბრტყელ კოპს ატარებს (№ 2322); კვირისტავები (№ 2313, ტაბ. LXI), რომელთაგან ერთი ჭურჭლის მომრგვალებულ ნატეხს წარმოადგენს (№ 2275, ტაბ. LXI) და შუაში გახვრეტილია. გაუხვრეტავი ასეთივე საგანი შესაძლებელია კვირისტავის ნამზადს წარმოადგენდეს (№ $1926_8$, ტაბ. XLIV).

ასეთივე ფორმის რუხად გამომწვარი ულაზათო საგანი, რომლის ერთ (ამობურცულ) სიბრტყეზე ღრმად ჭდეული ჯვარია ამოკვეთილი თითქოს საბეჭდავს უნდა წარმოადგენდეს (№ 2218, ტაბ. LXI). ერთი სექტორი ახეთქილი აქვს. მეორე საბეჭდავი აგრეთვე თიხისაა (№ 2087, ტაბ. LXI). ოთხკუთხა სქელკეციანი ფირფიტის მოყვანილობისა, რომელიც ერთი მხრიდან (პირზე) ღრმად ჭდეული „მეანდრისებური“ სახეებით არის შემკული, ხოლო მეორეზე ოთხწახნაგა წაკვეთილ-პირამიდისებური სახელური აქვს (იხ. ტაბ. LXIII). კიდევ ერთი ფირფიტოვანი ყუნწიანი საბეჭდავი „მცენარეული“ ჭდეული ორნამენტის სახეს ატარებს (№ 284/5—61, იხ. ტაბ. LXIII).

დაბოლოს, აღსანიშნავია, კიდევ ერთი ფირფიტოვანი ყუნწიანი საბეჭდავის ფრაგმენტი ჭდეული გრაფიკული ნიშნებით ერთ სიბრტყეზე (№ 361, იხ. ტაბ. LXIII).

თიხის სხვა ნაწარმიდან აღსანიშნავია გამომწვარი ბათქაშის ნატეხები, სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები, მათ შორის „ცხენისთავების“ ქანდაკებები (№№ 1951; 22—61).

## ლითონის ნაკეთობა

### ბრინჯაო

(ტაბ. LXI—LXII)

№ $1702_2$. თავხვია საკინძი, მოკლე ოთხკუთხა განივკვეთიანი, ზედმიწევნით ისეთივე, როგორც VI ჰორიზონტიდან გვაქვს. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ მოხსენებული სარდიონის დახეთქილი მძივები (№ $1702_3$) და ეს თავხვია საკინძი აღმოჩნდა ფერდობზე სტრატიგრაფიულად თითქოს IV ჰორიზონტში. მაგრამ რამდენადაც გაცილებით უფრო ძველი დროისთვისაა დამახასიათებელი, ვიდრე ხოვლე IV პერიოდია (იხ. ქვემოთ, დათარიღება), ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი in situ არ არის ნაპოვნი, არამედ — ნაძრავ ფენაში, რომელიც შესაძლებელია ბორცვის თხემიდან ჩამოწოლილიყო. ამდენად, სავარაუდოა მათი მიკუთვნება უფრო ძველი პერიოდისთვის (VI ან კიდევ უფრო

ქვედა ჰორიზონტები). ამ ეჭვს, სხვათა შორის ისიც აძლიერებს, რომ ორივე სახის ასეთი სპეციფიკური ნივთი ერთად იქნა აღმოჩენილი (1957 წ. ჭრილის მე-12 კვადრატში). ბრინჯაოს სხვა საგნებიდან აღსანიშნავია: № 2349. საკინძი, თავზე კეფაშექცევით მოთავსებული ორი ვერძის (?) თავით შემკული. მათ ქვეშ ყელი თითქოს ხორხისებურია.

№ 1730. ოთხკოპიანი (?) საკინძის ნატეხი, ხორხისმაგვარი ყელით. თავი საკმაოდ დაჟანგული და დაშლილია. ასე რომ ძნელი სათქმელია ნამდვილად ოთხკოპიანია (შდრ. V ჰორიზონტის ასეთსავე საკინძს, № $2205_1$— N, იხ. ზემოთ) თუ სამკოპიანი (შდ. III ჰორიზონტის ასეთსავე საკინძს, იხ. ქვემოთ).

№ 1890. საკინძის (?) ღეროს ნატეხი.

№ 1860. მოკლე მასიური სადგისი.

№ 2297 და № 1978. წვრილი მავთულის თავგაბრტყელებული და გახვრეტილი მახათები.

№ 2290 და № 2294. სქელი ფირფიტისაგან დამზადებული ყუნწიანი ისრისპირები, ოდნავ ბოლოებჩამოშვებული ფრთებით. აქვე მოვიხსენიებთ სამ ასეთსავე ისრისპირს (№№ 1243; 1244; 1424), რომელთა ზუსტი სტრატიგრაფიული იდენტიფიკაცია გაურკვეველია.

№ 2325 წვრილრგოლებიანი ჯაჭვის ფრაგმენტი.

რკინის ნივთები ამ ჰორიზონტში არ აღმოჩენილა.

### ქვის ნაკეთობა

ს ა ლ ე ს ი ქ ვ ე ბ ი (№ 1946) და აგრეთვე ბრტყელი ქვის მომრგვალებული ფილა (№ 1947), რომელიც ალბათ ჭურჭლის (ქვევრის?) ს ა რ ქ ვ ე ლ ს წარმოადგენდა.

კ ე ვ რ ი ს კ ო ხ ი ს ქ ვ ე ბ ი (№ 2217 და ბოსლის იატაკიდან). სარდიონის ორი ე. წ. დახეთქილი მ ძ ი ვ ი (№ $1702_3$).

## თ ა ვ ი VI

## ჰორიზონტი ხოვლე III

ხოვლეგორის სამოსახლოზე III ჰორიზონტი ყველა დანარჩენზე უფრო მძლავრ დანაშრევს წარმოადგენს. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ყველა ნიშნით ამ დროს აქ ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც ბორცვის დასახლებული ტერიტორია გაცილებით უფრო დიდ ფართობს მოიცავს, ვიდრე წინა პერიოდებში. ახალი გალავნისა და სხვა ნაგებობების მშენებლობისათვის ზედაპირის ნიველირების მიზნით ალაგ-ალაგ ჩაყრილია დიდი რაოდენობა მიწისა თუ წვრილად დამტვრეული ქვიშაქვისა, რომელიც დანაყარის მძლავრ პლასტს ქმნის. იმდროინდელი ნაგებობანი ძირითადად ბორცვის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზეა განლაგებული და შედარებით კარგად შემორჩენილი. რაც შეეხება თხემს, აქ გვიანდელი მშენებლობის გამო III ჰორიზონტის კუთვნილი ნაგებობები თითქმის სრულიად აღარ არის და მათი მხოლოდ ფრაგმენტებიღა თუ შეიმჩნევა. ამდენადვე აქ I—III ჰო-

რიზონტების მასალა დიდ ნაწილში არეული უნდა იყოს. ასე რომ ჩვენი მასალა, რომელსაც აქ განვიხილავთ ძირითადად ბორცვის ფერდობების კულტურული ფენიდან და ნაგებობებიდან მომდინარეობს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ, სამხრეთი ფერდობის ნაგებობების დიდი ნაწილი, აგებული III პერიოდში, განაგრძობს არსებობას II პერიოდის განმავლობაშიც. ამიტომ, ცხადია, რომ ამ ნაგებობათა in situ მასალა II ჰორიზონტის კუთვნილი უნდა იყოს. III ჰორიზონტის მასალის გამოყოფას გვშველის ბორცვის ჩრდილო ფერდზე და სამხრეთი ფერდის ერთ ნაწილში („მრგვალი კოშკის უბანი") დადასტურებული ვითარება, როცა II პერიოდში ახალი მშენებლობა უწარმოებიათ III პერიოდის შენობების ნაწილობრივი დანგრევის გამო თუ მათი გადაკეთების შედეგად.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ ხოვლეგორის ნასოფლარის სტრატიგრაფია, ნასოფლარისა, რომელიც IV პერიოდის მსგავსად სამხრეთიდან ეკვრის ბორცვს და ნაწილობრივ წინა პერიოდის ნასოფლარის ნანგრევებზეა აშენებული. სამხრეთის ეს ნასოფლარი, რომლის საკმაო ტერიტორია იქნა შესწავლილი შეიცავს ორ მკვეთრად გამოყოფილ სტრატიგრაფიულ ფენას, რომელთაგან ქვედა (ზემოდან მეორე), დროის მიხედვით, შეესატყვისება ხოვლეგორის III ჰორიზონტს, ხოლო ზედა — II ჰორიზონტს. რამდენადაც III ფენის in situ მასალა, არსებითად, აქედან გვაქვს, ამიტომ მასალის შემდგომი განხილვისას ძირითადად ნასოფლარის მონაცემებს დავეყრდნობით, რა თქმა უნდა, ბორცვიდან მომდინარე უეჭველად ამ დროინდელი მასალის გამოყენებით.

IV ჰორიზონტის მასალის აღწერისას აღვნიშნეთ, რომ იქ ჩნდება თითოოროლა ფრაგმენტი წითლად გამომწვარი კერამიკისა, რომელიც როგორც ვიცით, უჩვეულოა ხოვლეს ბორცვის უძველესი პერიოდებისათვის. დაწყებული III ჰორიზონტიდან, პირუკუ, წითლად გამომწვარი ჭურჭლის რაოდენობა ნიშვნელოვნად მატულობს და იგი ამ დროს უკვე დაახლოებით ისეთივე ინტენსივობით გვხვდება, როგორც შავად და ლეგად გამომწვარი ჭურჭელი, რომელიც შემკობის ხერხებისა და ფორმების მხრივ განაგრძობს ძველ ტრადიციებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ძველი ფორმა უკვე აღარ გვხვდება.

## შავლეგაკეციანი კერამიკა

(ტაბ. L—LIII)

ქ ო ც ო ე ბ ი თ უ დ ე რ გ ე ბ ი. აღსანიშნავია, რომ ამ ფენიდან დაწყებული შეიძლება ითქვას, რომ ხოვლეში აღარა გვხვდება მაღალყელიანი და შედარებით თხელკეციანი დერგების ფრაგმენტები, რომლებიც აგრერიგად დამახასიათებელია ძველი ფენებისათვის. სამაგიეროდ, აქ გვხვდება დაბალყელიანი, სქელკეციანი ნატეხები ქოცოებისა თუ დიდი დერგებისა, მკვეთრად დიფერენცირებული გასქელებული ბაკოთი, რომლებიც ჩვენ დავადასტურეთ IV და V ფენებშიც. ამგვარი დერგები შემკულია წვრილი კონცენტრული ღარებით ყელის ძირში (№№ 896— S; 981— S) ანდა პრიალა მერიდიანებით (№ 1064 — S) და რელიეფური სარტყლებით (№№ 649— S; 696₃— S; 1244— S; 1258— S; 1296— S; 1916).

დ ო ქ ე ბ ი. ამ ჯურის ჭურჭლის რამდენიმე ცალი წარმოდგენილია ფრაგმენტების სახით. ყელი ძაბრისებურია და შემკული ჭდეული ღარებით, რელიეფური წიბოებით ან ამოკაწრული დაშტრიხული სამკუთხედებით (№№ 541— S; 857— S; 1293— S). მრგვალგანივკვეთიანი ყური უშუალოდ პირთანაა მიერთებული და პირის დონეზე ოდნავ მაღლაა აზიდული. ერთი დოქის კორპუსი რელიეფური ვერტიკალური და ჰორიზონტული სარტყლებით არის შემკული, რომელთა შორის „მეჭეჭები“ ყოფილა დაძერწილი, არც ერთი ასეთი „მეჭეჭი“ აღარ არის შემორჩენილი (№ 1287— S).

ერთი შავპრიალა პატარა ხელადა, რომელიც სხვა ჭურჭელთან ერთად ღია კერაში იდგა, თითქმის დაუზიანებელია (№ 922— S). იგი ამოვსებული იყო მიწით, რომელშიც დანახშირებული ხორბალი ერია. ბორცვზე, სტრატიგრაფიული მდებარეობის მიხედვით, ამავე ფენაში აღმოჩენილია შავპრიალა, ყელდაღარული, კარგად ნახელავი დოქის ყელის ფრაგმენტი (№ $1914_1$), მაგრამ შესაძლებელია იგი ძველი ფენების კუთვნილი იყოს.

ქ ო თ ნ ე ბ ი. მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. დამახასიათებელია მარტივი, წარზიდული ბაკოს მკვეთრი გადმოზნექა და მხრების შემკობა მკვეთრად ნაჭდევი კონცენტრული ღარებით (№№ $696_4$— S; $847_1$— S).

ერთი ქოთანი შემკულია ყელის ქვეშ წვრილ ღარებში ჩასმული „ფრჩხილით“ დატანილი თევზიფხურით (№ 2000). მეორე პატარა ქოთანი, რომელიც ზემოხსენებულ ხელადასთან ერთად აღმოჩნდა ღია კერის მახლობლად, თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი (№ 849— S). ცალკეა აღსანიშნავი უყელო („პირმოყრილი“?) ქოთნის ფრაგმენტი, ორმაგი ბაკოთი, რომელიც თევზიფხურითაა შემკული (№ 1298— S), აგრეთვე ორი ქოთნის პირის ფრაგმენტი ბაკოზე „გრეხილი“ რელიეფური სარტყლით (№№ $1916_1$; 2009) და დაბალყელიანი ქოთანი შემკული მხარზე „უნაგირისებური ყურის“ მაგვარი მინაძერწით (№ 1050— S).

ასეთი უნაგირისებური თუ მუთაქისებური „ყურები“ III ფენამ ბორცვის განათხარიდანაც შემოგვინახა, რომელთაგან ზოგიერთი (№ 2032) სრულიად იდენტურია ძველი ფენებიდან ცნობილი ამგვარი ყურებისა. ზემოგანხილული ჭურჭლის (დერგები, დოქები, ქოთნები) შემკობის ხერხებზე (დაჭდევა, გაპრიალება) და ორნამენტულ სახეებზე წარმოდგენას გვაძლევს რიგი ნატეხისა (№№ 850— S; 894— S; 1260— S; 1061— S; 1060— S; $927_1$— S; 363— S; 1064— S; 898— S, $1003_1$— S; 1045— S; 1551; 2028). როგორც ვხედავთ, ძველი ფენებისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მოტივები ტრადიციულად განაგრძნობენ არსებობას. ერთი ნატეხი სადღვებლის ჭიპისაა (№ 836— S).

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი. დაწყებული III ფენიდან ხოვლეს ნამოსახლარზე აღარ გვხვდება გვერდწიბოიანი ქვაბქოთნები. მხოლოდ ერთი ასეთი შეგვხვდა კულტურული ფენის ზედა ჰორიზონტში არა in situ და იგი, შესაძლებელია, შემთხვევით ქვედა ჰორიზონტიდან მოხვედრილიყო. თვით მისი ასეთი იზოლირებული აღმოჩენა უნდა მოწმობდეს ამას.

ერთი, „ლობიოს ქოთნის“ ფორმის უყურო ჭურჭელი აღმოჩენილი ნასოფლარის ერთ-ერთ ნაგებობაში (№ 9a) თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი. იგი ხელითაა ტლანქად ნაძერწი დაუწმენდავი თიხისაგან და ამ მხრივ მოგვაგონებს ხოვლეგორის ქვედა ჰორიზონტებიდან ცნობილ ტოლჩებს (მაგალითად,

№ 1958, IV ჰორიზონტი). იგი, უეჭველია, სამზარეულო ჭურჭელს წარმოადგენდა, რასაც მოწმობს ცეცხლზე ნადგარობის კვალი (გამურვა) (№ 1285—S).

ბრაგლადაა ყურიანი ქვაბ-ქოთნები. ზოგიერთი სრულიად სადაა, პატარა და მაღალი წრიული ყურით, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაღარული ზურგი (№ 834— S). სხვები იმეორებენ ჩვენთვის ძველი ფენებიდან ცნობილ ცალებს: ყელის ძირში „ფრჩხილის“ ორნამენტის სარტყლით, ტანზე პრიალა მერიდიანებით, უბრალო ან რჩისებურწანაზარდიანი ყურებით და დაჭდეული ჭუსლებით (№№ 1043 — S; 893— S; 1251— S; $893_1$— S); ანდა ტანზე ასეთივე პრიალა ზოლებით, მაგრამ ყელის ძირში შემკული ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, წვრილი კონცენტრული ღარებით (№ 1250— S).

ამათი დერივაცია უნდა იყოს ქვაბ-ქოთნები, მარტივად გადმოკეცილი მაღალი ბაკოთი, რომელთა ბხარია დაფარული წვრილი და თხელი, ულაზათოდ დატანილი კონცენტრული ღარებით (701— S). ეს უკანასკნელები უფრო ძველ ფენებს არ ახასიათებთ. ახალი ჩანს აგრეთვე კორპუსის შემკობა მოკლე ვერტიკალური კანელურებით (№ $1001_1$— S). აქვე უნდა აღვნიშნოთ შავპრიალა „თიხის სიტულა“ დამახასიათებელი ძაბრისებური ბაკოგამოუყოფელი პირითა და პატარა წრიული ყურით განიერ მხარზე (ყური ჩამოტეხილია), რომელსაც ირგვლივ შემოუყვება ორი თხელი და განიერი კონცენტრული ღარი. ჭურჭელს ქვედა ნაწილი აკლია (№ 2011) ასეთი ჭურჭელი, როგორც ვიცით სულ თითო-ოროლაა ხოვლეში და ისიც უფრო ძველ ფენებში.

ჯამ-ლანგრები. ჩვენი კლასიფიკაციის ყველა ტიპი გვხვდება (ტაბ. LIII). შემკობის ხერხებიც იგივეა რაც ძველად. აღარ გვხვდება ბაკოს შემკობა რელიეფური „გრეხილით“. გარდა პრიალა ხაზებით დატანილი ბადისებური სექტორებით შემკობისა, დამახასიათებელია ფსკერის შემკობა პრიალა რადიალური სხივებით ან სწორი ხაზებით დაშტრიხული სექტორებით (№№ 617— S; 1044— S; 1076— S) ისევე, როგორც IV ჰორიზონტის ჯამებს ახასიათებდა; აგრეთვე ჰორიზონტული ცალფა ტალღებით ამოვსებული სექტორებით, ბადისებურად დაშტრიხულებთან მონაცვლეობით (№ 1245— S). ჯამი გარედანაც, ტანზე, შემკულია უდებად დატანილი პრიალა ტალღებით. ფორმის მხრივ ახალი ჩანს ჯამი ძლიერ გადაზნექილი ბაკოთი და გამობერილი ქვედატანით (№ $692_2$— S). ასეთი პროფილი, ჩვეულებრივ ქვაბ-ქოთნებისთვისაა დამახასიათებელი.

საინტერესოა ერთი შავპრიალა ჯამის ქიმის ფრაგმენტი (ტიპი IIIa), რომელზედაც მიძერწილია დაბალი რელიეფის „უნაგირა ყური“ (№ $1916_2$). ასეთი რამ ჯამებზე უფრო ძველ ჰორიზონტებშიც არ შეგვხვედრია. იშვიათია აგრეთვე ხოვლესთვის ყურიანი ჯამები (№№ 1042— S; 1181— S).

ერთი პატარა შავპრიალა ჯამი (ტიპი I b) თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი (№ 2010). ჯამის ფსკერი შიგნიდან ოთხ სექტორადაა გაყოფილი პრიალა ხაზებით. სექტორები შემკულია ასეთივე ხაზების ირიბი შტრიხებითა და რომბული ბადით. ბაკო ქიმისაგან გამოყოფილია მკვეთრი ღარით, ხოლო ქვედა ტანი გარედან შემკულია ჭუსლიდან გამოსული პრიალა რადიალური სხივებით. მეორე, უფრო დიდი და ღრმა შავპრიალა ჯამი გარედან ქიმზედაც და ქვედატანზედაც შემკულია წვრილი პრიალა სხივებით (№ 292).

კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია აგრეთვე შავპრიალა ხუფი თავზე ბრტყელი კოპით (№ 1000— S, ტაბ. LIV), როგორც ეს IV ფენის ხუფებისთვისაა დამახასიათებელი, აღმოჩენილი ბორცვის სამხრეთით მდებარე ნასოფლა-

რის ერთ-ერთ ნაგებობაში და ლეგად გამომწვარი „სადგარის“ ფრაგმენტი. „სადგარის“ ბაკო ბრტყელი და განიერია, შემკულია ოთხმაგი დაბალრელიეფური, „ფრჩხილის“ დანაჭდევებით შექმნილი „გრეხილი“ სარტყლით (№ 1575). ეს საინტერესო ფრაგმენტი აღმოჩენილია ბორცვის მოსაპირკეთებელი ფილაქნების დონეზე.

## ფითელკეციანი კერამიკა

### (ტაბ. LIII—LIV)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IV პერიოდიდან, ალბათ მისი ბოლო ფაზიდან, ხოვლეგორის სამოსახლოზე ჩნდება მანამდე აქ უცნობი წითლად გამომწვარი კერამიკა. თუ ამ დროს ასეთი ჭურჭლეულის თითო-ოროლა ცალია დადასტურებული, III პერიოდიდან იგი უეცრად თვალში საცემი რაოდენობით გვხვდება და შავლეგა კერამიკასთან ერთად თანაარსებობს დაახლოებით ისეთივე ინტენსივობით.

წითლად გამომწვარი ეს კერამიკა დიდ ნაწილში აშკარად განსხვავდება მისი წინამორბედი და თანადროული შავლეგა კერამიკისაგან. განსხვავებაა არა მხოლოდ დამზადების ტექნიკაში (თიხა როგორც წესი დაწმენდილია, გამოწვა თანაბარი და სრული), არამედ ფორმებშიაც და აგრეთვე იმაშიც, რომ წინააღმდეგ საკმაოდ მდიდრულად ორნამენტირებული შავკეციანი კერამიკისა, წითელკეციანი, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სრულიად სადაა, უორნამენტო.

გარდა საკუთრივ წითელკეციანი, აგურისფრად გამომწვარი კერამიკისა ამ ჯგუფში ვაერთიანებთ საერთოდ ღია ფერის (წაბლისფერიდან ყვითლამდე) ჭურჭელს, რადგან წინააღმდეგ ზემოგანხილული ძველი ფენების შესატყვისი პერიოდისა, ახლა სრულიად უეჭველია, რომ შავად ან ლეგად გამომწვართან ერთად ამ ჯგუფის ჭურჭელსაც ამზადებდნენ.

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი. ფრაგმენტებია შემორჩენილი (პირისა, ბრტყელი ძირებისა და სხვა), სქელკეციანი (1,5—2,0 სმ), წითლად, აგურისფრად გამომწვარი. როგორც ჩანს, ორი ტიპის ქვევრებია: I. დაბალყელიანი, ბაკოგადმოზნექილი (№№ 565— S; $565_1$ — S) და II. მაღალყელიანი, განიერ- და ბრტყელზედაპირიანი ბაკოთი (№№ 523— S; 555— S). ამ უკანასკნელი ტიპის ქვევრები ყელის ძირში შემკულია დაძერწილი, მაღალრელიეფური „გრეხილი“ სარტყლით.

ჭ ო ც ო ე ბ ი თ უ დ ე რ გ ე ბ ი, წაბლისფერი ზედაპირით, ისეთივე პროფილისა, როგორც მსგავსი შავპრიალა ჭურჭელი (№№ 742— S; 1295— S).

დ ო ქ ე ბ ი. შემორჩენილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ტუჩიანი (სამყურა ბალახის ფოთლის მოყვანილობის) დოქის პირისა (№ $702_2$—S). მეორე ფრაგმენტი მილიანი დოქისაა (№ 1004—1005— S ტაბ. LVII), რომლის ყელი გადაშლილია, ხოლო მრგვალგანივკვეთიანი რკალური ყური უშუალოდ პირთანაა მიერთებული. ეს ფრაგმენტი მილიანი დოქისა აღმოჩნდა ხოვლეგორის სამხრეთი ნასოფლარის ერთ-ერთი (№ 7) ნაგებობის ჩანაყარ მიწაში, უშუალოდ მასზე გადამავალი ზედა (II) ფენის ფილაქანს ქვეშ.

შესაძლებელია პირგადაშლილი მაღალყელიანი დოქის ნატეხი იყოს ერთი ორმხრივ წითლადშეღებილი ფრაგმენტი (№ 701— S). ზოგიერთი დოქის ყური

ბაკოსთან მიერთების ადგილას შემკულია მინაძერწი „მეჭეჭებით“ (№ 1047— S), რაც „რქებიანი ყურების“ დერივაციას უნდა წარმოადგენდეს.

ქ ო თ ნ ე ბ ი. სულ თითო-ოროლა ნატეხია, რომელთა მიკუთვნება ამ ტიპის ჭურჭლისადმი შესაძლებელია. ერთი ფრაგმენტი აგურისფრადაა გამომწვარი, მოწითალო-მოწაბლისფრო ზედაპირით. ბაკოს გარედან „ფრჩხილის“ ორნამენტით შემკული წიბო შემოსდევს (№ 406— S). მეორე, ქოთნის თუ დერგის პირის ნატეხი, აგრეთვე წაბლისფერია. იგი იმეორებს ძველ ჰორიზონტებში ხშირად დამოწმებული ასეთი შავლეგა ჭურჭლის პროფილს. ყელის ქვეშ ამასაც შემოსდევს წვრილი კონცენტრული ღარების სარტყელი, მხოლოდ ზედაპირზე ულაზათოდ ჰქონია დატანილი დაშტრიხული სამკუთხედების რიგი (№ 2013). აგრეთვე ქოთნის თუ დერგის მხრის ნატეხი უნდა იყოს მოყვითალო-მოვარდისფროდ გაპრიალებული ფრაგმენტი ნაკაწრი „ვერტიკალური კიბის“ ორნამენტით (№ 632— ტაბ. LII).

ერთ-ერთ ნატეხზე, რომელიც წითლადაა გამომწვარი, ღია წაბლისფერი ზედაპირით, რელიეფური სარტყლების ორნამენტია: ორ კონცენტრულ სარტყელში ტალღური ხაზია ჩაწერილი, ხოლო არეებში დაწნევით დატანილი პრიალა ტალღებია (№ 1520). ერთი მუქწაბლისფრად გაპრიალებული ნატეხი სრულიად უჩვეულო რელიეფურ ორნამენტს ატარებს (№ 352). სტრატიგრაფიულად ეს ნატეხი შეიძლება IV ფენასაც მიეკუთვნოს.

ამ ფრაგმენტების უნიკალურობის ორნამენტაცია, როგორც ვიცით, გვხვდება თანადროულ შავლეგა კერამიკაზე და აგრეთვე უფრო ძველი ფენების ჭურჭელზე. წითელი კერამიკისათვის შეკობის ასეთი ხერხი სრულებით არ არის დამახასიათებელი. ფაქტიურად, ეს ზემოგანხილული ფრაგმენტები საკუთრივ წითელი კერამიკის ნიმუშებად არც კი ჩაითვლება.

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი. წაბლისფრად გამომწვარი, ფორმითა და შემკულობით სრულიად იდენტურია შავლეგა ასეთი ჭურჭლებისა: ყელის ძირში „ფრჩხილის“ სარტყელი და ტანზე პრიალა მერიდიანები, რკალურ ყურზე „რქებისებური“ წანაზარდებით (852— S; ტაბ. L—LI). ახალი ჩანს დიდი სქელკედლიანი ორყურა (?) ქვაბქოთანა, სრულიად უორნამენტო გადმოზნექილი მარტივი ბაკოთი (№ 525). ამ ტიპის ქვაბქოთანა თითქოს წააგავს ფორმით ხოვლეს ნაოსახლარის ამავე ფენიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ უორნამენტო შავლეგა ქვაბქოთნებს (№№ 854— S), მაგრამ ეს ღიაწაბლისფერი ქვაბქოთანა უფრო მასიურია, დიდი და ყურიც უფრო გრძელი, რკალური და განიერი აქვს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ III ფენამ შემოგვინახა ჭურჭლების ყურების ფრაგმენტები, რომლებიც ხოვლეში ნახოლოდ ძველ ან კიდევაც უძველეს ფენებში გვხვდება. ეს არის, ჯერ-ერთი, დაბალი რელიეფის „გრეხილ-უთაჭისებური ყური“, რომელსაც აშკარად ეტყობა გადაგვარება: იგი უფრო რელიეფურ ნაკეცებს თუ ნაოჭებს წააგავს, ვიდრე ძველ ფენებში ცნობილ ძაღლარელიეფურ ასეთ „ყურს“ (№ 261). შემდეგ, აღსანიშნავია, „გრეხილზურგიანი“ რკალური ყური (№ 1532) დამახასიათებელი ხოვლეს უძველესი ფენებისთვის. შესაძლებელია, იგი მართლაც, ძველი ფენებიდან მოხვედრიყოლო შემთხვევით III ჰორიზონტში.

ქ ი ლ ე ბ ი. სრულიად ახალ ფორმებს უჩვენებს წაგრძელებულტანიანი, ვიწრო, ძირბრტყელი ე. წ. „სიგარისებური“ ჭილები, უყელო, ბაკოგ დაკეცილი პირით ან შედარებით მაღალყელიანები (№№ 858=860— S; 859— S). აღსანიშნავია აგრეთვე ძირწვეტიანი ჭილების (?) ფრაგმენტები (№ 740— S).

აგრეთვე ახალ ფორმას წარმოადგენს მაღალყელიანი და პირგადაშლილი, მუცელგანიერი და ძირბრტყელი კოჭობი (№ 1279— S), რომლის ფორმის აღდგენა მოხერხდა შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით. დაახლოებით ასეთივე, ოღონდ ელიფსურმუცლიანი კოჭობის ნაწილია წითლად გამომწვარი, წითლად უდებად შეღებილი პატარა ჭურჭელი, შემკული ყელის ძირში წვრილი დაშტამპული წრეხაზების სარტყლით (№ 1317). შესაძლებელია ამგვარივე სფერულმუცლიანი ჭურჭლის ქვედატანის ნაწილი იყოს ლეგად გამომწვარი, ვარდისფერზედაპირიანი ფრაგმენტი (№ 814— S), აღმოჩენილი S ნასოფლარის ერთ-ერთი (№ 1) ნაგებობის იატაკზე.

დაბოლოს, მეტად ორიგინალურია პატარა, კვერცხის ფორმისებური ჭურჭელი, „ამფორისკი", რომლის პირის ფორმის აღდგენა სამწუხაროდ არ მოხერხდა. „ამფორისკი" წითლად არის გამომწვარი და ზემოდან, დამატებით, წითელწერნაქიანი. მხრებზე ორი პატარა, სამკუთხა გახვრეტილი (ჩამოსაკიდად) ყური ჰქონია (ერთი მოტეხილია). ჭურჭელი კარგი ნახელავია (№ 813— S). იგი ნაპოვნი იყო სამხრეთი ნასოფლარის ერთ-ერთი (№ 1) ნაგებობის კერასთან, ნაცარში (ტაბ. L, LIV).

ჯამ-ლანგრები. ტიპების მხრივ თითქოს შესაძლებელი ხდება წაბლისფრად გამომწვარი ასეთი ჭურჭლის განსხვავება საკუთრივ წითლად გამომწვარისაგან (ტაბ. LIII).

წაბლისფრად გამომწვარი ჯამები ჩვენი კლასიფიკაციით ყველა ტიპისა გვხვდება. ზედაპირი უფრო მოსწორებულია, ვიდრე გაპრიალებული, გარდა ორი პატარა ჯამის ქიმის ნატეხისა, რომლებიც ორმხრივაა გაპრიალებული და დამახასიათებელი პროფილისაა (№№ 301; 711— S). ასეთივე ქიმის ნატეხია № 2227, ორმხრივ წითლად შეღებილ-გაპრიალებული.

ისევე, როგორც, ჩვეულებრივ, შავლეგა ჯამებისთვისაა დამახსიათებელი, შვეულქიმიანი ჯამების ბაკო ზოგჯერ შესქელებულია (№ 625— S), პირგადაშლილებისა კი — სადაა (№№ 701b — S; 1058b — S). ამ უკანასკნელთაგან ცალკეა აღსანიშნავი პირზე რელიეფური წიბოებით შემკული ჯამის ნატეხი (№ 844— S).

რაც შეეხება საკუთრივ წითლად გამომწვარ ჯამებს მათ შორის აღარ გვხვდება შვეულქიმიანი ან ქიმშეზნექილი ცალები (ტიპი II, ტიპი III b). მხოლოდ ერთი შემთხვევაა ქიმდაღარული ასეთი წითლად გამომწვარი და გაპრიალებული ჯამის ქიმის ფრაგმენტის პოვნისა, ბორცვის ფილაქნებით მოპირკეთების დონეზე (№ 75). ეს ნატეხი სრულიად იდენტურია ნასოფლარის № 8 ნაგებობაში აღმოჩენილი ლეგაპრიალა ცალისა (№ 1059— S). წითლად გამომწვარ ჯამებში გავრცელებულია ჩვენი კლასიფიკაციის ტიპი I a და ტიპი III a. პირგადაშლილი ჯამები ღრმაა და თანაბრად, კარგად გამომწვარი. საერთოდ ამ ჯურის კერამიკა კარგი ნახელავია. თუ დიდი ჯამების (№ $603_1$— S) კეცის სისქე 0,8—0,9 სმ-ს აღწევს, პატარები — თხელკეციანია (0,2—0,5 სმ) და მაღალი ოსტატობით შესრულებული. შთაბეჭდილება ისეთია რომ ბევრი მათგანი ლითონის მიბაძვითაა გაკეთებული.

ჯამების შიდაპირს არ აპრიალებდნენ, თუმცა კი ორივე მხარეს კეცის ზედაპირი საგანგებოდაა მოგლუვებული. დიდ ჯამებში ქიმიდან ტანზე გადასვლა თანდათანობითია, პატარებში კი გვხვდება მკვეთრად პროფილირებული ცალები (№№ 706a— S; 546— S; 701a — S; 1222— S). ჯამებს, როგორც ჩანს, ბრტყელი ძირი ჰქონიათ (№ 857— S).

ცალკეა აღსანიშნავი თხელკეციანი ჯამის ნატეხი (№ 603₂— S), რომელსაც პირი საერთოდ არა აქვს დიფერენცირებული ტანისაგან და რომელიც, ამდენად წაკვეთილი კონუსის ფორმისა უნდა ყოფილიყო. ერთი პროფილირებული ჯამის ნატეხი დამატებით კიდევ წითლადაა შეღებილი (№ 1058— S).

პირშეზნექილი ჯამები (ტიპი IIIa), ამ ჰორიზონტიდან პატარა ზომისაა (d = 13—14 სმ), მაგრამ უმეტესობა საკმაოდ ღრმაა. კეცი, შედარებით შავად ან წაბლისფრად გამომწვარი კერამიკასთან, თხელია (0,3—0,5 სმ). მხოლოდ ერთი ასეთი ჯამის — № 856— S — კეცის სისქე აღწევს 1 სმ-ს, მაგრამ ეს ნატეხი საკმაოდ ასიმეტრიულია და მდარე ნახელავი. ასე რომ შესაძლებელია წუნი იყოს. კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ასხვავებს წითლად გამომწვარ პირშეზნექილ ჯამებს ასეთივე შავად ან წაბლისფრად გამომწვართაგან. კერძოდ, პირი ასეთი ჯამებისა უმეტესწილად უფრო დაბალია და უფრო შეზნექილი შიგნითკენ. ფაქტიურად, აქ შესაძლებელია ვილაპარაკოთ არა პირშეზნექილ, არამედ ბაკოშეზნექილ ჯამებზე (№№ 708— S; 706— S; 702₁— S; 856— S; 1301— S), თუმცა გვხვდება უფრო მაღალპირიანი ჯამებიც (№ 711a— S). საგანგებოდ გაპრიალებული ცალები არ გვხვდება, ზედაპირი ორივე მხრივ მოგლუვებულია, რის გამოც აღარ ჩანს ჩარხზე ნაკეთობის კვალი. ჯამებს ბრტყელი ძირი ჰქონიათ და სრულიად მოკლებულნი ყოფილან ორნამენტაციას. ერთი ასეთი ბრტყელძირიანი „ბაკოშეზნექილი“ პატარა ჯამი მთლიანად შეღებილი ყოფილა წითელი საღებავით (№ 304).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ წაბლისფრად გამომწვარი „სადგარის“ ფრაგმენტი, განიერი, რკალური მოყვანილობისა, რომელსაც ორივე (ქვედა და ზედა) პირზე ირიბი ჭდეული შტრიხების სარტყელი შემოსდევს (№ 874— S). მისი ზედაპირი ნახევრად მოშავო ფერისაა, თითქოს შებოლილი. ჩარხზე ნაკეთობის კვალი არ ეტყობა. შესაძლებელია სადგარისავე ფრაგმენტი იყოს აგურისფრად გამომწვარი სქელკეციანი საგანი, ტლანქად ნაკეთები კენჭნარევი თიხისაგან (№ 636— S).

ცალკეა აღსანიშნავი მეტად საინტერესო, მსხვილკენჭნარევი თიხისაგან გამომწვარი სქელკეციანი (1,5 სმ) ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (№ 1284₂— S). როგორც ჩანს, ეს დიდი მოცულობის და ღრმა ჭურჭელი ოდნავ პირშეზნექილი ყოფილა, ბაკოგასქელებული და ბრტყელზედაპირიანი. ბაკოს გარე კიდე — დიფერენცირებული. გარედან ჭურჭელს ზედაპირი მოგლუვებული აქვს, შიგნიდან კი — არა. შიდაპირზე თიხაში საკმაო რაოდენობით შეზავებული კენჭებია ამოჩრილი და საერთოდ შიდაპირი და ბაკოს ზედაპირიც ხაოიანია. მაგრამ აქა-იქ შერჩენილი ნაშთებისდა მიხედვით ცხადი ხდება, რომ თავის დროზე ჭურჭლის შიდაპირი საკმაოდ გულადგულ ყოფილა მოგლესილი, შესაძლებელია, კიდევაც საგანგებოდ დაწმენდილი თიხით. ეს თითქოს უნდა მოწმობდეს, რომ ჭურჭელს შიგნიდან ხედავდნენ. მართლაც პირთან შიგნიდან თითქოს ეტყობა ხეხვის კვალიც — წვრილი და თხელი, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი, ნაკაწრი ხაზები. ყოველ შემთხვევაში ეს არ უნდა იყოს ჩარხზე ნაკეთობის ნაკვალევი, თვით ამ ნაკაწრი ხაზების ხასიათის გამო, რადგან ეს უკანასკნელი (ჩარხზე ნაკეთობის ნაკვალევი) ჭურჭელს ეტყობა გარეპირზე, მოგლუვებულ არეებს შორის: ეს არის მეტად თხელი და წვრილი კონცენტრული ხაზები. ამგვარად, თუ ჭურჭელს ხეხავდნენ უნდა ვივარაუდოთ, მართლაც რომ მასში ისხმებოდა სითხე, რომელსაც საგანგებოდ იცავდნენ ჭუჭყისა და უსუფთაობისგან.

ყველაფერი ზემოთქმული (ჭურჭლის ფორმა, მოცულობა, შიდაპირი ხეხვა) მავარაუდებინებს, რომ ეს ნატეხი უნდა წარმოადგენდეს თაღარის პირის ფრაგმენტს.

### იმპორტული კერამიკა

№ 695— S. ბერძნული შავფიგურიანი ჭურჭლის პატარა ფრაგმენტი, თითქოს მოცეკვავე ფიგურის გამოსახულებით ნასოფლარის № 3 ნაგებობიდან. ეს არის პირველი და შეიძლება ითქვას უნიკალური აღმოჩენა ბერძნული ადრეანტიკური კერამიკისა აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე[1]. ამავე ჰორიზონტიდანაა მეორე უნიკალური საგანი აღმოსავლეთი საქართველოსათვის — სამეთუნეო მორგვი № 849₁ — S (ტაბ. LIX).

### ლითონის ნაკეთობა

#### ბრინჯაო

(ტაბ. LXII)

#### „სკვითური“ ისრისპირები

№ 829. სამფრთიანი ისრისპირი, წვერწატეხილი. მასრა არ გამოდის ფრთების ბოლოებს უკან.

№ 1173. სამფრთიანი გრძელმასრიანი მასიური. ორად გატეხილია.

№ 2293. სამფრთიანი მოკლემასრიანი მასიური.

№ 1339. სამფრთიანი, მასიური. საშუალო სიგრძის მასრით.

№ 1320. დიდი ზომის სამწახნაგა (?). დაზიანებულია.

დაბოლოს აქვეა აღსანიშნავი არქაული ორფრთიანი ისრისპირი მასრაზე დეზით, რომელიც აღმოჩნდა „მრგვალი კოშკის“ კედლის ქვეშ, III ჰორიზონტის იატაკზე (№ 2292) და სამფრთიანი მასიური ისრისპირი სამხრეთი ნასოფლარიდან (№ 1300— S).

ზემოხსენებული ისრისპირები სტატიგრაფიულად კარგად განისაზღვრება.

ამავე კომპლექსში უნდა განვიხილოთ შემდეგი მასრიანი ისრისპირები, რომელთა ზუსტი სტრატიგრაფიული იდენტიფიკაცია გაურკვეველია:

№№ 2—61; 1240. ისეთივე ტიპისა, როგორც № 829.

№№ 762; 2278; 313—61. ისეთივე ტიპისა, როგორც № 1320.

№ 2270. მასრამოტეხილი სამფრთიანი პატარა ისრისპირი, რომელიც ნაძრავ ფენაში იყო ნაპოვნი მასიურ ყუნწიან ისრისპირთან ერთად (№ 2269).

---

[1] ეს ფრაგმენტი აღმოჩნდა 1954 წ. 1955 წ. შიდა ქართლის ტერიტორიიდან (სოფ. ავლევი) დაზვერვითი ექსპედიციის დროს აღმოჩნდა მეორე ფრაგმენტი ბერძნული იმპორტული კერამიკისა (ამჟამად საამისოდ იხ. ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966, გვ. 72, ტაბ. XII, 1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ხოვლეში აღმოჩენილი შავფიგურიანი კერამიკის ფრაგმენტი, ზოგიერთ სხვა მასალასთან ერთად, გადაეცა საქართველოს სახ. მუზეუმს და იგი გამოფენილი იყო იქ არქეოლოგიურ ექსპოზიციაში. 1962 წ. რეექსპოზიციასთან დაკავშირებული სამუშაოების დროს ეს ნატეხი ჩამოხსნილ იქნა ვიტრინიდან. სამწუხაროდ, ამჟამად იგი ისევე, როგორც რკინის დანა (2307) და „ასტამი“ (2295) ხოვლეს V ჰორიზონტიდან ვეღარ მიაკვლიეს მუზეუმის ფონდებში).

## სამკაული

№ 1598$_1$. სამკოპათავიანი საკინძი ხორხისმაგვარი ყელით. წვერი მოტეხილი აქვს.

№ 1370. საკინძი პატარა და ბრტყელი კუბიკური თავით, რომელიც ზემოდან ოდნავ ჩაჭრილია.

№ 1862. მახათი (?). ყუნწი მოტეხილია.

№ 2204. კონიკური ღილი. უკან ღერძი მოტეხილია.

№ 2200— S. გაურკვეველი საგნის ნატეხი ზედ ჭდეული ორნამენტით.

## რკინა

(ტაბ. LXI)

№ 1073— S. დანისპირის ფრაგმენტი.

№ 811— S. გაურკვეველი საგნის ნაშთები.

## ქვის ნაკეთობა

(ტაბ. LXI, LXIII)

კვირისტავი სოკოს თავის მოყვანილობისა, შუაში გახვრეტილი. თავთან წვრილი ღარი შემოუყვება (№ 812— S) ნასახლარის № 1 ნაგებობის იატაკიდან). მეორე მსგავსი საგანი ძაბრისებური ჩაღრმავებით ბრტყელ ძირზე და ნახევარცილინდრული ღარით ამოტეხილ თავზე, აღმოჩნდა ბორცვზე (№ 1919).

საკიდი, ბრტყელ-ოვალური პატარა რიყის ქვისგან. ორივე მხრიდან ძაბრისებურად გახვრეტილი (№ 724— S). ნასახლარის № 3 ნაგებობის იატაკიდან.

საპრიალებლები. № 725— S, მრგვალ-ბრტყელი რიყის ქვისა, ორივე სიბრტყეზე შემოვლებული აქვს წვრილი ღარი. აღმოჩნდა S ნასახლარის № 2 შენობაში. სიბრტყეები ნამუშევარია. № 834— S, ბრტყელ-ოვალური პატარა წაბლისფერი ქვა, რომლის ერთი წვერი და ნაწილობრივ გვერდები ნამუშევარია, გაპრიალებული. უნდა ვიფიქროთ, რომ ამისთანა საპრიალებლით დაჰქონდათ ჭურჭლის ტანზე შუასიგანის პრიალა მერიდიანები, ტალღები და სხვ. ორნამენტი, რომელიც ხოვლეს ყველა ფენისთვისაა დამახასიათებელი. აღმოჩნდა S ნასახლარის № 3 ნაგებობაში. გარდა ამისა აღმოჩენილია ნავისებური ხელსაფქვავები, სანაყები და სახეხები.

## ძვლის ნაკეთობა

(ტაბ. LXI, LXIII)

საბეჭდავი-საკიდი (№ 54) ოთხკუთხა-ფირფიტოვანი, ოვალური გახვრეტილი ყუნწით, სქემატური ჭდეული გამოსახულებებით ორივე სიბრტყეზე.

№ 815— S. ცხვრის ფალანგა, სიგრძივ გახვრეტილი, საკიდად გამოყენებული. ასეთი ფალანგები სამკაულად ხოვლეში, როგორც ვიცით, უძველესი დროიდან (VIII, VI ჰორიზონტები) გამოიყენებოდა, მაგრამ ძველად ისინი

იხვრიტებოდა არა სიგრძივ, არამედ განივად. № 1863. სადგისი, თავგაგანიერებული.

### მ ძ ი ვ ე ბ ი

№ 533. შავი ფერის ქვის (გიშერი?) მძივის ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ბიკონუსური ფორმისა, შუაში ინკრუსტირებული თეთრი ხაზებით.

№ 1315. ლურჯი მინის კონიკური, სამმალიანი პატარა (h = 1,1 სმ) თავმარყუჟა მძივსაკიდი. პირზე ამოჭრილია გაურკვეველი გამოსახულება (ე. ი. ფაქტიურად, საბეჭდავია). აღმოჩენის ადგილის მიხედვით (ბორცვის ჩრდ. ფერდზე № 4 ოთახში) შესაძლებელია II ჰორიზონტის კუთვნილი იყოს (ტაბ. LXI).

№ 2314. ნიჟარებისაგან გაკეთებული მძივები.

## თ ა ვ ი VII

## ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ი ხ ო ვ ლ ე II

ამ ჰორიზონტს ვაკუთვნებთ ფრაგმენტულ მასალას, რომელიც ბორცვის იმდროინდელი ნაგებობებიდან და მათი შესატყვისი კულტურული ფენიდან გვაქვს და აგრეთვე — მასალას, მომდინარეს S ნასოფლარის ნაგებობათა ზედა სტრატიგრაფიული ფენიდან და საერთოდ ნასოფლარის კულტურული ფენის ზედა ჰორიზონტიდან, რომელიც თითქმის მხოლოდ წითლადგამომწვარი ჭურჭლეულის ნატეხებს შეიცავდა[1].

### შ ა ვ ლ ე გ ა კ ე ც ი ა ნ ი კ ე რ ა მ ი კ ა

(ტაბ. LV—LVI)

ქ ო ც ო ე ბ ი თ უ დ ე რ გ ე ბ ი განსხვავებას III ფენის ამგვარ ჭურჭლეულში არ იძლევა (№ 1020— S). მათი შემკობის წესიც იგივე რჩება (№№ $1412_1$; $1234_8$). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წინა ჰორიზონტთან შედარებით აქ ეს ჭურჭელი გაცილებით ნაკლები რაოდენობით გვხვდება. ალბათ ორყურა დერგების ფრაგმენტებს წარმოადგენენ დიდი ზომის, ბრტყელი რკალური ყურები, ზურგზე განიერი ღარით (№ 967— S). რომლებიც მხოლოდ ამ ჰორიზონტში შეგვხვდა.

პირველად ჩანს აგრეთვე დიდი, ძაბრისებური, სადაყელიანი დ ო ქ ე ბ ი თ უ კ ო კ ე ბ ი, მასიური მრგვალგანივკვეთიანი რკალური ყურით, რომელიც, როგორც ჩანს, უშუალოდ პირთან ყოფილა მიერთებული (№ 1091c — S.) ერთი რუხ-მოწითალოდ გამომწვარი შავზედაპირიანი ფრაგმენტი ტ უ ჩ ი ა ნ ი („სამყურა ბალახის ფოთლისებური“) ხ ე ლ ა დ ი ს პირის ნატეხია (№ 1390).

ამ ჰორიზონტში არ შეგვხვედრია დიდი ქ ო თ ნ ე ბ ი წარზიდული ბაკოთი, დამახასიათებელი III ფენისათვის. თუმცა იმის თქმა, რომ საერთოდ შავად ან ლეგად გამომწვარი ქოთნები ამ დროს აღარ მზადდებოდა, ცხადია, ნაად-

[1] ცხადია, რომ ზედა ჰორიზონტების არაერთგზისი გადახვნისა და გადათხრის შედეგად, თუკი ესა თუ ის კერამიკული ნატეხი არ არის ნაპოვნი in situ, მისი სტრატიგრაფიული იდენტიფიკაცია, მაინცდამაინც, საეჭვო რჩება.

რევი იქნებოდა, რადგან გვხვდება ამ ჯურის ჭურჭლეულის სქელკეციანი ნატეხები, თუმცა კი მათი რიცხვიც საერთოდ მცირე ჩანს.

ორნამენტაციაზე წარმოდგენას გვიქმნის რამდენიმე ნატეხი (№№ 2014; 1455; $1455_1$; 1444; 2002; 2004; 1208— S). როგორც ვხედავთ შემკობის ძველი ტრადიციები გრძელდება, რაც, სხვათა შორის, „უნაგირისებური“ თუ „მუთაქისებური“ ჰდეული ყურების ხმარებაშიაც ჩანს (№№ 1455; $1455_1$). სრულიად განსხვავებულ და ორიგინალურ ჰდეულ ორნამენტს ატარებს ერთი ლეგაპრიალა ნატეხი, რომლის სტრატიგრაფია სამწუხაროდ საეჭვოა (№ 406) ისევე, როგორც №№ $1026_1$ და 1272. თავისებური ჩანს აგრეთვე დიდი, სქელკეციანი (0,8—0,9 სმ) ჭურჭლის კორპუსის შემკობა მკვეთრი კონცენტრული ღარებით (№ 1037— S). ცალკეა აღსანიშნავი სადღეებლის ჭიპების ნატეხები (№№ 238— S; 822— S; 2246; 2183).

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი იმეორებენ III ფენაში გავრცელებულ ცალებს. კერძოდ, გვხვდება სადა ქვაბქოთნები დაღარული ყურით (№№ $794_2$— S). ზოგიერთი ასეთი ქვაბქოთანა მხრებზე პრიალა ხაზების ტეხილით თუ ბადით ყოფილა შემკული (№ 586— S). სხვები კი ისევე, როგორ III ჰორიზონტის მსგავსი ჭურჭელი შემკულია კონცენტრული, ზოგჯერ უდებად დატანილი, წვრილი ღარებითა და პრიალა მერიდიანებით (№№ $987_9$— S; 1087— S). რაც შეეხება ქვედა ჰორიზონტებში გავრცელებულ ქვაბ-ქოთნებს შემკულს ყელის ქვეშ წვრილი ღარებითა და „ფრჩხილის“ ორნამენტით, ისინი თითო-ოროლაღა გვხვდება. შესაბამისად თითო-ოროლაღა გვხვდება ქვაბქოთნების ყურები „რქებისებური“ წანაზარდებით თუ მუთაქისებური დანაძერწებით (№ 1206— S).

ჯ ა მ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება, მაგრამ ჩვენი კლასიფიკაციის ყველა ტიპია დამოწმებული (№№ 821— S; $987_6$— S; 843— S; 1133; 1328; 1363). გვხვდება ქიმდაღარული ცალებიც (№№ 963— S; $987_{10}$— S; 1745) და აგრეთვე „სავარცხლის ტალღით“ შემკულიც (№ 787— S). ორ ცალს აქვს წიბო ქიმზე (№№ 525— S; $1006_2$— S), როგორც III ჰორიზონტში შეგვხვდა. ერთი ჯამის ფსკერი, როგორც ჩანს სექტორებად ყოფილა დაყოფილი და პრიალა ხაზების ბადით შემკული (№ $2188_1$). მეორე აგრეთვე შავპრიალა ქიმდაღარული ჯამი ფსკერზე სხვაგვარ ორნამენტს ატარებს. განივი, ბოლოებში ურთიერთგადამკვეთი უდებად დატანილი წვრილი პრიალა ხაზები (№ 1452).

ერთი ჯამის ფრაგმენტი (№ $1133_1$) იმეორებს III ჰორიზონტში დამოწმებულ ქვაბქოთნის პირისათვის დამახასიათებელ უჩვეულო პროფილს (იხ. ზემოთ, № $696_2$— S). ნამოსახლარის კულტურულმა ფენამ შემოგვინახა აგრეთვე ღრუ ფ ე რ ხ ე დ ი თ ა ს ი ს ქვედა ნაწილი შავ-მორუხოდ გამომწვარი, გარედან — შავპრიალა (№ 1008— S).

## წითელკეციანი კერამიკა

(ტაბ. LV, LVII—LVIII)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჰორიზონტში წითელკეციანი კერამიკა აშკარად ჭარბობს შავსა და ლეგაკეციანს.

ქ ვ ე ვ რ ე ბ ი იმეორებენ ჩვენთვის უკვე III ჰორიზონტიდან ცნობილ ტიპებს. გვხვდება სადა დაბალყელიანი სქელკეციანი და შედარებით თხელ-

კეციანი ქვევრების ფრაგმენტები (№№ 587— S; 1079— S; 1085—S; 840 — S; $2185_1$) და აგრეთვე მაღალყელიანი ცალებიც (№ 1079a— S).

უფრო მომცრო ზომის ერთი დაბალყელიანი ქვევრის (ქოცოს?) მხარზე ჭდეული სარტყელია შემოვლებული: სწორ პარალელურ ხაზებში ჩაწერილი ცალფა ტალღური ხაზი (№ 1084b — S). ხშირია მაღალყელიანი და ბაკოგაბრტყელებული ქვევრების ფრაგმენტები ყელის ქვეშ მაღალრელიეფური გრეხილი სარტყლით (№№ 1080— S; 2185— S).

დ ე რ გ ე ბ ი. ერთი ასეთი ჭურჭელი თითქმის მთლიანად (ძირის გარდა) იქნა აღდგენილი. იგი აღმოჩენილია ბორცვზე ე. წ. „მრგვალ კოშკთან" in situ. დერგი საკმაოდ დიდია პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მხრებ-და მუცელგანიერი, დახვეწილი ფორმისა, წითლად კარგად გამომწვარი, მოგლესილი ბოყვითალო. ზედაპირით (№ 1732). იგი ფორმით თითქოს რამდენადმე მოგვაგონებს ქვედა ჰორიზონტებში გავრცელებულ კვერცხისებური კონტურის შავლეგა დერგებს, თუმცა მისი კორპუსი არც ისე სწრაფად ვიწროვდება ძირისაკენ და, აგრეთვე განსხვავებით ძველი დერგებისგან, მხრიდან მუცელზე გადასვლა თითქოს ოდნავ კუთხოვანია.

დ ო ქ ე ბ ი. II ჰორიზონტი ამგვარი ჭურჭლეულის საკმაო რაოდენობასა და ვარიანტს იძლევა. № 987— S დიდი დოქის თუ კოკის ყელის ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ანალოგიურია ამავე ჰორიზონტიდან ჩვენთვის უკვე ცნობილი ლეგა ასეთი ჭურჭლისა. ნეორე ასეთი ჭურჭლის ფრაგმენტი (№ 128) ყელის ძირში ერთ ადგილას დაჭდეულია ექვსი „ფრჩხილისებური" ნაჭდევით, რომლებიც თევზიფხური ორნამენტის სახეს ქმნიან. მაგრამ ეს არ უნდა იყოს ორნამენტი და შესაძლებელია საგანგებო რაიმე ნიშანს (მოცულობის აღმნიშვნელს?) წარმოადგენდეს. ერთი წაბლისფრად გაპრიალებული ყელის ფრაგმენტი შუა ნაწილში შემკულია რელიეფური წიბოთი (№ 1093— S).

აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენთვის უკვე წინა, III ჰორიზონტიდან ცნობილი დოქების ფრაგმენტები ყურზე „მეჭეჭებით (№№ 1415; 1296; 2183) დოქის თუ ხელადის ბრტყელ-ოვალურ განივკვეთიანი ყურის ნატეხი უნდა იყოს № $793_2$— S, ყვითლად მოთეთროდ გამომწვარი, თავზე ხოვლესთვის უჩვეულო რელიეფური წიბოთი.

გვხვდება უფრო მომცრო ზომის დოქებისა თუ ხელადების ფრაგმენტები, რომელთაც მრგვალგანივკვეთიანი ყური უშუალოდ პირთან კი არა აქვთ მიერთებული, არამედ — ოდნავ ქვემოთ. ზოგიერთი მათგანის ყურზე წოპისებური წიბოა (№№ 1086— S; 1094— S). ერთი მათგანი წითლადაა შეღებილი და გაპრიალებული (№ 918— S).

ერთი უჩვეულო ფრაგმენტი, რომელსაც ყელის ძირში მკვეთრი საფეხურებრივი წიბო შემოუყვება და რომელიც ნასახლარის კულტურულმა ფენამ შემოგვინახა აგრეთვე ხელადის ნაწილი უნდა იყოს (№ 1304— S), თუ ვიმსჯელებთ ბორცვზე აღმოჩენილი ანალოგიით, რომელსაც დამატებით, მხარზე ყურის მიმაგრების ადგილი ეტყობა (№ 1493). სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის სტრატიგრაფიაც ბუნდოვანია, რამდენადაც იგი ზოგადად მიეკუთვნება I—II ჰორიზონტებს.

ნიშანდობლივია რაოდენობითაა წარმოდგენილი მილიანი ხელადები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი გამონაკლისის გარდა, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (№ 1004—1005— S) ყველა დანარჩენი ასეთი ჭურჭელი, უფრო ხშირად მათი ფრაგმენტები, რომელთა ფიქსაცია in situ

მოხერხდა, II ჰორიზონტს განეკუთვნება. ასეთი შემთხვევა კი რვა გვაქვს (ნასოფლარიდან: №№ 793$_1$— S; 842— S — № 4 ნაგებობიდან; № 989—S — № 8 ნაგებობიდან; № 1032 — S და № 1038 — S — № 11 ნაგებობის ნაშთიდან; № 1098$_1$ — S — № 12 ნაგებობიდან: № 999 — ზედა ფენის ორმოდან J$_9$ კვადრატში; ბორცვიდან: № 2233— ჩრდ. ფერდის № 2 ოთახის სანერწყალიდან). თვით ის ერთი ფრაგმენტიც, რომელიც III ჰორიზონტში აღმოჩნდა, ნასოფლარის ზედა ფენის (ხოვლე II) № 7 ნაგებობის ფილაქანს ქვეშ უშუალოდ იდო ქვედა ფენის (ხოვლე III) № 7 ნაგებობაში ჩანაყარი მიწის თავზე. რადგან ზედა ნაგებობის ფილაქნები დაძრული იყო ძველადვე (ხვნისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო), ამიტომ შესაძლებელია ამ ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც თავის დროზე, ეგების, ზედა ჰორიზონტის ნაგებობას მიეკუთვნებოდა, ჩავარდა ფილაქნებს შორის და ქვედა ჰორიზონტში აღმოჩნდა. მაშინ ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ასეთი მილიანი ხელადები მხოლოდ ხოვლე II პერიოდში გვხვდება და უფრო ადრე არ ჩანს.

საქმის ახლანდელი ვითარების დროსაც ასეთი დასკვნის მიღება ხოვლეს ნამოსახლარისათვის პრაქტიკულად სწორი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ეს მილიანი ხელადები მაინცდამაინც ხოვლე II-თვისაა დამახასიათებელი. ამიტომ არა მგონია შევცდეთ თუ ნასოფლარისა და ბორცვის კულტურულ ფენაში (როგორც წესი მის ზედა შრეებში) აღმოჩენილ და რომელიმე ნაგებობასთან დაუკავშირებელ ფრაგმენტებს ამ ჭურჭლისას ჩვენ აგრეთვე ხოვლე II-ის პერიოდს მივაკუთვნებთ.

მილიანი ხელადები, ფრაგმენტების მიხედვითაც რომ ვიმსჯელოთ, სხვადასხვა ფორმისა ყოფილა. ზოგიერთის პირის მოყვანილობა სრულიად იდენტურია № 1004—1005— S-ისა (№ 1032— S), ზოგს კი უფრო ვიწრო და მაღალი ყელი ჰქონია, ხოლო ყელის ძირისა და მილის გარშემო შემკული ყოფილა მკვეთრი წერტილების სამი რიგის სარტყლით (№ 2233). ეს უკანასკნელი ხელადა არცთუ დიდი ზომის კარგად ნახელავი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო. იგი წითლად არის გამომწვარი, გარედან ღია წაბლისფერია, კარგად მოგლუვებული ზედაპირით. ფორმით იგი, როგორც ჩანს, შედარებით ვიწრო უნდა ყოფილიყო, ოვალურმუცლიანი.

თვით მილებიც განირჩევიან ერთმანეთისაგან ზომითაც (№№ 842— S; 973—S; 989—S; 1006$_3$—S) და ფორმითაც. ზოგს ჩვეულებრივი, ოდნავ გადაშლილი პირი აქვს (№№ 1031—S; 1038— S), ზოგი კი ტუჩიანია, სამყურა ბალახის ფოთლისებური მოყვანილობის პირით (№№ 973— S; 989— S; 2101). ერთი მილი წითლად შეღებილია (№ 1038 — S). წითლად ყოფილა შეღებილი აგრეთვე თიხქმის მთლიანად აღდგენილი მილიანი ხელადა S ნასოფლარიდან (№ 1239$_2$— S).

ქ ი ლ ე ბ ი. დიდი რაოდენობაა ისეთივე წაგრძელებულ ტანიანი, სიგარისებური ჭილებისა, როგორიც III ჰორიზონტში გვხვდებოდა. (№№ 1033—S; 1083— S; 990— S; 1017— S; 1239$_1$— S; 1098$_2$— S; 1388; 1734; 1736). ერთ ასეთ ჭილას (№ 1735), როგორც ჩანს, მხრებზე ორი რკალური ყური ჰქონია (ერთიღაა შემორჩენილი). S ნასოფლარის კულტურულ ფენაში ნაპოვნი ორი ასეთივე ყური (№ 1012— S) ამგვარი ჭილისა უნდა იყოს. აღსანიშნავია დიდი ასეთი ჭურჭლის ბრტყელი ძირები ცენტრში გახვრეტილი, ყვავილების ქოთნების მსგავსად (№ 1081— S).

ქ ვ ა ბ ქ ო თ ნ ე ბ ი ს ფრაგმენტები თითო-ოროლაა. ერთის, წითლად გამოწვარის მხარი შემკულია დაბალი და წვრილი, კონცენტრული წიბოების სარტყლით (№ 1202— S). მეორე, წაბლისფრად გამომწვარი ჩვეულებრივი ქვაბქოთნის ფრაგმენტია „ფრჩხილის“ ორნამენტით (№ 1016— S). წაბლისფრად გამომწვარია აგრეთვე სადა პატარა ქვაბქოთნის ფრაგმენტი ზურგდაღარული ყურით (№ 1036— S). სხვა ჭურჭლეულიდან აღსანიშნავია:

№ 173. ღია წაბლისფრად გამომწვარი ღრუ ფერხედი თასის ძირის ნატეხი შემკული ჭდეული ბადით. როგორც ჩანს, თასს სახელური ჰქონია, რომლის დასამაგრებელი ღრუც შერჩენილია ნატეხზე.

№ 1492 შავად გამომწვარი ღია წაბლისფერზედაპირიანი ცილინდრული თასის ტანის ნატეხი შემკული რომბულად დაშტრიხული სამკუთხედებით.

№ 1200— S ძირწვეტიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი.

ჯ ა მ-ლ ა ნ გ რ ე ბ ი. წაბლისფრად გამომწვარი ჯამები კიდევ ატარებენ არქაულობის მანიშნებელ ელემენტებს. ერთის ქიმი შემკულია „სავარცხლის ტალღით“ (№ 1352), ხოლო მეორეს, ამას გარდა ბაკოზე რელიეფურ-გრეხილი „სალტე“ ამკობს (№ 1451). ეს ფრაგმენტი აშკარად გადამწვარია (შეკოწიწებული ნატეხები სხვადასხვა ფერისაა) და თავის დროზე შესაძლებელია ლეგაპრიალა ყოფილიყო. რაც შეეხება ბაკოს რელიეფური გრეხილით შემკობის წესს, ეს, როგორც ვიცით არქაულობის მაუწყებელია და თუკი ამ ნატეხის სტრატიგრაფიული მდებარეობა შეესატყვისება მის ხნოვანებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჯამების შემკობის ძველად გავრცელებული ხერხის ტრადიციულ გამოძახილთან გვაქვს საქმე.

ერთი ლეგად გამოწვარი, წითელზედაპირიანი, თხელკეციანი ჯამის პატარა ფრაგმენტი უჩვეულო შემკულობას ატარებს: ქიმის ძირში ფსკერზე ბურცობია, რომელსაც ბეორე მხრიდან შეღრმავება შეესატყვისება (№ 2188). შესაძლებელია ეს ლითონის გავლენა იყოს. ამას გარდა ფსკერი, როგორც ჩანს, პრიალა ხაზების რომბული ბადით ყოფილა შემკული. ასეთი ორნამენტიც წითლად გამომწვარი ჯამებისათვის უცხოა. საფიქრებელია, რომ ჯამი, რომელსაც ეს ფრაგმენტი მიეკუთვნება, თავდაპირველად ლეგა ფერის ყოფილიყო, რასაც გამოწვისა და თვით ორნამენტის გარდა, ისიც უნდა მიუთითებდეს, რომ პრიალა ხაზებს ლეგა ფერი აქვთ შერჩენილი ფსკერის წითელ ფონზე.

რაც შეეხება საკუთრივ წითლად გამომწვარ ჯამ-ლანგრებს, ისინი არსებითად არ განირჩევიან ხოვლე III-ის ამგვარ ჭურჭელში. საკმაო რაოდენობით გვხვდება წითელწერნაქიანი ცალები (№№ $1006_4$— S; 907— S; $987_4$— S; 410— S და სხვ.). ერთ-ერთ ასეთ, მთლიანად აღდგენილ ჯამს ფსკერზე შიგნიდან დამახასიათებელი ბურცობი აქვს ცენტრში (№ 912).

მაინც არის თითო-ოროლა ფორმა, რომელიც თითქოს ამ ჰორიზონტისთვისაა დამახასიათებელი. ჯერ ერთი, ქუსლიანი ჯამის ფრაგმენტები (№ 213) აღმოჩენილი ნასოფლარის კულტურულ ფენაში, რომლის ანალოგია ამავე ნასოფლარის № 3 ნაგებობიდან გვაქვს (№№ 524— S; 535— S). თუმცა რამდენადაც ჩვენ, ფაქტიურად, ჯამების პირის ფრაგმენტებთან გვაქვს მხოლოდ საქმე, ამიტომ ეს გარემოება მაინც საეჭვო რჩება.

შ ე ნ დ ე გ, შესაძლებელია ღრმა ჯამის ფრაგ ე ნტი იყოს (№ 923— S) დაწახნაგებული გვერდით და თევზიფხური ორნამენტით შემკული ფრაგმენტი ნასოფლარის № 5 ნაგებობიდან. მეორე (№ — 411 — S — კულტურული ფენიდანაა. ორივე ფრაგმენტი წითელწერნაქიანია. უჩვეულო

აგრეთვე ღია წაბლისფრად გამომწვარი ფრაგმენტი პირშეზნექილი ღრმა ჯამისა დიდი, გადმოსასხმელი „ნისკარტით“ (№ 962— S).

№ 1305— S. უნდა წარმოადგენდეს თაღარის ფრაგმენტს.

№ 900— S. რაღაც ჭურჭლის (ამფორის?) ძირის ფრაგმენტია, მასიური და ცილინდრული, წითლად გამომწვარი, გაპრიალებული.

№ 1388$_1$ მათარა, წითლად შეღებილი. მისი აღდგენა ნაწილობრივ მოხერხდა.

## ლითონის ნაკეთობა

### ბრინჯაო

### (ტაბ. LXI—LXII)

### „სკვითური“ ისრისპირები

სტრატიგრაფიულად კარგად არის ფიქსირებული შემდეგი ცალები:

№ 1172. სამფრთიანი საკმაოდ დაჟანგული.

№ 1427. სამფრთიანი პატარა ისრისპირი, მასრით დეზზე.

№ 2271. დიდი სამკუთხა ფორმის, სამფრთიანი წაგრძელებული ისრისპირი, შემკული შუა წელზე რელიეფური ხაზებით ფრთებს შორის.

№ 2298. სამწახნაგა, მოკლემასრიანი.

№ 2350. №. 2298-ის მსგავსი, პატარა ამოღრუებით ერთ-ერთ წახნაგზე, წვერთან.

№ 1321. სამწახნაგა ისრისპირი, რომლის ერთი წიბო ნესტარისებურად არის წაწვეტებული ქვემოთკენ (ახლა წატეხილია).

II ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდნენ შემდეგი ისრისპირები, რამდენადაც ისინი აღმოჩენილია იმ ფენაში, რომელიც უშუალოდ ზემოდან ეფარა ბორცვის გარშემომსაზღვრელი ფილაქნების მოპირკეთებას. ეს მოპირკეთება გაკეთებული იყო, როგორც ჩანს, ხოვლე III-ის პერიოდში, მაგრამ სხვა ამ ჰორიზონტის ნაგებობებთან ერთად ხოვლე II-ის პერიოდშიც განაგრძნობდა ფუნქციონირებას:

№ 802. არქაული ტიპის სამფრთიანი ისრისპირი. დიდი ზომის, ლამაზი, წარზიდული ფორმისა. აგრეთვე: №№ 773; 776; 777; 778; 799; 803; 1252. დაბოლოს, ამავე კომპლექსში უნდა განვიხილოთ სტრატიგრაფიულად ცუდად განსაზღვრული ცალებიც: №№ 710; 820; 1078; 1098; 1250; 1256.

### სამკაული

№ 2204$_1$. ბრინჯაოს კონუსისებური საკინძი, გახვრეტილი ბოლო ჩამოტეხილია.

№ 515. მრგვალგანივკვეთიანი საკინძის ნატეხი მასიური კუბიკური თავით. აღმოჩენის ადგილის მიხედვით იგი II ან შეიძლება III ჰორიზონტის კუთვნილიც იყოს.

№ 1299— S ბრტყელი, ოთხკუთხა განივკვეთიანი სამაჯურის (?) ფრაგმენტი.

№ 1243— S. წვრილი მავთულის ბეჭდის ფრაგმენტი.

№ 1039— S. მავთულის ხვია.

№ 1866. ბრტყელი თავგახსნილი პატარა რგოლი (ბეჭედი?).

დაბოლოს, № $1352_3$ კარგად ნახელავი პატარა ქანდაკება ქალისა, დამჯდარ პოზაში. სახის ნაკვთები და სხეულის სხვა დეტალები არ უჩანს — შესაძლებელია დაჟანგვის გამო. ქალს მარჯვენა ხელი მკერდზე აქვს მიდებული, მარცხენა კი — მუცელს ქვემოთ. ეს არის სპეციფიკური პოზა ე. წ. „უბიწო ვენუსისა“. ქანდაკება მრგვალგანივკვეთიან ღეროზე დგას, რომელიც ბოლოში ოდნავ მოხრილია წინისკენ.

### რკინა

№ 1040— S. მოხრილი დანისპირის ფრაგმენტი.

№ 1323. ასეთივე უფრო ვიწრო დანაპირის ფრაგმენტი. აღმოჩენის ადგილის მიხედვით, იგი შეიძლება III ჰორიზონტსაც მიეკუთვნოს.

### ოქრო

№ 1096. ერთადერთი ოქროს ნივთი ხოვლედან ამ ჰორიზონტში იქნა აღმოჩენილი ბორცვის სამხრეთი ფერდის ე. წ. „ჭილოფიან ოთახში“, იატაკზე. წარმოადგენს მინიატურულ, ფირფიტოვან-ღილაკისებურ საგანს, რომელსაც ცენტრში გახვრეტილი კონუსური შემაღლება აქვს, როგორც ჩანს, დასამაგრებლად. ღილაკის კიდე და კონუსის ძირი შემკულია ფილიგრანული გავარსით. მათ შორის ასეთივე ტექნიკით ჩაწერილია ქართული ი-ნის მაგვარი ოთხი რკალი. მეორე მხარე სადაა (ტაბ. LXII).

### ქვის ნაკეთობა

№ $1352_1$. ნაცრისფერი ქანის ქვიშაქვის (?) ცილინდრული ჭიქის (?) ზედა ნაწილის ფრაგმენტი. ერთადერთი ცალი ხოვლეში. მშვენივრად გამოთლილი. ბრტყელი მარტივი ბაკო და ტანის გარეპირი კარგადაა გაპრიალებული. აღმოჩენილია ბორცვის ჩრდ. ფერდზე № 3 ოთახში (ტაბ. LVIII).

№ 644— S. ფალოსის ფორმის საგანი. შესაძლოა სანაყი ან სახეხი იყოს, თუმცა ხმარების კვალი არ ეტყობა (ტაბ. LXI).

№ 1306— S. სასრესი (?), თითქოს ზოომორფული თავით. ასეთი ფორმა, ეტყობა, ხელოვნურადაა აქვს მოცემული. ძირი ოვალურია და ეტყობა ნამუშევრობის კვალი.

№ 984— S. სალესი ქვა. შავი ფერისა, ოთხკუთხა განივკვეთის, წაგრძელებული, შესანიშნავად გათლილი. წიბოები და კუთხეები საგანგებოდ დაბლაგვებულია. ერთ ბოლოში ორმხრივ ძაბრისებურად გახვრეტილი (ტაბ. LXI). ამას გარდა აღმოჩენილია ხელსაფქვავის ქვები, სანაყები და სახეხები.

### ძვლის ნაკეთობა

(ტაბ. LXIII)

№ 54 ოთხკუთხა ფირფიტოვანი საბეჭდავი ჩამოსაკიდი მარყუჟით. აღმოჩენის ვითარების მიხედვით შესაძლებელია III ჰორიზონტის კუთვნილიც იყოს.

№ 1318. თავგახვრეტილი სადგისი.

№ 1— S. ცხოველის ხერხემლის მალისაგან გამოთლილი ნივთი ორი გამჭოლი ნახვრეტით, ალბათ, თასმების გასაყრელად. აღმოჩნდა ნასოფლარის კორდოვან ფენაში და შესაძლებელია ამ ჰორიზონტს ეკუთვნოდეს (ტაბ. LXI).

მძივები

№№ 700— S სარდიონის სფერული მძივი (ტაბ. LXI).

№ 1353. ცისფერი პასტის კასრისებური მძივი. ზედაპირი დაშტრიხული აქვს განივად და სიგრძივ.

## თავი VIII

## ჰორიზონტი ხოვლე I

ეს ჰორიზონტი, რომელიც აშკარად გამოიყოფოდა (მშენებლობის თვალსაზრისით) მხოლოდ ბორცვის თხემზე და ფერდობის SW ნაწილში, მეტად ფრაგმენტულად და უსახურადაა წარმოდგენილი. ამასთან ერთად იგი, როგორც ზედა ფენა, რომელიც ფარავდა ბორცვს, ყველაზე უფრო დაზიანებულია და ამდენად არქეოლოგიური მასალის სტრატიგრაფიისათვის არა საიმედო და სახიფათო. მართლაც, ამ ფენაში ჩვენ ქვედა ჰორიზონტებისთვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად, რომელიც თითქოს მიგვითითებს მის გენეტიკურ კავშირზე წინა პერიოდთან, გვხვდება ადრეფეოდალური ხანისა და განვითარებული შუა საუკუნეების მასალაც, მოჭიქული კერამიკის სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ის ხანა, რომელიც ქრონოლოგიურად უშუალოდ მოსდევს ხოვლე II პერიოდს მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, აღმ. საქართველოში მაინც, ჯერ თითქმის შეუცნობელია და შეიძლება ითქვას არქეოლოგიურ ლაკუნას წარმოადგენს*. ეს გარემოება, თავის მხრივ, აძნელებს ამ ჰორიზონტში მოპოვებული კერამიკული მასალის ზოგიერთი ნიმუშის ზუსტ ქრონოლოგიურ იდენტიფიკაციას, მით უმეტეს, რომ, შესაბამისად თვით ფენის დაცულობისა, ეს მასალაც საკმაოდ ფრაგმენტულია.

თიხის ნაკეთობა

კერამიკა

(ტაბ. LIX)

ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჰორიზონტში შავად და ლეგად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტები სულ თითო-ოროლა ცალიღა გვხვდება. ერთი წაბლისფრად გამომწვარი სქელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტი ხოვლესთვის უჩვეულო მანერით შესრულებულ ჭდეულ ორნამენტს ატარებს (№ 636). მეორე ცალზე დაწნევით დატანილი ჩვეული ორნამენტია (№ 670).

აღსანიშნავია დაწმენდილი თიხისაგან ღია ნაცრისფრად გამომწვარი, ღია წაბლისფერზედაპირიანი დიდი და ღრმა ჯამის ფრაგმენტი გადმოსასხმე-

* ამჟამად, ბოლო წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ამის თქმა აღარ შეიძლება, თუმცა IV—III სს-ის ახლად გამოვლენილი წითლად მოხატული კერამიკის დაკავშირება ხოვლურთან მაინც ჭირს.

ლი ტუჩით (№ 1438). მეორე ასეთივე უფრო დიდ ჭურჭელს (გობი?) ბრტყელ ბაკოზე დაძერწილი აქვს მსხვილი „მეჯეჯი“ (№ 311). ორივე ჭურჭელი სრულიად უჩვეულო ჩანს ხოვლესთვის.

დიდი უმრავლესობა ამ ჰორიზონტიდან მოპოვებული ჭურჭლისა წითლადაა გამომწვარი:

№ 1980. წმინდა თიხისაგან გამომწვარი პატარა ბრტყელძირიანი ს უ რ ა (?), რომლის ფორმა, ყელის გარდა, მთლიანად აღდგა. ყელის ძირში ორი თხელი ღარი შემოუყვება. ჭურჭელი, ძირის გარდა, მთლიანად შეღებილია თხლად დადებული წითელი საღებავით, რომლის ქვეშ აქა-იქ ზოლებად ჩანს თვით კეცის ფერი.

№ 565. ასეთივე ფაქტურის პატარა თხელკეციანი კ ო ჭ ო ბ ი. ჭურჭელს სფერული მუცელი ჰქონია (ძირი აკლია), მაღალი, ცილინდრული ყელი ოდნავ გამოყოფილი სწორპირიანი ბაკოთი. ბაკოს ქვეშ ორი თხელი რელიეფური წიბო შემოუყვება, ყელს ძირში — თხელი რელიეფური სარტყელი. საღებავი აქაც თხლადაა დადებული. თვით ჭურჭელი ჩარხზეა დამზადებული, კარგი ნახელავია.

№ 1981. მსგავსი ფაქტურის პატარა თხელკეციანი კ ო ჭ ო ბ ი ს ფრაგმენტები, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. მაღალი ყელი ოდნავ იშლება ძაბრისებურად. ბაკო აქაც გამოყოფილია და სწორპირიანი. მის ქვეშ — თხელი ღარი. ასეთივე ღარია ყელის ძირში. ჭურჭლის პირი ტუჩიანია — სამყურა ბალახის ფოთლისებური. ძირი შეუღებავია. ესეც ჩარხზეა დამზადებული და კარგი ნახელავია. ასეთივე მინიატურული სფერულმუცლიანი ჭურჭლების ფრაგმენტები ნაპოვნია იქვე (№№ 1982; 1984; 1990; 566— სამი ფრაგმენტია).

№ 1979. ორყურა, პატარა, ტუჩიანი ქ ი ლ ა. მოყვითალოდ გამომწვარი. გარედან უდებად შეღებილი წითლად: საღებავი გამქრქალებულია და ნაწილობრივ გადასული. მაღალი ბაკოს ქვეშ თხელი, განიერი ღარი შემოსდევს. ბაკოდან გამოსული ყურების ბოლოები ისრისებურია (ერთი ნაწილობრივ ჩამოტეხილია). ძირი ბრტყელია და შეუღებავი. თიხა დაწმენდილია. ჩარხზეა დამზადებული. კარგი ნახელავია.

№ 565$_1$ S — ფორმისებური ზუსტად ასევე ბოლოშეისრული და წითლად შეღებილი ყურის ნატეხი.

№ 1983. ვიწრო და მაღალყელიანი ჭურჭლის, როგორც ჩანს, ასეთივე ყურის ფრაგმენტია ჭურჭლის პირის ნაწილითურთ (ბაკო მოტეხილია). მოყვითალოდ გამომწვარი, შეუღებავი.

№ 1985. ასეთივე ფაქტურის, წითლად შეღებილი თხელკეციანი ჭურჭლის (სურის?) ყელის ნატეხი. პირი გადაშლილია (ბაკო ჩამოტეხილია), ზედ ორი წვრილი მკვეთრი ღარით შემოვლებული. შუაში, შიგნიდან ღრუ, რელიეფური წიბო შემოსდევს. საღებავი აქაც მქრქალია, აქა-იქ აცლილი. წიბო ერთ მხარეს ამოტეხილია, შესაძლებელია ყურის მიმაგრების ადგილზე, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით. ყელის ზედა ნახევარი შემკულია უდებად დატანილი პრიალა ტეხილი ხაზებით. ქვედა — ასეთივე, ვერტიკალური, ახლოს მიჯრილი შტრიხებით. ჭურჭელი კარგი ნახელავი უნდა ყოფილიყო.

№ 1990$_1$. ასეთივე ფაქტურის პატარა მილიანი „ს ა რ ძ ე ვ ე ს“ ნატეხი. მილის პირი ჩამოტეხილია. ძირში ოდნავ განიერდება. მილის ძირს გარეშემო ისეთივე პრიალა ტეხილი შემოუყვება, როგორც № 1985.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოაღწერილი ჭურჭელი თუ ფრაგმენტი, რომელთა დამზადების ტექნიკა სრულიად იდენტურია, ერთ უბანზეა აღმოჩენილი, შეიძლება ითქვას ერთ ადგილას. კერძოდ, ბორცვის თხემის $C_2$—$C_5$, $B_4$ და $D_5$ კვადრატებში 0,2—0,7 მ-ის სიმაღლის ფენაში. თვალში საცემია ისიც, რომ საღებავის დატანის ხერხით აშკარად განსხვავდება ხოვლე II და ხოვლე III ჭურჭლისაგან. უფრო სწორად, აქ საღებავი, როგორც ჩანს, უფრო თხელია და თან საკმაოდ უდებად დატანილი ისე, რომ ნაწილობრივ ამის გამო, ნაწილობრივ კი საღებავის გამქრქალების გამო, ჭურჭლის კეცი ბევრგან გაშიშვლებულია. ხოვლე II—III-ის შეღებილი ჭურჭელი ყოველთვის მთლიანად, საღებავის უფრო სქელი ფენითაა შეღებილი და ალბათ თვით საღებავის შემადგენლობის გამოც, იგი დროთა ვითარებაში არ გამქრქალებულა და გადასულა.

დამზადების ტექნიკის მხრივ ამავე ჭურჭლეულის რიგს უნდა მიეკუთვნოს კიდევ ორი ფრაგმენტი. ერთი (№ 842) წარმოადგენს, რომელიღაც ჭურჭლის ქუსლს. ჭურჭლის კორპუსი გარედან, როგორც ნაშთის მიხედვით ჩანს, შეღებილი ყოფილა წითლად. თვით ქუსლი შეუღებავია და მკვეთრად არის დიფერენცირებული. ბაკოზე (ქვემოდან) ორი ღრმა ნაჭდევი აქვს. ხოვლეში სხვა მსაგვსი ფრაგმენტი არ შეგვხვედრია. საეჭვოა, რომ იგი ჯამის ძირის ნატეხს წარმოადგენდეს, რადგან შიგნიდან ფსკერი, არამცთუ შეღებილი, მოპრიალებულიც კი არ არის.

მეორე — ჯამის, ან უკეთ თეფშის ფრაგმენტია, ამ ჯურის ჭურჭლისთვის, ისევე როგორც ზემონახსენები ქუსლის ნატეხი, საკმაოდ სქელკეციანი. ბაკო ბრტყელია და განიერი, რაც ხოვლესთვის აგრეთვე სრულიად უჩვეულო ფორმაა. თეფშის ფსკერი ბაკოს ზედა და შიდაპირიანად წითელი წერნაქითაა შეღებილი. ჭურჭელი შუა ღირსების ნახელავი უნდა ყოფილიყო (№ 529). ამავე ჰორიზონტს მიეკუთვნება წითლად გამომწვარი, პროფილირებული, ბრტყელძირიანი ჯამის ფრაგმენტი, შიგნიდან ფსკერზე მცირე ბურცობით (№ 1450). ასეთი პროფილირებული ჯამები, როგორც ვიცით, დამახასიათებელია ხოვლე II და III ჰორიზონტებისათვის.

დაბოლოს, აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხოვლესთვის უნიკალური საგნის, კერამიკული ძაბრის ფრაგმენტი (№ 1431). ძაბრი წვრილკენჭნარევი თიხისგან ყოფილა დამზადებული და წითლად გამომწვარი. ბოლო (მილისა) ჩამოტეხილია. გადაშლილი თავის პირი (ბაკო) ოდნავ, მაგრამ მკვეთრად გადაკეცილია შიგნითკენ. ძაბრი, როგორც ჩანს, ხელით, უჩარხოდაა გამოძერწილი. გარედან მოგლუვებულია მთლიანად, შიგნიდან კი — მხოლოდ ზედა, ფართო ნაწილი.

## ლითონის ნაკეთობა

### ბრინჯაო

(ტაბ. LXI—LXII)

№ 863. საკინძი, სქელი გადმობრუნებული კონუსისებური თავით. წვერი მოტეხილი აქვს.

№ 526. გაურკვეველი, მასიური ჩქიფისებური საგნის ფრაგმენტი.

№ 527. წრიული ფირფიტის ფრაგმენტი, ერთ სიბრტყეზე, ცენტრში და კიდეზე, დაკვერვით მიმაგრებული ბრინჯაოსავე „მეჰეჰებით“.

# თავი IX

## ჰორიზონტი ხოვლე I—III

### (ტაბ. LX)

ქვემოჩამოთვლილი კერამიკული ფრაგმენტების ზუსტი სტრატიგრაფიული განლაგება საეჭვოა და ამიტომ ჩვენ მათ ზოგადად I—III ჰორიზონტების კუთვნილად ვთვლით. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხოვლეგორის ზედაფენების, ხშირი გადათხრის შედეგად, დარღვევის გამო, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია აქ უფრო ძველი ხანის მასალაც აღმოჩნდეს.

კერძოდ ასეთად მიგვაჩნია ჩვენ რუხად გამომწვარი შავპრიალა დოქის (?) პირის ფრაგმენტი (№13) იმ ტიპის, როგორიც ჩვენ არა ერთხელ შეგვხვედრია ქვედა ჰორიზონტებში. მასთან ერთად აღმოჩნდა შავპრიალა ფრაგმენტი შემკული ქვედა ჰორიზონტებისათვის დამახასიათებელი ირიბწერტილოვანი შტრიხების სარტყლით (№ $13_1$). თითქოს ასევე უფრო ძველი ჰორიზონტების კუთვნილი უნდა იყოს რუხად გამომწვარი, წაბლისფერზედაპირიანი ჭოთნის (?) პირის ფრაგმენტი ბაკოზე ორმაგი რელიეფური „გრეხილით“ (№ 623), რომლის ანალოგები ბევრია ქვედა ჰორიზონტებიდან; აგრეთვე ორი ყურის ფრაგმენტი: № 738, შავად გამომწვარი, თავზე რელიეფური ჯვრისებური დანაძერწით (შდრ. VIII ჰორიზონტის მსგავსად შემკულ ყურს, თუმცა ეს უკანასკნელი აშკარად უკეთესი ნახელავია, მოყვანილობითაც სხვაგვარია და ამავე დროს თავთან წიბო გასდევს) და № 465, შავი ქვაბჭოთნის (?) „გრეხილზურგიანი“ ყური, VII და V ჰორიზონტებიდან ცნობილი ყურების მსგავსად შემკული თავით („ცხვრის თავის იმიტაცია“).

ამავე რიგისად მიგვაჩნია წაბლისფრად გამომწვარი პირმოყრილი ჭოთნის (?) კიბისებური, განიერი ბაკოს ფრაგმენტი (№ $96_1$); ლეგად გამომწვარი, ლეგამოწითალოზედაპირიანი ქვაბჭოთნის (?) ფრაგმენტი, განიერ ბაკოზე ორი კონცენტრული ღარით (№ $19_1$); შავპრიალა (№ 141) და ლეგა (№ 447) სწორჭიმიანი ჯამების ფრაგმენტები, რომელთაგან პირველი, შემკული „სავარცხლით“ დატანილი ლაზათიანი ტალღური სარტყლით, შესანიშნავი ნახელავი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორეს, ასევე შემკულს, დამატებით ბაკოზე რელიეფური „გრეხილი“ სარტყელი შემოსდევს.

ძველ ფენებში (V ჰორიზონტი) პოულობს ანალოგიას აგრეთვე ერთი წაბლისფრად გაპრიალებული ფრაგმენტი (№ 19) შემკული თხელი კონცენტრული ღარებით და ორმაგკედლიანი ჭდეული სამკუთხედებით.

დანარჩენი ფრაგმენტების მიკუთვნება I—III ჰორიზონტებისადმი სავსებით შესაძლებელია: № 957. დოქის პირის ნატეხი, წითლად გამომწვარი, მოგლესილი ზედაპირით. შერჩენილი აქვს მრგვალგანივკეთიანი ყურის ნაშთი.

№ 506. ტუჩიანი დოქის პირის ფრაგმენტი, აგურისფრად გამომწვარი, ღია წაბლისფერი, პრიალა ზედაპირით. თიხა დაწმენდილია.

№ 1023. ქილის (?) ყელის ნატეხი, წითლად გამომწვარი, პირგადაშლილი (პირს ცოტაღა უნდა აკლდეს). ყელზე დაბალი რელიეფური წიბო შემოსდევს.

№ 1143. დაბალყელიანი ქილის (?) პირი, წითლად გამომწვარი. კარგი ნახელავი, თიხა დაწმენდილია.

№ 473. ღია წაბლისფრად გამომწვარი, პრიალაზედაპირიანი ჭურჭლის მუცლის ნატეხი, შემკული დაღარული ორნამენტით: მხარზე — სამი მკვეთრი შუასიგნის კონცენტრული ღარი. პროფილირებულ მუცელზე — თხელი ვერტიკალური მოკლე ღარები (კანელჟურები).

№ 42. წაბლისფრად გამომწვარი დიდი ჭურჭლის მხარის ფრაგმენტი რელიეფური, ჰდეული სარტყლით.

№ 838. პირგადაშლილი, მაღალყელიანი კოჭობის ფრაგმენტი, ღია წაბლისფრად გამომწვარი. ხელით ნაძერწი უნდა იყოს (შდ. I ჰორიზონტის მსგავს, წითლად შეღებილ ჭურჭელს: № 1981 და სხვ.).

№ 1277. ჯამის პირის ფრაგ^ენტი. აგურისფრად გამომწვარი, ღია წაბლისფერი ზედაპირით. გაპრიალებულია: ქვედა ტანი გარედან, ბაკოს ზედაპირი და ნაწილობრივ ქიმი შიგნიდან. კარგი ნახელავია.

№ 58. თხელკეციანი ჯამის (?) ქიმის ფრაგ^ენტი, მუქ წაბლისფრად გაპრიალებული, გატოტილი ყურის ნაშთით (ორივე ბოლო ჩამოტეხილია).

№ 518. წითლად გამომწვარი ყურის ფრაგ^ენტი.

№ 736. პატარა ჭურჭლის წითლად გამომწვარი, წითლად შეღებილი და გაპრიალებული ყურის ფრაგ^ენტი, ზემოდან ორი წატეხილი შვერილით („რქებით“?).

№ 128. ბრტყელ-ოვალური ყურის ფრაგ^ენტი, წითლად გამომწვარი. თავზე შემკული რელიეფური დაჭდეული წიბოთი.

№ 1047. ორმხრივ წითლად შეღებილი ბრტყელძირიანი ჯამის ფრაგმენტი შიგნიდან ამოკაწრული სვასტიკით.

№ 1265. გაურკვეველი ჭურჭლის ორმხრივ წითლად შეღებილი და გაპრიალებული ფრაგმენტი (ჯამი?).

№ 40. ძირწვეტიანი ჭურჭლის ფრაგმენტი.

№ 772. საბერველის (?) ნატეხი. კენჭნარევი თიხისა, ლეგად გამომწვარი, გარედან წაბლისფერ-მოწითალო, შავი ლაქებით. ხელით უხეშად ნაძერწი. შიგნიდან ეტყობა თიხის რგოლების გადაბმის (?) ზოლები.

№ 741. ანთროპომორფული ფიგურის ფრაგ^ენტი (ტაბ. LXIII).

№ 517. ჩიბუხის თავისებური საგანი. კენჭნარევი თიხისა, რუხ-წაბლისფრად გამომწვარი, ბოლო ჩამოტეხილი. ხელით მდარედ ნაძერწი.

## ლითონის ნაკეთობა

### ბრინჯაო

(ტაბ. LXI—LXII)

№ 1280. მასიური ბრინჯაოს ხელადის (?) პირის ფრაგმენტი, ოდნავ შესქელებულ ბაკოზე ორი წვრილი კონცენტრული ღარით.

№ 47. მრგვალგანივკვეთიანი ღერო (საკინძი?).

№ 86. წვრილი მავთულის ანკესისებური (?) საგანი.

№ 1421. მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურის ფრაგმენტი ზოომორფული სტილიზებული თავით.

№ 1246. ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯურის ფრაგმენტი. თავი გაბრტყელებული, გაგანიერებული აქვს და შემკულია წვრილი, დაბალი რელიეფის წერტილებით.

№ 774. სადა, სქელი მავთულის სამაჯურის ფრაგმენტები.

№ 1237. ოვალურზედაპირიანი რომბისებური ღილაკის ფრაგმენტი. ზუსტად ისეთივე, როგორც V ჰორიზონტში გვაქვს (№ 5—61).

№ 801. მინიატურული, ნახევარსფერული ღილაკი.

№ 1257. გაურკვეველი საგნის ფრაგმენტი.

### რკინა

№ 763. ოთხკუთხაგანივკვეთიანი თავგასხნილი ბეჭედი.

№ 764. ღილი (?). ორი ფირფიტისაგან, რომელთაგან ზედას ვარდულის ფორმა აქვს, ქვედა წრიულია. ფირფიტები ერთმანეთზე დამაგრებული ყოფილა პატარა ღერძით, რომელიც ბოლოში მარყუჟით მთავრდება. ეს უკანასკნელი საგანი აღმოჩნდა ბორცვის ზედაპირზე 0,1 მ-ის სისქის ფენაში, ასე რომ, შესაძლებელია, არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ხოვლეგორასთან და ახალი დროისა იყოს.

### ქვის ნაკეთობა

(ტაბ. LXI—LXIII)

№ 88 საბეჭდავი-საკიდი. მონაცრისფრო ქვიშაქვისაგან; დისკოს მოყვანილობისა, კიდეზე მკვეთრი ღარით. იგი გამჭოლადაა გახვრეტილი. ორივე სიბრტყეზე ამოკვეთილია ცხოველთა ბრძოლის სიუჟეტები.

№961 საბეჭდავი-საკიდი. მოყვითალო ქვიშაქვისაგან, „სოკოსებური“ მოყვანილობისა. ამოკვეთილი გეომეტრიული გამოსახულებით პირზე და ფრინველის გამოსახულებით სახელურის ზურგზე. ორივე ამ ნივთის უფრო ზედმიწევნითი სტრატიგრაფიული განსაზღვრა ჭირს.

№ 1236. კაჟის საფხეკი, სამკუთხა, ორი პირი რეტუშირებულია.

№№ 805; 960; 1231. კაჟის ჩასართები ნამგლის (?) პირისა.

№ 1258. შავი ქვის პატარა სალესი, ერთი ბოლო გახვრეტილი ჰქონია.

### ძვლის ნაკეთობა

(ტაბ. LXII—LXIII)

№№ 818; 885; 1255. სადგისები თავგახვრეტილი.

№ 940. სადგისი, რომელიღაც ცხოველის კბილისაგან.

№ 941. ხუთქიმიანი ვარსკვლავისებური ბრტყელი საგანი (ადამიანის ფიგურა?).

№ 914. კონუსური თავწატეხილი გაურკვეველი საგანი.

№ 1870 გოფრირებული მილაკი.

### მძივები

№ 942. სარდიონის „დახეთქილი“ მძივი.

№ 986. ცისფერი მინისებური პასტის სფერული მძივი.

№ 1093. ასეთივე მძივის ფრაგმენტი.

№ 572. ცისფერი პასტის მძივის ფრაგმენტი.

# თავი X

## დათარიღება

არქეოლოგიური თვალსაზრისით ხოვლეგორის კომპლექსი შეიცავს ორ კულტურულ ფენას, რომელთაგან ერთი ხასიათდება შავი და ლეგა კერამიკული ნაწარმით, ხოლო მეორე — წითლად გამომწვარი ჭურჭლით. თავის მხრივ, ეს ფენები ძირითადი სამშენებლო პერიოდების მიხედვით დანაწევრებულია რვა სტრატიგრაფიულ ჰორიზონტად. პირველი კულტურული ფენა მოიცავს ხუთ ასეთ ჰორიზონტს (VIII—IV), მეორე — სამს (III—I). III ჰორიზონტი შეიძლება გარდამავალ პერიოდად ჩავთვალოთ, როდესაც ძველი, შავლეგა და ახალი, წითლად გამომწვარი კერამიკა გვერდიგვერდ, დაახლოებით ერთი და იგივე ინტენსივობით თანაარსებობს.

მართალია, ბორცვის გათხრის ნაწილის არც ერთ უბანზე ეს რვა სამშენებლო ჰორიზონტი თავიდან ბოლომდე ერთმანეთზე განლაგებული არ დამოწმებულა, ხოლო ზოგან (განსაკუთრებით ბორცვის თხემის კიდეებთან) ქვედა (მაგ. IV) ჰორიზონტები უშუალოდ ზედაპირზე გამოვლინდა, მაინც სამშენებლო პერიოდების ასეთი ინტენსივობა, რამაც საერთო ჯამში 5 მ-მდე სისქის კულტურული დანაშრევი მოგვცა, უნდა მიგვითითებდეს აქ სამოსახლოს არსებობის საკმაო ხანგრძლივობაზე.

მეორე მხრივ, ხოვლეს არქეოლოგიური კომპლექსის თითოეული ჰორიზონტის დათარიღებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ, რაშიც უნდა დავრწმუნებულიყავით ზემოთ, მასალის აღწერისას, ჩვენ, ფაქტიურად, ქვედა კულტურული ფენის ფარგლებში მაინც ერთგვაროვან მასალასთან გვაქვს საქმე, ხოლო თითოეული შემდგომი ჰორიზონტის კულტურა სრულიად ძალდაუტანებლივ გამომდინარეობს სტრატიგრაფიულად მის ქვეშ მდებარე ჰორიზონტის კულტურისაგან. ეს აშკარა ფაქტიური დაკვირვება ძალაში რჩება მას შემდეგაც, რაც, გარკვეული პერიოდიდან (IV ჰორიზონტის ბოლო ფაზა, III ჰორიზონტი) სრულიად სხვაგვარი კულტურული ნაკადი შეიმჩნევა, დახასიათებული სრულიად სხვა ჯურის კერამიკით, რადგან მის პარალელურად, გარკვეული დროის განმავლობაში მაინც, ძველი კულტურა შავად და ლეგად გამომწვარი ჭურჭლის სახით, განაგრძნობს არსებობას ძველივე ტრადიციების საფუძველზე.

ეს გარემოება, ცხადია, მოწმობს ადგილობრივი კულტურული განვითარების თანდათანობას და უწყვეტობას, რაც, თავის მხრივ, არ გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ რაიმე მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობა რომელიმე ორ, სტრატიგრაფიულად მომიჯნავე ჰორიზონტს შორის. ამას მოწმობს თვით ნაგებობათა ფაქტიური სტრატიგრაფიაც.

ამგვარად, მთელი ის კულტურული დანაშრევი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვდა ხოვლეგორაზე არის შედეგი ერთი სამოსახლოს ცხოვრების ორგანული განვითარებისა, რომელმაც განიცადა ასეთ შემთხვევაში ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, შინაგანი კატასტროფები (ნაწილობრივი თუ მთლიანი ხანძარი) და არ გადაურჩა აგრეთვე გარეგანი ფაქტორების ზეგავლენასაც (იხ. ქვემოთ).

ხოვლეს არქეოლოგიური ნამოსახლარის ისევე, როგორც ყოველი ამგვარი ძეგლის, წამყვან მასალას კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს (რა თქმა

უნდა ჭვის ხანის ნამოსახლართა გამოკლებით). ამდენად, კულტურული ფენების თითოეული ჰორიზონტის დათარიღებისათვის ჩვენ, სტრატიგრაფიული მონაცემების გარდა, ხშირად მხოლოდ ამ ხასიათის მასალის ამარა ვრჩებით. ეს კი თავისთავად ართულებს საქმეს, რადგან გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კერამიკა, რომლის ფარგლებშიც თავისი ტექნიკურ-კერამიკული თვისებებითა და ორნამენტაციით, ყოველ ეჭვს გარეშე, თავსდება ხოვლური ნაწარმი (შავად და ლეგად გამომწვარი ჭურჭლეული), ჩვენში, ჯერჯერობით, სრულიად შეუსწავლელია ქრონოლოგიური კლასიფიკაციის თვალსაზრისით*. მდგომარეობა კიდევ იმით რთულდება, რომ, როგორც ეს ყველა ნამოსახლარისთვის ჩვეულებრივია, ხოვლეშიც (დიდ ნაწილში) ჩვენ საქმე გვაქვს ჭურჭლეულის არა სრულ ფორმებთან, არამედ მხოლოდ ფრაგმენტებთან. რაც შეეხება ხოვლეგორის ნამოსახლარის სამაროვანს, იქ გათხრილი სამარხების რაოდენობა სრულიადაც არ არის საკმარისი ამ მიზნისათვის.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევეცდებით ჭურჭლის ზოგიერთი დეტალისა თუ მისი ორნამენტაციის საშუალებით (და, ცხადია, სხვა სათანადო მასალის გამოყენებითაც) ჩვენი ნამოსახლარის ცალკეული კულტურული ჰორიზონტების მიახლოებით ქრონოლოგიურ განსაზღვრას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხოვლეგორის განათხარი მასალა მთლიანად აღებული თავსდება დაახლოებით გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის პერიოდში. კერძოდ, ჯერჯერობით გამოვლენილი უძველესი, VIII ჰორიზონტი უნდა მიეკუთვნოს იმ პერიოდს, რომელიც ჩვენში ცნობილია, როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპი. ამაზე მიუთითებს ფრაგმენტული კერამიკული მასალა ამ ჰორიზონტიდან. კერძოდ, პირველ რიგში ყუადღებას მივაქცევთ ერთ ლეგად გამომწვარი ქოთნის ფრაგმენტებს, რომლებიც VIII ჰორიზონტის სანაგვე ორმოში იყო ჩაყრილი (№ 303—61, იხ. ტაბ. I.). ამგვარი ქოთნები, რომელთა მთელი კორპუსი და ძირი დასერილია სპირალურ-კონცენტრული ღაროვანი სარტყლებით, ხოლო ძირის კიდე და მხრები დამატებით — „ფრჩხილისებური“ ჭდეული ორნამენტის სარტყლით, დამახასიათებელია სამთავროს უძველესი ორმოსამარხებისათვის[1]. შემდეგ, ამავე ხანაზე უნდა მიუთითებდეს კიდევ ერთი ფრაგმენტი აღმოჩენილი იქვე. ეს არის შავპრიალა ქოთნის ნატეხი, რომლის მხარი, როგორც ჩანს, განიერი კონცენტრული ღარებით ყოფილა შემკული (№ 309$_1$—61, იხ. ტაბ. III). თუკი ჩვენი ვარაუდი ამ ნატეხის მიხედვით სწორია, მაშინ ეს ჭურჭელიც ანალოგიური უნდა იყოს იმ ქოთნებისა, რომლებიც აგრეთვე სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში იქნა აღმოჩენილი[2].

კიდევ უფრო ნიშანდობლივია დიდი შავპრიალა, როგორც ჩანს, ელიფსურმუცლიანი პირმოყრილი ქოთნის ყური (№ 270—61 იხ. ტაბ. III). უფრო სწორად, აქ საყურადღებოა მაღალი, სამკუთხა თუ ტრაპეციული განივკვეთის წიბო, რომლითაც ყურის თავი მიერთებული ყოფილა ჭურჭლის მხართან. ისგან მო-

---

* ამჟამად კ. ფიცხელაურის ზემოხსენებული მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ, ეს ხარვეზი რამდენადმე შევსებულია.

[1] მაგ., სამარხები №№ 12, 13, 64, 170, 171, 261, 267 და სხვ. ამ სამარხთა აღწერილობა იხ. ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1957; იქვე, ტაბ. XV, მოცემულია ერთი ასეთი ქოთნის (№ 5607) ჩანახატი. ამგვარი ჭურჭლის გავრცელების შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1956, გვ. 41—45 (ხელნაწერი).

[2] იხ. ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV, № 5003.

ვლენას ვხვდებით თრიალეთში, ბეშთაშენის ძველი სამაროვნის № 8 სამარხის ერთ, აგრეთვე ელიფსურმუცლიან ჭოთანზე, რომელსაც სამწუხაროდ ყურები ჩამოტეხილი აქვს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო წიბოები კი შერჩენილია და სრულ მსგავსებას ამჟღავნებენ ხოვლურ ცალთან[3]. ასეთივე ფორმის ჭურჭელი წიბოებიანი ყურებით (სამწუხაროდ, თვით ყურები აქაც ჩამოტეხილია) აღმოჩნდა აგრეთვე სამთავროში ჩრდ. უბნის № 10 სამარხში, რომელიც იმავე პერიოდს, ე. ი. გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება. მაგრამ ეს ჭურჭელი ჩვენთვის სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ ფრიად საინტერესო ჭოთნის ზედა ნაწილი, მხრები შემკულია შუასიგანის შეეული და ირიბი ღარებით, რომლებიც ქმნიან ე. წ. პარკეტისებურ ორნამენტს[4]. ზუსტად ასეთივე ორნამენტითაა შემკული ხოვლეგორაზე აღმოჩენილი მსგავსი ფორმის ჭურჭლის ფრაგმენტები (№ 2191, იხ. ტაბ. IX), რომლებიც, სამწუხაროდ, ნაძრავ ფენაში იქნა აღმოჩენილი. მიუხედავად ამისა ხოვლური ფრაგმენტების ფორმისა და ორნამენტის იდენტურობა სამთავრულთან და თვით ამ ჭურჭლის სპეციფიკურობა უნდა მოწმობდეს, რომ ხოვლური ცალი სამთავრულის თანადროული უნდა იყოს.

ამგვარად, ხოვლე VIII-ს ჭურჭლეულის ზოგიერთი ფორმა და ორნამენტაცია ახლო ნსგავსებას ამჟღავნებს სამთავროს უძველესი ორმოსამარხების მასალასთან, ხოლო ზოგიერთი დეტალი ანალოგიებს პოულობს იქვე და აგრეთვე ბეშთაშენის უძველეს სამაროვანზე. ყველაფერი ეს, ანალოგიების ფრაგმენტულობისდა მიუხედავად და მათი სპეციფიკურობის გამო უნდა მიუთითებდეს, რომ ხოვლე VIII თანადროულია სამთავროს უძველესი ორმოსამარხების პერიოდისა. ეს უკანასკნელი კი ამ ბოლო დროის კვლევის შედეგად თარიღდება ძვ. წ-ის XV—XIV სს-ით[5].

ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში უნდა მოვათავსოთ ხოვლე VII-ც. ამას გვაიძულებს VI ჰორიზონტის დათარიღება (იხ. ქვემოთ) და აგრეთვე ერთი პატარა დეტალი. კერძოდ, VII ჰორიზონტში აღმოჩნდა კვლავ ჭურჭლის ერთი ყურის ფრაგმენტი შემკული თავზე კოჭისებური დანაძერწით და სამი „მეჭეით". ყურის ზურგი დაღარულია მკვეთრი ირიბი ღარებით (№ 318$_2$—61, იხ. ტაბ. VIII). სწორედ ეს უკანასკნელი დეტალი — ზურგის შემკობა მკვეთრი ირიბი ღარებით[6] — გვხვდება სამთავროს № 26 და აგრეთვე № 294 ორმოსამარხების დოქებზე[7]. ეს გარემოება შესაძლებელია მიუთითებდეს მათს თანადროულობაზე.

ხოვლეგორის VI ჰორიზონტის დათარიღებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ხანძრის გამო აქედან ჭურჭლის ფორმების საკმაო რაოდენობა აღდგა, ჩვენ მაინც სხვა რიგის ფაქტები უფრო გამოგვადგება. ჯერ ერთი, როგორც ვიცით, ამ დონეზე აღმოჩნდა ბრინჯაოს მოკლე ოთხკუთხა განივკვეთიანი თავხვია საკინძი (№ 262—61, იხ. ტაბ. LXI) თავხვია საკინძები დამახსიათებელია სამთავროს

---

[3] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, таб. LI, ქვედა რიგში მარცხნივ.

[4] ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 33, სურ. 9.

[5] იქვე, გვ. 97—103.

[6] ჩვენ ხაზს ვუსვამთ დაღარვის სიმკვეთრეს, რადგან უფრო თხელი ღარებით, ასე ვთქვათ, „თოკისებურად გრეხილი" ყურები, როგორც ვიცით ამ დროსაც გვხვდება და უფრო გვიანაც.

[7] ამ სამარხთა აღწერილობა იხ. ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 41 და 27.

სამაროვნისათვის[8] და აქ იგი მხოლოდ გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებში გვხვდება[9], რომელთაც, როგორც ვიცით ძვ. წ. XV—XIV სს-ით ათარიღებენ. ეს გარემოება მჭიდროდ აკავშირებს ხოვლე VI-ს მის წინა პერიოდებთან. რაც შეეხება მრგვალგანივკვეთიან თავხვია საკინძებს, რომლებიც აგრეთვე გვხვდება სამთავროს ზემოხსენებულ სამარხებში (თუმცა კი გაცილებით ნაკლები რაოდენობით) და სხვაგანაც[10], ისინი თითო-ოროლა ცალად უფრო მოგვიანო ხანის სამარხებშიც გვხვდება იქვე და სხვა ადგილებშიც[11]. კერძოდ, სამთავროში სამხრეთი უბნის № 44 სამარხში ბრინჯაოს შედგენილტარიან სატევართან და მასრაგახსნილ შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა ერთი ასეთი საკინძი. ეს სამარხი, უკანასკნელ ხანებში არქეოლოგ რ. აბრამიშვილის მიერ სამთავროს სამაროვნის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილი ქრონოლოგიური შკალის მიხედვით, ძვ. წ-ის XIII—XII სს-ით თარიღდება, უფრო კი XIII ს-ით[12].

ამავე სამარხში აღმოჩნდა ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული ცილინდრული მძივები[13] ზუსტად ისეთივე, როგორიც ჩვენ გვაქვს აგრეთვე ხოვლეგორის VI ჰორიზონტიდან (№ 243—61, იხ. ტაბ. LXI). სრულიად ანალოგიური მძივები აღმოჩნდა სამთავროს № 240 ორმოსამარხში ბრინჯაოს მთლიანადსხმულ სატევართან, მასრაშეკრულ შუბისპირთან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიური ტიპის ცულთან ერთად[14]. ეს სამარხიც ზემოხსენებული შკალის მიხედვით თარიღდება ძვ. წ.-ის XIII—XII სს-ით, უფრო კი — XII ს-ით[15]. ასეთივე მძივები აღმოჩნდა აგრეთვე თრიალეთში, ბეშთაშენის № 13 სამარხში[16], რომელიც შეიცავს ერთ-ერთ უძველეს რკინის ნივთს ამიერკავკასიაში. ამ სამარხს რ. აბრამიშვილი ძვ. წ-ის XIV—XIII სს-ის მიჯნის ახლო ხანებით ათარიღებს[17].

ყველაფერი ზემოთქმული გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ხოვლე VI პერიოდი დაახლოებით ძვ. წ-ის XIII ს-ით განვსაზღვროთ, ამაზე მცირეოდენად, შესაძლებელია კერამიკაც შეგვეწიოს.

---

[8] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 141—152.

[9] ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 89.

[10] ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, იქვე, გვ. 146—7; ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, იქვე.

[11] კერძოდ, კალაკენტის № 67 სამარხში ასეთი საკინძი გამთხრელის მოწმობით რკინის გრძელ და მოღუნულ (ე. წ. სკვითურ) დანისპირთან ერთად იქნა აღმოჩენილი, იხ. А. А. Иванов с к и й, По Закавказью, МАК, VI, М., 1911, стр. 137, табл. $IX_{11}$ и $V_8$.

[12] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI—B, 1957, გვ. 138, ტაბ. $I_{202-204}$.

ვ. ვირუბოვის მიხედვით ასეთი საკინძი რკინის შუბისპირთან ერთად აღმოჩნდა ბაიერნის მიერ გათხრილ № 565 სამარხში, იხ. Предметы древности, 1877, стр. 27. ამ სამარხის ინვენტარი აღდგენილი და გამოქვეყნებული აქვს პროფ. ბ. კუფტინს (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 71, ნახ. 75), მაგრამ აქ რკინის შუბისპირის მაგიერ ბრინჯაოს მასრაშეკრული შუბისპირია. მძივების მიხედვით ბ. კუფტინი ამ სამარხს დაახლ. VIII ს. ძვ. წ. ათარიღებს (იხ. იქვე, გვ. 57).

[13] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

[14] ი ქ ვ ე, გვ. 137, ტაბ. I, 192, 196, 200, 212.

[15] ი ქ ვ ე, გვ. 138.

[16] Б. А. К у ф т и н, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVII.

[17] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სახელ. მუზ. მოამბე, ტ. XXII-B, 1961, გვ. 317—319.

ამ ჰორიზონტიდან ჩვენ გვაქვს თიხის კასრისებური პატარა სასმისი, რომლის ფორმა მთლიანად იქნა აღდგენილი (№ 1872—61, იხ. ტაბ. XVIII, XXIII). ასეთი ფორმის სასმისი აგრეთვე უძველესი პერიოდისთვის ჩანს დამახასიათებელი, კერძოდ, მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილ იქნა ქვემო ქართლში წოფის სამაროვნის გათხრების დროს № 5 ქვისკედლებიან ორმოსამარხში, რომელსაც გამთხრელი რ. აბრამიშვილი ძვ. წ.-ის XIII—XII ს-ის პირველი ნახევრის ფარგლებში აქცევს[18].

შესაძლებელია, ერთი ორნამენტი ჭურჭელზე აგრეთვე გამოდგეს საამისოდ. ერთ-ერთ ხოვლურ ნატეხზე, რომელიც რომელიღაც დიდი ჭურჭლის მხრის ნატეხს წარმოადგენს, ამოკვეთილია ორი პარალელური ირიბწერტილოვანი შტრიხებით შექმნილი სარტყელი, რომელთა შორის „სავარცხლით“ დატანილი ტალღა გადის (№ 127—61, იხ. ტაბ. XX). მსგავსი ორნამენტაცია აქვს ბეშთაშენის სამაროვნის № 37 სამარხის მაღალყელიან და ელიფსურმუცლიან ქოთანს (ინვ. № 77), რომელიც თანმხლები მასალის მიხედვით (თავხვია საკინძი — ინვ. № 72; სარდიონის ექვსწახნაგა, ოვალური მძივი — ინვ. № 73 და სხვ.) დაახლოებით ძვ. წ-ის XIV—XII საუკუნეების ფარგლებში ექცევა[19], უფრო კი შესაძლებელია ძვ. წ.-ის XIII—XII ს-ის პირველი ნახევრის ფარგლებში[20]. ამგვარად, ხოვლე VI პერიოდი დაახლოებით ძვ. წ.-ის XIII ს-ით უნდა დავათარიღოთ.

ამითვე, ხოვლე V-თვის ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა მიახლოებით გარკვეულია. მართლაც, ზოგიერთი ფაქტი მოწმობს ამ პერიოდის კერამიკული მასალის საკმაო არქაულობას. ჯერ ერთი, V ჰორიზონტიდან გვაქვს ფერხედი ძაბრისებური ღრუ სასმისის ფრაგმენტები (№ 2335, იხ. ტაბ. XXXI, XXXV). ასეთი სასმისები საერთოდ დამახასიათებელია სამთავროს უძველესი ორმოსამარხებისათვის[21] და საერთოდ ამ პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოში. კერძოდ, საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა ამგვარი ჭურჭელი ბეშთაშენის სამაროვანზე[22], სადაც ერთ-ერთ სამარხში (№ 32), რამდენადაც ხოვლური მცირე ფრაგმენტები ამის საშუალებას იძლევა, ზედმიწევნით ანალოგიური ცალი აღმოჩნდა[23]. მსგავსი სასმისის ფრაგმენტი, რომელიც ერთ კომპლექსშია ბრინჯაოს კახური ტიპის სატევართან და მასრაგახსნილ შუბისპირთან, ცნობილია გოსტიბეს ხეობიდან[24]. კომპლექსში შემავალი ნივთების მიხედვით იგი ძვ. წ-ის XIII—XII სს-ია უნდა დათარიღდეს[25]. საერთოდ რ. აბრამიშვილის აზრით, ასეთი სასმისები დამახასიათებელია ძვ. წ. XV—XII სს-თვის[26], თუმცა მისივე ცნობით ასეთი ჭურჭელი სამთავროს № 208 ორმოსამარხშიაც აღმო-

---

[18] რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 321.

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV, 1364, 1325; Предметы древности..., с. 23 и 32, таб. $VIII_{7-8}$.

[22] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 66, ტაბ. LIII.

[23] იქვე ტაბ. $LIII_2$.

[24] S. Makalathia, Decouvertes archéologiques en Géorgie en 1930. Sonderabdruck aus Mitteilungen der Antropologischen Gesellschaft in Wien, Bd. 62, Wien, 1932; ტ. ჩუბინიშვილი, გოსტიბეს ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, საქართველოს სახელ. მუზ. მოამბე, XVI—B, გვ. 9—13.

[25] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 138, ტაბ. $I_{224}$.

[26] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 333.

ჩნდა, რომელიც ძვ. წ-ის XI ს-ით უნდა დათარიღდეს[27]. ამგვარად, ძაბრისებური ღრუ სასმისის ფრაგმენტები ხოვლე V ჰორიზონტს XII—XI ძვ. წ. სს-ზე უფრო ახალგაზრდად არ გვავარაუდებინებს. ამავე თარიღზე მიგვითითებს ბეშთაშენური სხვა ანალოგიებიც. კერძოდ, ბეშთაშენურ № 18 სამარხში, რომელიც ერთ-ერთი გვიანდელი სამარხი უნდა იყოს ამ სამაროვნისა, სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა პატარა შავპრიალა ხელადა, რომლის რკალისებურ, ბრტყელ-ოვალური განივკვეთის ყურს ზემოდან მაღალი, თავბრტყელი კოპი ადევს, რომელზედაც, დამატებით, კიდევ „მეჭეჭია“ დაძერწილი[28]. ზუსტად ასეთივე ყურის ფრაგმენტი შემოგვინახა ხოვლეგორის V ჰორიზონტმა (№ 41—61, იხ. ტაბ. XXXI, XXXV), უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ ზემოხსენებული ბეშთაშენური სამარხი უნდა თარიღდებოდეს ძვ. წ. XIII ს-ით ან XIII—XII სს-თა მიჯნით[29].

ანალოგიებს პოულობს ხოვლეს V ჰორიზონტის ზოგიერთი მონაცემი აგრეთვე ბეშთაშენის № 19 სამარხთანაც. კერძოდ, ამ სამარხში აღმოჩნდა მაღალყელიანი ქოთანი სამი „უნაგირა ყურით“ ელიფსურ მუცელზე. ყურებზე დანაჭდევებია: ორზე სამ-სამი ერთზე — ოთხი. მსგავსი „უნაგირა ყური“ ჩვენთვის ცნობილია ხოვლეგორიდანაც (№ $2337_{18}$, იხ. ტაბ. XXXI). ამას გარდა ამავე სამარხიდანაა ხოვლურის (№ 320—61, იხ. ტაბ. LXI) სრულიად ანალოგიური ძვლის ოთხწახნაგა ისრისპირი მრგვალგანივკვეთიანი ყუნწით[30]. ეს სამარხიც ერთ-ერთი გვიანდელი უნდა იყოს ბეშთაშენის სამაროვანზე. მისი ინვენტარი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს № 18 სამარხის მასალასთან (ბრინჯაოს სარტყლის უორნამენტო ფრაგმენტები, ლახტისთავი, წახნაგებიანი საკინძი)[31], რაც დროში მათ სიახლოვეს უნდა მოწმობდეს, თუმცა მაინც № 19 სამარხი ოდნავ უფრო გვიანდელი უნდა იყოს, რაზედაც თითქოს უნდა მიუთითებდეს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ აქ არ გვხვდება სარდიონის ექვსწახნაგა ოვალური მძივები (თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ ამ სამარხში საერთოდ არ არის მძივები) და შემდეგ, ირმის რქის წაწვეტებული კვერთხისთავის აქ აღმოჩენა[32], რომელიც დამახასიათებელია სამთავროში XI—X ძვ. წ. სს-ის სამარხებისათვის[33]. ამაზევე უნდა მიუთითებდეს თითქოს ძვლის ოთხწახნაგა, ყუნწიანი ისრისპირი, რომელიც სამთავროს მასალების მიხედვით ძვ. წ-ის XI ს-ზე ადრინდელ პერიოდში არ გვხვდება[34]. ამგვარად, თუ ბეშთაშენის № 18 სამარხი ძვ. წ-ის XII საუკუნეზე მიუთითებს, № 19 სამარხი ხოვლე V პერიოდს თითქოს XI ს-კენ ეწევა.

მივუბრუნდეთ სამთავროს სამაროვანს. ეს უკანასკნელიც იძლევა რამდენიმე საინტერესო დეტალს ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. ხოვლეგორის V ჰორიზონტში, როგორც ვიცით, აღმოჩნდა ერთი ჯამის ფრაგმენტი, რომელიც საკმაოდ უცნაურად არის შემკული: ქიმზე ამოკვეთილი წყვეტილი ცალფა ტალღური ხაზი, ორი გადაბმული ქართული ო-ნის სახისა (№ $2359_3$,

---

[27] რ. აბრამიშვილი, რკინის ეთვისების საკითხისათვის..., გვ. 330—332.

[28] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. $LI_3$.

[29] რ. აბრამიშვილი. დასახ. ნაშრ., 319—322.

[30] იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLV.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 135, ტაბ. I.

[34] რ. აბრამიშვილი, იქვე, ტაბ. I.

იხ. ტაბ. XXXVI). ზუსტად ასეთივე „ორნამენტი“ გვხვდება ჩვენ ლეგად გამომწვარი ლანგრის ქიმზე სამთავროს № 19 სამარხიდან. დარწმუნებით იმის თქმა, რომ აქ ჭურჭლის შემკობასთან გვაქვს საქმე, ძნელია. საეჭვოა აგრეთვე ხელოსნის ნიშანი იყოს, რადგან ასეთი რამ ამ დროის ჭურჭელზე საერთოდ, ჯერჯერობით მაინც, დადასტურებული არ არის. მაგრამ ვფიქრობთ, ასეთი დამთხვევა საინტერესო უნდა იყოს. ორმოსამარხი № 19 რ. აბრამიშვილის მიერ სამთავროს ორმოსამარხთა იმ ჯგუფშია მოქცეული, რომელიც მისივე აზრით, ძვ. წ. XI—VIII სს-ის ფარგლებში თავსდება[35], ხოლო, რადგან ამ სამარხში რკინის იარაღია მხოლოდ (ტარშეურჩენელი მახვილი[36], რკინის შუბისპირი ბრინჯაოს სალტით გახსნილ მასრაზე), ამიტომ იგი სამარხთა ამ ქრონოლოგიური ჯგუფის უფრო ახალგაზრდა ფენაში უნდა მოთავსდეს, რომელიც ძვ. წ. IX ს. და VIII ს-ის დასაწყისით თარიღდება[37]. თავის უკანასკნელ წერილში რ. აბრამიშვილი კვლავ უბრუნდება ამ ჯგუფის სამარხთა ქრონოლოგიის საკითხს. მისი აზრით, ეს პერიოდი, რომელსაც იგი რკინის ფართო ათვისების I საფეხურს უწოდებს, ოდნავ უნდა დაძველდეს, კერძოდ კი დათარიღდეს ძვ. წ. X ს-ის მეორე ნახევრითა და IX ს-ით[38].

№ 19 ორმოსამარხი ამ ქვეჯგუფში ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს და ამდენად დაახლოებით ძვ. წ-ის X ს-ის მეორე ნახევრისა თუ უფრო ძველი არა. საქმე ისაა, რომ ლითონის საგნებიდან აქ, რკინის ზემოხსენებული მახვილისა და შუბისპირის ფრაგმენტებს გარდა აღმოჩნდა მხოლოდ ბრინჯაოს წვრილი მავთულის თავგახსნილი ბეჭედი და ბრინჯაოსავე ნახევარსფერულთავიანი, თავდაბრტყელებული საკინძი. ეს უკანასკნელი სრულიად იდენტურია სამთავროსავე № 87 ორმოსამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძისა. განსხვავება მხოლოდ ზომებშია: პირველი უფრო პატარაა მეორეზე. ეს გარემოება უნდა მოწმობდეს ამ სამარხთა შედარებით ქრონოლოგიურ სიახლოვეს. № 87 სამარხი კი ინვენტარის მიხედვით (ბრინჯაოს დაბალქუდიანი მთლიანადლხმული სატევარი და სხვ.) ძვ. წ. XIII—XII სს-ით თარიღდება[39]. ამგვარად, № 19 სამარხის დათარიღება ძვ. წ. X ს-ით მაინც სავსებით რეალური ჩანს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სამარხშივეა აღმოჩენილი შავად გამომწვარი ძაბრისებური ღრუ ფერხედი სასმისი, რომელიც ზემოაღნიშნულ უძველეს ანგარ (ბეშთაშენურ და სამთავრულ) სასმისთა დერივატს უნდა წარმოადგენდეს.

მეორე დეტალი, რომელიც ანალოგიას პოულობს სამთავროში და საინტერესოა ჩვენი მიზნისათვის, არის ხოვლეგორის V ჰორიზონტში აღმოჩენილი წაბლისფერპრიალა „თიხის სიტულის“ ფრაგმენტი და მისი შემკულობა (№ $2337_5$, იხ. ტაბ. XXXI). ასეთი ფორმის ჭურჭელი, რომელსაც ბ. კუფტინი ადგილობრივ ტიპად თვლის[40], გვხვდება დმანისის ნეკროპოლში[41], თრიალეთ-

---

[35] რ. აბრამიშვილი, იქვე, გვ. 134.

[36] იქვე, გვ. 135, ტაბ. I.

[37] რ. აბრამიშვილი, იქვე, გვ. 135, ტაბ. I.

[38] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 330, 334, 365.

[39] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 137, ტაბ. I.

[40] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

[41] Г. К. Ниорадзе, Могильник «Стеклянного завода», журн. «Проблемы истории докапиталистического общества», № 3, М.-Л., 1934, с. 93, рис. 3, 4.

ში (მოჭიქული)[42] და საკმაო რაოდენობით — სამთავროში[43]. ხოვლეშიაც, თუ თითო-ოროლა ფრაგმენტის მიხედვით ვიმსჯელებთ, რამდენიმე ასეთი ტიპის ჭურჭელი დასტურდება. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ნატეხი ამ ტიპის ჭურჭლისა შემკულია, როგორც ვიცით, დაწნევით დატანილი მკვეთრი ვერტიკალური ღარების კონებით. ამგვარი პატარა ჭურჭელი ზუსტად ასეთივე ორნამენტაციით აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის სამხრეთი უბნის № 91 სამარხში, რომელიც აგრეთვე მიეკუთვნება რკინის ფართო ათვისების I საფეხურს[44] და ამდენად უნდა დათარიღდეს ძვ. წ. X ს-ის მეორე ნახევრით და IX ს-ით.

მეორე აგრეთვე კარგად ნახელავი შავპრიალა „თიხის სიტულა“ იდენტური ორნამენტაციით სამთავროს № 18 სამარხიდანაა. აქვეა აღმოჩენილი ზემოხსენებულთა მსგავსი ბრინჯაოს ოთხი ნახევარსფერულ-დაღარულთავიანი საკინძი, რომლებიც იმავე თარიღზე უნდა მიგვითითებდნენ. ამ სამარხის არქაულობას შესაძლებელია მიუთითებდეს აგრეთვე აქ ნაპოვნი სარდიონის ე. წ. „დახეთქილი მძივი“ (იხ. ქვემოთ).

მესამე ასეთივე ჭურჭელი სამთავროს № 51 ორმოსამარხიდანაა. ორნამენტაციის განსხვავება იმაშია, რომ აქ დაწნევით დატანილი ღარები კონებად კი არ არის განაწილებული, არამედ მთლიანად შემოუყვება „თიხის სიტულის“ მხარს. ეს სამარხი ძვ. წ. XI—X სს-ით თარიღდება[45].

ხოვლეგორის V ჰორიზონტის ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის აქედან მოპოვებული მძივებიც გვეხმარება. მხედველობაში გვაქვს, ჯერ ერთი, ცისფერი პასტის ბრტყელწრიული, წიბოდაღარული და კიდეებდაჭდეული მძივი (№ 2139$_1$ იხ. ზემოთ გვ. 33). მისი სრული ანალოგია ჩვენ ვერ ვნახეთ, მაგრამ სამთავროს № 278 ორმოსამარხში აღმოჩნდა მსგავსი, ბრტყელი ბორბლისებური, წახნაგებდაშტრიხული ცისფერივე პასტის მძივი. ამავე ორმოსამარხიდანაა ბრინჯაოს ჩვენთვის უკვე ცნობილი საკინძი სრულიად იდენტური № 87 და № 19 სამარხების საკინძებისა. ამიტომ ამ უკანასკნელთა თარიღების მიხედვით (იხ. ზემოთ), ეს სამარხიც ძვ. წ-ის XII—X სს-ს შორის უნდა მოთავსდეს, უფრო კი თითქოს ამ პერიოდის მეორე ნახევარში, რადგან სარდიონის მძივების ასორტიმენტი არ იძლევა არქაულ ფორმებს („დახეთქილ“ და ექვსწახნაგა-ოვალურ მძივებს)[46].

არქაულობის მაუწყებელი უნდა იყოს ხოვლეგორის V ჰორიზონტში აღმოჩენილი ე. წ. „დახეთქილი“ მძივი (№ 2139$_3$, იხ. ზემოთ, გვ. 33). სარდიონის ამ ტიპის მძივები დამახასიათებელია სამთავროს სამაროვნის გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის ხანის სამარხებისათვის, სადაც ისინი მასიურად გვხვდე-

---

[42] Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 52, ტაბ. XX$_1$.

[43] იხ. მაგ., Б. А. Куфтин, იქვე, გვ. 67, სურ. 67$_2$.

[44] რ. აბრამიშვილი, იქვე, გვ. 134—135.

[45] იქვე, გვ. 134—135, ტაბ. I.

[46] სამთავროულის მსგავსი ოღონდ უფრო დიდი ზომის მძივებია აღმოჩენილი თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის III ყორღანის მიწაყრილის ქვეშ. სამწუხაროდ, თარიღი გაურკვეველია, იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XXII$_1$. ასეთივე მძივები, რამდენადაც ნახატის მიხედვით შეიძლება მსჯელობა, აღმოჩნდა კარმირ-ბლურზე, ურარტული ნაქალაქარის ტერიტორიაზე დამოწმებული სამაროვნის № 3 სამარხში, რომელიც ა. მარტიროსიანის მიხედვით ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება, იხ. А. А. Мартиросян, Город Тейшебаини, Ер., 1961, с. 141, рис. 65.

ბა[47]. უფრო გვიანდელი სამარხებისათვის აქ ასეთი მძივები, როგორც წესი, აღარ დასტურდება[48], თუმცა თრიალეთში წინწყაროს სამაროვანზე ერთი ცალი „დახეთქილი“ მძივი აღმოჩნდა № 65 სამარხში რკინის დანის პირთან ერთად, მეორე კი იმავე სამაროვნის № 59 სამარხში პასტის „დომინოს“ ტიპის მძივებთან ერთად. შესაძლებელია ეს გარემოება ამ სამარხთა არქაულობაზე მიუთითებდეს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, რომ მუქი წითელი ფერის სარდიონის „დახეთქილი“ მძივები დღეს არსებული ფაქტიური მასალის მიხედვით აღმ. საქართველოში გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხებისთვისაა დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი. ეს გარემოებაც, რა თქმა უნდა, ხოვლე V პერიოდის სიძველეზე უნდა მიუთითებდეს.

სწორედ ამის გამო, აქვე აღვნიშნავთ, ჩვენ ვერ ჩავთვლით IV ჰორიზონტის კუთვნილად (თუკი სტრატიგრაფიული ფიქსაცია სწორია)[49] აქ ნაპოვნ ორ ასეთ მძივს, რომელიც ოთხკუთხაგანივკვეთიან თავხვია საკინძთან ერთად აღმოჩნდა. ეს ნივთები ხოვლეგორის უძველესი ჰორიზონტების კუთვნილი უნდა იყოს (იხ. ზემოთ IV ჰორიზონტის მასალის აღწერა გვ. 39—40). ყველაფერი ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ხოვლე V პერიოდის დათარიღება ძვ. წ. XII—X ს-ით არ იქნება საფუძველს მოკლებული.

აქ აუცილებელია შევეხოთ ხოვლეგორის ჩრდილოეთი ნასოფლარის თარიღს. ზემოთ ეს ნასოფლარი ხოვლე V პერიოდის თანადროულად მივიჩნიეთ (იხ. ზემოთ, გვ. 22). ამას, ჯერ ერთი, გვაფიქრებინებს ამ ნასოფლარიდან მოპოვებული კერამიკული მასალა. მხედველობაში გვაქვს, პირველ რიგში, ჩვენი კლასიფიკაციის III b ტიპის ქიმდაღარული ჯამ-ლანგრები, რომლებიც, როგორც აღვნიშნავდით (იხ. ზემოთ გვ. 29), ხოვლეგორის V და IV ჰორიზონტებისთვისაა დამახასიათებელი. ორი ასეთი ჯამის ფრაგმენტი აღმოჩნდა VI ჰორიზონტშიც, თუმცა კი საეჭვო ვითარებაში (იხ. ზემოთ, გვ. 21) ესეც რომ არ იყოს, მაინცდამაინც ძვ. წ. XIII ს. იქნებოდა ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა ჩვენთვის საინტერესო ნასოფლარისათვის, რამდენადაც ხოვლე VI ამ დროით თარიღდება.

ზედა ქრონოლოგიური ზღვრის გასარკვევად კვლავ კერამიკული მასალა გვშველის. ჩვენ ვიცით, რომ ხოვლეს IV პერიოდში ჩნდება თითო-ოროლა წითლად გამომწვარი კერამიკული ფრაგმენტი და კერძოდ, ამ ჯურის მასალა დასტურდება სამხრეთი ნასოფლარის ქვედა, მესამე სტრატიგრაფიულ ფენაში, რომელიც ამდენად ხოვლე IV პერიოდის თანადროული უნდა იყოს. რაც შეეხება ჩრდილოეთის ნასოფლარს, იქ გათხრილმა არც ერთმა ნაგებობამ არ მოგვცა წითლად გამომწვარი ჭურჭლის რაიმე ნიმუში. ასე რომ უკვე ეს გარემოება გვაფიქრებინებს ამ ნასოფლარის ხოვლე V პერიოდისადმი მიკუთვნების მართებულებას.

ეს რაც შეეხება ჩრდ. ნასოფლარის, ასე ვთქვათ, სტრატიგრაფიულ ადგილს ხოვლეგორის კომპლექსში. ჩვენ კი ვვარაუდობთ, რომ წითელი კერამიკა უნდა ჩნდებოდეს IV პერიოდის ბოლო ფაზაში და ე. ი. შესაძლებელია ჩრდ.

---

[47] Г. Г. Л е м и л е й н, Каменные бусы Самтаврского некрополя, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 185, 188—9; ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[48] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 125—138, ტაბ. I.

[49] ნივთთა ეს კომპლექსი აღმოჩნდა 1957 წ. ბორცვზე გავლებულ ვიწრო ჭრილში და შესაძლებელია სტრატიგრაფია ზუსტი არ იყოს.

ნასოფლარის არსებობის ზედა ქრონოლოგიური მიჯნა ხოვლეგორის IV პერიოდის დასაწყისს ემთხვეოდეს. ამის გასარკვევად ჩვენ ერთი საინტერესო ფაქტი გვაქვს.

ჩრდ. ნასოფლარის № 1 ნაგებობაში აღმოჩნდა სამარხი, რომელიც ცხადია ამ ნაგებობის დანგრევისა და მივიწყების შემდეგ მოუწყვიათ. ეს სამარხი ინვენტარის მიხედვით, კერძოდ კი გარკვეული ტიპის რკინის სატევრის მიხედვით, რომელიც აქ აღმოჩნდა, ექცევა იმ პერიოდში, რომელსაც რ. აბრამიშვილი რკინის ფართო ათვისების II საფეხურს უწოდებს და რომელიც თარიღდება ძვ. წ. VIII და VII ს-ის პირველი ნახევრით[50].

ცხადია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარხის მოწყობა ნასახლარზე მოწმობს ამ ნასახლარის და არა ხოლოდ ამ კონკრეტული ნასახლარის, არამედ მთელი ნასოფლარის ამ ტერიტორიაზე არსებობის ტრადიციის მივიწყებას. საამისოდ კი საჭიროა არა ნაკლებ სამი-ოთხი თაობისა, ცხადია იმ პირობით, რომ სამარხის მომწყობი არის ამავე ნამოსახლარის აბორიგენი. სამარხის ინვენტარი ამის საწინააღმდეგო არავითარ მოწმობას არ იძლევა და ხოვლეს ნამოსახლარზეც ამ დროს მსგავსი რაიმე ნიშანი არ მოიპოვება. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ძვ. წ. IX ს-ში მაინც ხოვლეგორის ჩრდილოეთით მდებარე სოფელს არსებობა შეუწყვეტია.

ეს გარემოებაც უნდა მოწმობდეს, რომ ჩრდ. ნასოფლარი ხოვლე V პერიოდისაა, რომელიც ჩვენ ძვ. წ. XII—X სს-ით განვსაზღვრეთ[51]. ფაქტიური მასალაც ამ ნასოფლარიდან გვაძლევს სათანადო ჩვენებებს. კერძოდ, № 3 ნაგებობიდან ჩვენ გვაქვს მონაცემები, რომლებიც გვეხმარება მისი თარიღის მიახლოებით დადგენაში. პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ ორი ჯამის ფრაგმენტი შემკული ფსკერზე რადიალური ტალღური ხაზებით (იხ. ტაბ. XXXIX). ხოვლური ჯამების (№№ 222—61—N; 225—61—N) სრულიად ანალოგიური ორნამენტაცია აქვს სამთავროს ჩრდ. უბნის № 29 სამარხის ლეგად გამომწვარ ბადიას. აქაც ფსკერი დაყოფილია სექტორებად (14 სექტორი), რომელთაგან მონაცვლეობით თითოეული ხშირი რადიალური სწორი ხაზებითა და თითო რადიალური ტალღური ხაზითაა შემკული. ეს სამარხი ძვ. წ. XI—X სს-ით თარიღდება[52].

ჩრდ. ნასოფლარის ამავე ნაგებობებიდან გვაქვს ბრინჯაოს თავკონუსური საკინძი (№ 8—61—N, ტაბ. LXI—LXII). მსგავსი მოყვანილობის თავიანი საკინძები ცნობილია ბეშთაშენის სამაროვნიდან (სამარხები №№ 11, 21, 27)[53]. № 11 სამარხი სხვა თანმხლები ინვენტარის მიხედვით (მათ შორის სარდიონის ექვსწახნაგა ოვალური მძივი და მოკლეშვერილიანი ირმის რქის ძირი)[54] უნდა დათარიღდეს ძვ. წ. XIII—XII სს-ით[55]. ამავე დროისა უნდა იყოს დანარჩენი სამარხებიც. ასეთივე თავკონუსური საკინძები აღმოჩნდა მტკვრის ხეობაში,

---

[50] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 132—134, ტაბ. I; მისივე, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 368—369, ტაბ. XVII, $1_{2-3}$.

[51] ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ № 2 ნაგებობა ამ ნასოფლარისა შესაძლოა ცოტათი უფრო ახალგაზრდა იყოს დანარჩენებზე.

[52] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 134—135.

[53] № 21 სამარხის ეს საკინძი გამოქვეყნებულია ბ. კუფტინის მონოგრაფიაში, იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 73, ნახ. $80_4$ ტაბ. LII.

[54] იხ. იქვე, ტაბ. XLIX.

[55] რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

სოფ. გომნაში, ბრინჯაოს ადრეული ტიპის სატევართან ერთად[56]. ამდენად, ეს კომპლექსიც ძვ. წ. XIII—XII სს-სა უნდა იყოს[57].

კიდევ უფრო ძველ პერიოდს განეკუთვნება ე. პჩელინას მიერ გათხრილი ნულის კოლექტიური სამარხებიდან ცნობილი ასეთი საკინძები[58] და აგრეთვე იმავე შიდა ქართლის ტერიტორიიდან, სოფ. თლის სამაროვანზე დადასტურებული, ტიპოლოგიურად ხოვლურის მეტად მსგავსი ასეთი სამკაული, რომელსაც გამომცემელი რატომღაც „ლურსმნისთავიან საკინძებს“ უწოდებს[59].

ხოვლეგორის ჩრდ. ნასოფლარის იმავე № 3 ნაგებობამ კიდევ ერთი ნივთი შეგვძინა ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით. ეს არის ცისფერი პასტის სფერული ძეძვი სიგრძივ დალარული ზედაპირით (იხ. ზემოთ, გვ. 33). სავსებით ანალოგიური მძივები აღმოჩნდა თრიალეთშივე, წინწყაროს სამაროვნის № 60 სამარხში[60], რომელიც რ. აბრამიშვილის მიხედვით არ შეიძლება იყოს ძვ. წ. XII—XI სს-თა მიჯნის ახლო ხანებზე გვიანდელი[61]. ყველაფერი ეს გარკვევით ათარიღებს განხილული მასალის შემცველ ნაგებობას ძვ. წ. XII ს-ით და ამდენად, თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე ზემომოტანილ მონაცემებსაც უნდა დავასკვნათ, რომ ხოვლეგორის ჩრდ. ნასოფლარი ხოვლე V პერიოდის თანადროულია.

რამდენადაც ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ხოვლე III პერიოდის დასაწყისი ძვ. წ-ის VII—VI საუკუნეთა მიჯნაზე მოდის, ამდენად ხოვლე IV-ს ქრონოლოგია თავისთავად გარკვეული იქნება. ეს პერიოდი უნდა დათარიღდეს ძვ. წ. IX—VII სს-ით. ამას მოწმობს ფაქტიური მასალაც.

ჩვენ ზემოთ (იხ. გვ. 38) აღვნიშნავდით, რომ IV ჰორიზონტის ჯამ-ლანგრების ფრაგმენტების მიხედვით მათთვის დამახასიათებელია ფსკერის შემკობა წვრილი პრიალა ირიბი თუ რადიალური ხაზებით და ერთი ასეთი აღდგენილი ჯამის მიხედვით, რომელიც IV ჰორიზონტის ერთ-ერთი ოთახის იატაკზე იდო, როგორც ჩანს, სრული წარმოდგენა შესაძლებელია ვიქონიოთ ამ ორნამენტზე: ჯამის ფსკერი წვრილი პრიალა რადიალური ხაზებით დანაწევრებულია სექტორებად, რომლებიც, თავის მხრივ, ირიბი ხაზებით არის დაშტრიხული (№ 1963).

ზუსტად ასევეა შემკული სამთავროს სამაროვნის № 191 ორმოსამარხის ლეგად გამომწვარი ბადიის ფრაგმენტი. ეს სამარხი შიგ მოპოვებული ბრინჯაოს ზურგდაჭდეული სამაჯურებისა და ფირფიტოვანი ვარდულების მიხედვით ძვ. წ. VII—VI სს-ით უნდა დათარიღდეს[62].

---

[56] გ. ნიორაძე, არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, საქართველოს მუზეუმის მრომბე, XIII—B, გვ. 205—206, ტაბ. XII.

[57] რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.

[58] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, с. 31—35, таб. $XVII_1$.

[59] Б. В. Техов, Позднебронзовая культура лиахвского бассейна, 1957, стр. 95—96, таб. II, 26–27, 29–30, 33 და სხვ. შდრ.; Мисиэ, К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в южном течении реки Большой Лиахвы, 1963, стр. 40—42, рис. $21_2$; О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник, эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, 60, 1955, с. 26.

[60] იხ. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, таб. $XXII_2$.

[61] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის..., გვ. 327.

[62] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 132, ტაბ. I.

IV ჰორიზონტიდანვე გვაქვს ღრმა ჯამის ფრაგმენტები შემკული წინა ჰორიზონტის მსგავსი ჭურჭლისაგან განსხვავებით არა რადიალური, არამედ გასწვრივი ტალღური ხაზებით ამოვსებული სექტორებით ფსკერზე (№ 2055). ამგვარი ორნამენტი აქვთ ლანგრებსა და ბადიას მოპოვებულს კვლავ სამთავროს სამაროვნის №№ 30, 222 და 314 სამარხებში, რომლებიც ზურგდაჭდეული სამაჯურების (სამარხი № 30, 314), სარდიონის ზარისებური მძივის (სამარხი № 314) და ზურგდაჭდეული ბეჭდების (სამარხი №№ 222, 314) მიხედვით იმავე პერიოდს განეკუთვნებიან[63].

ჩვენ კიდევ ერთ პარალელს მივუთითებთ ახლა უკვე თრიალეთიდან, კერძოდ, პროფ. ბ. კუფტინის მიერ 1948 წ. სოფ. ავრანლოსთან გათხრილი მეტად საინტერესო სამაროვნიდან, რომლის მასალაც სამწუხაროდ არ არის გამოქვეყნებული და ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. უაღრესად საინტერესო ჩანს ამ სამაროვნის № 3 სამარხი, რომლის ჭურჭელი აშკარად განსხვავდება თრიალეთური თანადროული სამაროვნების (წინწყარო, თაქჩილისა) მასალისაგან და თავისი ფორმებით, ტექნიკურ-კერამიკული თვისებებით, ორნამენტაციით სრულიად ანალოგიურია შიდა ქართლიდან ცნობილი ამ დროის ჭურჭლეულისა (სამთავრო, ხოვლე, ნაცარგორა და სხვ.), თუმცა უეჭველად ადგილობრივი ტიპის ჭურჭელსაც შეიცავს.

ამჟამად ჩვენ ამ სამარხიდან გვაინტერესებს ერთი პატარა, რუხად გამომწვარი შავპრიალა ჭოთანი (ინვ. № 81) შემკული „ფრჩხილის“ ორნამენტის მწკრივებით (ყელის ძირში) და თევზიფხურით (მხარზე). მუცლის ირგვლივ ოთხი რელიეფური, მუთაქისებური „ყური“ ამკობს, რომელთა ზედაპირი თევზიფხურადაა დაშტრიხული.

მსგავსი „ყურები“ გვაქვს ჩვენ ხოვლე IV პერიოდის მასალაში (№№ 1755; 149—61, იხ. ტაბ. XLIV, LV) და წინა ჰორიზონტებში ისინი არ დასტურდებიან. ეს სამარხი ინვენტარის მიხედვით უეჭველად რკინის ფართოდ გავრცელების ხანისაა (რკინის დანის ფრაგმენტები, ინვ. № 90; რკინის პატარა, მოხრილი, ყუნწიანი დანა (ინვ. № 89); რკინის სამაჯურის ფრაგმენტები, ინვ. №93 ) და კერძოდ, კი „ვანის ექსპანსიის ეპოქის“ დროინდელი, რაზედაც უნდა მეტყველებდეს თეთრი პასტის ე. წ. „დომინოს“ ტიპის მძივები, რომლებიც ამ დროისთვისაა დამახასიათებელი[64] და ავრანლოს, ამ სამარხშიც აღმოჩნდა (ინვ. № 96). ე. ი. ეს სამარხი დაახლოებით ძვ. წ. VIII ს-ით უნდა თარიღდებოდეს.

ამგვარად, ფაქტიური მასალა ხოვლეგორის IV ჰორიზონტიდან, როგორც ვხედავთ ძვ. წ-ის VIII—VII სს-ზე მიგვითითებს. ამ დროს ხოვლეგორას ნასოფლარი, როგორც ჩანს, მხოლოდ სამხრეთიდან არტყია. ამ ნასოფლარის ნაშთები მეტად ფრაგმენტულად გამოვლინდა (ორიოდე ნაგებობის ნაშთი), მაგრამ მათი სტრატიგრაფიული მდებარეობით (სამხრეთი ნასოფლარის ხოვლე III-ის შესატყვის ნაგებობათა ქვეშ) და ფაქტიური მონაცემებით (რამდენიმე ფრაგმენტი წითელკეციანი კერამიკისა, მათ შორის გვიანი ფენისთვის დამახასიათებელი პროფილირებული ჯამისა) ამ ნასოფლარის შესატყვისობა ხოვლე IV პერიოდთან სრულიად უეჭველია. კიდევ მეტი, თუკი ჩვენი დაკვირვება ჯამ-ლანგართა შემკობის ხერხების ცვალებადობის შესახებ სწორია

---

[63] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე, გვ. 132, ტაბ. I.

[64] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 56—57, ტაბ. XXXII.

(ხოვლესთვის კი ეს სწორი ჩანს), მაშინ შესაძლებელია ჩრდ. ნასოფლარის ერთი ნაგებობა, კერძოდ, ნაგებობა № 2, ფაქტიურად, IV პერიოდის შესატყვისი იყოს, რამდენადაც აქედან მოპოვებულია ერთი თითქმის მთლიანად აღდგენილი ლანგარი, შემკულია ირიბი ხაზებით დაშტრიხული სექტორებით (№ 65—61—N), ბსგავსად ხოვლეგორის IV ჰორიზონტის ზემოხსენებული ჯამისა (იხ. ტაბ. XXXVIII).

რადგან ჩვენ ვიცით, რომ ბორცვის ჩრდილოეთით დაახლოებით ძვ. წ. IX ს-დან ნასოფლარის არსებობა აღარ ივარაუდება, ამიტომ არ შეიძლება ეს № 2 ნაგებობა ამ საუკუნეზე გვიანდელი იყოს. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ თუკი ეს ნაგებობა IV პერიოდს კუთვნილია, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ მისი დასაწყისისა, რადგან ძვ. წ-ის VIII—VII სს-ში აქ სამაროვანი მოუწყვიათ. ეს გარემოება თავის მხრივ, დაგვიდასტურებდა იმას, რომ ხოვლე IV პერიოდის დასაწყისი, მართლაც, ძვ. წ. IX ს-ზე მოდის.

ხოვლე IV პერიოდი მჭიდროდ ადგება III პერიოდს, რაზედაც აქ ფრაგმენტულად გამოვლენილი წითელკეციანი კერამიკა გვარწმუნებს. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ამ მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჯურის პროფილირებული ჯამ-ლანგრების დადასტურება ბორცვზე (№ $2323_2$, იხ. ზემოთ, გვ. 38—39) და ნამოსახლარზე (№ 1277— S იხ. ზემოთ, იქვე), რომლებიც სხვა ნიშნებთან ერთად III (და II) პერიოდის სპეციფიკას წარმოადგენს.

რაც შეეხება ხოვლე III პერიოდს, ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგად თარიღდება ამ ჰორიზონტიდან მოპოვებული მასალის მიხედვით.

პირველ რიგში საამისოდ გამოდგება ბრინჯაოს მასრიანი ისრისპირები. ამ ტიპის ისრისპირები აღმოსავლეთი ევროპიდან და ციმბირიდან ტიპოლოგიურად და ქრონოლოგიურად კლასიფიცირებული აქვს პ. რაუს თავის ფრიად საყურადღებო ნაშრომში[65], სადაც იგი უძველეს ტიპებს ძვ. წ-ის VII ს-ით ათარიღებს[66]. თუმცა კი საწყისნაგა და სამფრთიანი ისრისპირები მცირე აზიის ტერიტორიაზე თითქოს გაცილებით უფრო ადრე ჩნდება, კერძოდ, მაგალითად, ალიშარის ბორცვზე IV პერიოდიდან[67], რომელიც ძვ. წ. 1200—1000 წწ-ით თარიღდება[68], ხოლო ალაჯა-ჰუიუკზე ხეთურ (გვიანხეთურ?) პერიოდში[69], მაინც ჩვენთვის საინტერესო ტიპების გაფორმება გაცილებით უფრო გვიან ხდება.

ორფრთიანი დეზიანი ისრისპირი (№2292), რომელიც III ჰორიზონტის იატაკის დონეზე აღმოჩნდა ფრთების მოყვანილობით ჯერ კიდევ მიაგავს პ. რაუს კლასიფიკაციის დიდ კუთხოვან რომბულფოთლისებურ ისრისპირს[70], რომელიც ე. წ. „წინასკვითური“ ხანისთვისაა დამახასიათებელი და

---

[65] Paul Rau, Die Gräber der frühen Eisenzeit in interen Wolgagebiet. Studien zur Chronologie der skythischen Pfeilspitze, Pokrowsk, 1929.

[66] იქვე, გვ. 32—33.

[67] Erich F. Schmidt, The Alishar Hüyük. Part I, OIP, vol. XIX, 1932, p. 265, fig. 348.

[68] Kurt Bittel, Grundzüge der Vor-und Frühgeschichte Kleinasiens, 1950, Abb, 52 (სინქრონული ტაბულა). თვით გამთხრელი ამ ფენას ძვ. წ. 1400—1200 წწ-ით ათარიღებს. იხ. Erich F. Schmidt, დასახ. ნაშრ., გვ. 26, ნახ. 26 (ფენათა ქრონოლოგია).

[69] Koşay Hâmit Zübeyr, Ausgrabungen von Alaca Höyük, Ankarà, 1944, S. 33, Taб. XLIX, 220.

[70] P. Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 29, ტაბ. XIV, 3, A-C; ტაბ. XV, 1, A-E.

VII ს. ძვ. წ. უნდა დათარიღდეს[71]. მაგრამ ხოვლური ცალი არ არის წმინდა ტიპი, პირუკუ, ეს არის გარდამავალი ტიპი, კელერმესული ჯგუფის ისრისპირებისაკენ, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით: ნაკლებ გამოკვეთილი კიდეები, თითქმის უკვე ოვალური ფოთლის კონტური, გლუვი მასრა[72]. ყორღანების კელერმესული ჯგუფი, როგორც ცნობილია, ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება[73]. ამიტომ არ შევცდებით თუ ხოვლურ ამ ისრისპირს ძვ. წ-ის VII—VI სს-თა მიჯნით დავათარიღებთ.

სამფრთიანი ისრისპირი (№ 829) აღმოჩნდა ხოვლე III პერიოდის ბორცვის შემომსაზღვრელი თხრილის ძირზე. იგი ოვალური მოყვანილობისაა, მასრა თითქმის არ გამოდის ფრთების დაბოლოებებს გარეთ. ამ ტიპის ზუსტი ანალოგია ბ. რაუს მიერ გამოქვეყნებულ ისრისპირებში არ არის, მაგრამ იგი ძლიერ მიაგავს ერთ კელერმესულ ცალს, რომელიც ხოვლურისაგან იმით განსხვავდება, რომ მასრა სრულიად არ არის დიფერენცირებული[74] და, რა თქმა უნდა, სწორია ბ. კუფტინი, როდესაც ხოვლურის ანალოგიურ ისრისპირს წალკიდან „შედარებით არქაულ ტიპად" თვლის[75].

ისრისპირი № 2293 აღმოჩნდა III ჰორიზონტის კედლის ძირში, ხოლო № 1339 ამავე პერიოდის ბორცვის გალავნის II სარტყლის დონის ქვეშ მსგავსად № 1338 სამწუხაროდ დაზიანებული სამწახნაგა, ჭედვით დამზადებული ისრისპირისა) იმ ფენაში, რომელიც კედლის აგების წინ რელიეფის მოსწორების მიზნით საგანგებოდ დაუყრიათ. ორივე ისრისპირი სამფრთიანია, საკმაოდ მასიური, შედარებით გრძელმასრიანი, იმ ტიპისა, რომელიც ბ. რაუს მიხედვით „ადრეარქაული პერიოდისთვის" ე. ი. ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრისთვისაა დამახასიათებელი, გვხვდება მთელი ამ საუკუნის განმავლობაში და თითო-ოროლა ცალი V ს-ის პირველ ნახევარშიც გადმოდის[76].

ტიპიური ადრეარქაული ისრისპირია № 1173. რაც შეხება № 1320 ისრისპირს, რომელიც აგრეთვე III ჰორიზონტის ნაგებობის იატაკის დონეზე აღმოჩნდა, იგი, სამწუხაროდ ძლიერ დაზიანებული, სამწახნაგა ტიპს უნდა მიეკუთვნებოდეს. ეს ტიპიც თავისუფლად დათარიღდება ძვ. წ-ის VI ს-ით, რამდენადაც იგი, ალაჯა-ჰუიუკის ზემოხსენებულ არქაულ ცალსაც რომ თავი დავანებოთ, დროის დიდ მონაკვეთზე გვხვდება ძვ. წ. VI ს-დან ვიდრე III ს-მდე[77]. ჩვენი ცალი უფრო VI საუკუნის შუა ან მეორე ნახევრისა უნდა იყოს[78].

---

[71] P. Rau, იქვე, გვ. 32; შდ. А. А. Иессен, Некоторые памятники VIII—VII вв. до н. э. на Северном Кавказе, Вопросы скифо-сарматской археологии, с. 119, სადაც იგი ამ ტიპის ისრისპირების შემცველ კომპლექსებს ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრით და VII—VI სს-ის მიჯნით ათარიღებს; შდ. აგრეთვე, П. Д. Либеров, Хронология памятников поднепровья скифского времени, იმავე კრებულში, გვ. 149, 153—154.

[72] P. Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 32; შდ. იქვე, ტაბ. I, 1, D — კელერმესული ისრისპირი.

[73] А. А. Иессен, Моздокский могильник в ряду памятников Северного Кавказа. Археологические экспедиции Эрмитажа, вып. I, Моздокский могильник, Л., 1940.

[74] P. Rau, დასახ. ნაშრ., ტაბ. I, 2, F.

[75] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 44—45, სურ. 41, g.

[76] P Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 14, ტაბ. I, 1, E; 2, A, C.

[77] P. Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 15, 18. ტაბ. I, 1. H; 2, E; ტაბ. III, 1, G; 2, H. N; М. Г. Мошкова, О раннесарматских втульчатых стрелках, КСИА 89, с. 79. рис. 29—30 (ისრისპირების III ტიპი).

[78] P. Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 18, ტაბ. III, 2, N; П. Д. Либеров, დასახ. ნაშრ., გვ. 152, ტაბ. I, 39.

ამგვარად, ბრინჯაოს მასრიან ისრისპირთა ასორტიმენტი, როგორც ვნახეთ, ხოვლე III პერიოდს კარგად ათარიღებს ძვ. წ-ის VI ან კიდევაც მისი პირველი ნახევრით თუ ძვ. წ. VII—VI სს-თა მიჯნით, რომელსაც დაახლოებით უნდა მივაკუთვნოთ, როგორც ჩანს, ამ პერიოდის დასაწყისი. ამ თარიღს არ ეწინააღმდეგება ხოვლური საკინძი კუბიკური თავით (№ 1370), რომელიც სამთავროს სამაროვნის მასალის მიხედვით გვხვდება უკვე ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან[79].

ამ თარიღს ადასტურებს აგრეთვე ხოვლე III პერიოდის წითლად გამომწვარი ჭურჭელი (ამის შესახებ, ქვემოთ).

ხოვლე III პერიოდისაა სამხრეთი ნასოფლარის მეორე სტრატიგრაფიული ჰორიზონტი. გარდა წითლად გამომწვარი ჭურჭლის სრული შესატყვისობისა ბორცვის III ჰორიზონტთან, ამას ადასტურებს უაღრესად საინტერესო აღმოჩენა ბერძნული შავფიგურიანი ჭურჭლის ფრაგმენტისა (№ 695— S, იხ. ზემოთ, გვ. 48).

ეს ფრაგმენტი აღმოჩნდა ნასოფლარის ზედა სტრატიგრაფიული ჰორიზონტის № 1 ნაგებობის ნაშთის კედლის საძირკვლის ქვეშ, მომდევნო სტრატიგრაფიული ჰორიზონტის № 1 ნაგებობის იატაკზე ჩანაყარ 0,2 მ-ის სისქის ფენაში, რომელიც ამ უკანასკნელი ნაგებობის დანგრევის შედეგად წარმოიქ ნა. ე. ი. შავფიგურიანი ნატეხი ამ ნაგებობის კუთვნილია. იგი თარიღდება ძვ. წ. VI ს-ის უკანასკნელი მესამედით[80] და ამდენად ნასოფლარის შესატყვისი ჰორიზონტის ნაგებობათა ძვ. წ. VI ს-ით დათარიღება სავსებით რეალურია, რადგან ზედა ჰორიზონტი, რომელიც ხოვლე II პერიოდის დროინდელია, ძვ. წ. V ს-ით უნდა დათარიღდეს.

ხოვლე II-ის დასათარიღებლად კვლავ ბრინჯაოს მასრიანი ისრისპირები უნდა გამოვიყენოთ. სამწახნაგა ისრისპირები, რომელთაგან ერთი (№ 2298) II ჰორიზონტის ნაგებობიდანაა, ხოლო მეორე (№ 2350) ამავე ჰორიზონტის ერთ-ერთი ნაგებობის კედლის თავზე აღმოჩნდა, როგორც ვიცით, დათარიღებისათვის არც მაინცდამაინც სანდოა, რადგან საუკუნეთა მანძილზე გვხვდება. მესამე საინტერესო ცალი — სამწახნაგა ფრთაჩამოშვებული ისრისპირი (№ 1321), რომელიც გალავნის III სარტყლის თავზე იქნა ნაპოვნი, ჩემთვის სხვაგნით საერთოდ უცნობია.

№ 1172. სამფრთიანი ოვალური ისრისპირების აშკარად გადაგვარებული სახეობაა და ძვ. წ. V ს-ზე ძველი არ უნდა იყოს, თუ უფრო გვიანდელი არა[81]. ეს ისრისპირი ბორცვის სამხრეთი ფერდის ერთ-ერთი სათავსოს საცხობი ღუმელის კედელში იყო შერჭობილი.

№№ 776; 778; 1252; 1256 პ. რაუს კლასიფიკაციის „შერეულ ტიპს“ მოგვაგონებს[82] და ამდენად „გვიანარჭაული პერიოდისა“ უნდა იყოს, რომელსაც იგივე ავტორი ძვ. წ. VI ს-ის ბოლო მესამედისა და V ს-ის პირველი მესამედით საზღვრავს[83]. საერთოდ ძვ. წ-ის VI ს-ის ბოლოდან დაწყებული V ს-ში შეიმჩნევა ტენდენცია უფრო მსუბუქი ფორმის სამკუთხა მოყვანილობის ისრის-

---

[79] რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 126, ტაბ. I, 28—30.

[80] თარიღი განსაზღვრა ლენინგრადის სახ. ერმიტაჟის ანტიკური განყოფილების მეც. თანამშრომელმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა კ. კორბუნოვამ.

[81] P. R a u, დასახ. ნაშრ., გვ. 14—15 და 18—19.

[82] ი ქ ვ ე, გვ. 18, ტაბ. IV, I G.

[83] ი ქ ვ ე, გვ. 13.

პირების გავრცელებისა[84] და ხოვლე II პერიოდის სამფრთიან ისრისპირთა უმეტესობა სწორედ ასეთია.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ხოვლურ ასორტიმენტში გვხვდება V ს-ის ბოლოსათვის დამახასიათებელი მერცხლისკუდა მოკლემასრიანი და V—IV სს-თა მოსაბრუნზე ცნობილი „ნესტარისებური“[85] (პ. რაუს ტერმინოლოგიით) ისრისპირები (№№ 799; 1098). ერთი ასეთი ისრისპირი ბორცვის ჩრდ. ფერდის ერთ-ერთ ნაგებობაში აღმოჩნდა (№ 2271).

დაბოლოს ძვ. წ. V—IV სს-თა მიჯნის დროისა უნდა იყოს პატარა სამფრთიანი ისრისპირი დეზით მასრაზე (№ 1427)[86], რომელიც სამწახნაგა ნაჭედ ისრისპირთან ერთად (№ 1426) აღმოჩნდა ბორცვის შემომსაზღვრელ თხრილსა და გალავნის I სარტყლის კედელს შორის არსებულ ტერასაზე. უკანასკნელად უნდა აღვნიშნოთ მოხდენილი წარზიდული ფორმის დიდი ზომის სამფრთიანი ისრისპირი (№ 802), რომელიც ჩვეულებრივ ძვ. წ. VI ს-თვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სპორადულად V ს-შიც გვხვდება[87].

საერთოდ ისრისპირების კომპლესის დათარიღებისას, როგორც ცნობილია, ყურადღება უნდა მიექცეს არა ცალკეულ ცალებს, არამედ იმ ტიპს, რომელიც უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება, რადგან პროცესი ისრისპირების ტიპების წარმოქმნისა და გაქრობისა საკმაოდ ხანგრძლივია და არადამახასიათებელი ტიპი სპორადულად შესაძლებელია ძალიან დიდხანს შემორჩეს. ამიტომ, ცხადია, დათარიღებისას მათ ყურადღება არ უნდა მიექცეს[88]. აქედან გამომდინარე კი ის ტიპები ხოვლე II პერიოდისა, რომლებიც საკმაოდ კარგად თარიღდება და ამდენად თვით ამ ჰორიზონტსაც ათარიღებს, მიუთითებს ძვ. წ. V ს-ს ან უკეთ V—IV სს-თა მიჯნას.

საქმე ისაა, რომ ყველა ნიშნით ხოვლეს ნამოსახლარი II პერიოდის ბოლოს ძალდატანებით იქნა დანგრეული. ამას მოწმობს თვით ნგრევის კატასტროფული ხასიათი, შემდეგ — ნაგებობებში ნანგრევებზე დამოწმებული ქვის დიდი ბირთვები — „ყუმბარები“. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ჰორიზონტში აღმოჩენილი ისრისპირებიც ამ რიგის მოწმობა უნდა იყოს. ამას უნდა ადასტურებდეს მათი აღმოჩენის პირობებიც. მართლაც, განსხვავებით III ჰორიზონტის in situ ფიქსირებული ისრისპირებისა, რომელთაგან ორი აღმოჩნდა ნაგებობათა იატაკის დონეზე, ორი გავლავნის კედლის ქვეშ, ხოლო ერთი — თხრილის ძირზე (იხ. ზემოთ), II ჰორიზონტის ისრისპირთა უმეტესობა აღმოჩნდა ან ნანგრევი კედლების თავზე, ან თხრილის პირზე გალავნის I სარტყლის გარეთა ტერასაზე, ანდა მიწის იმ ფენაში, რომელიც ეფარა ბორცვის შემომსაზღვრელი ფილაქნების მოპირკეთებას. მაშასადამე, ბრინჯაოს ეს ისრისპირები უნდა ეკუთვნოდეს მოიერიშეებს, რომელთაც ამდენად, ძვ. წ. V—IV სს-თა მიჯნაზე ძალდატანებით დაანგრიეს ხოვლეს ნამოსახლარი. თუ ჩვენ, ამრიგად, ხოვლე II პერიოდის დასასრულს ძვ. წ. V—IV ს-თა მოსაბრუნზე დავდებთ, ბუნებრივია თვით ეს პერიოდი V ს-ით განვსაზღვროთ.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამავე ჰორიზონტის ერთ-ერთ ნაგებობაში (ბორ-

---

[84] П. Д. Либеров, დასახ. ნაშრ., გვ. 154; P. Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 19.
[85] P. Rau, დასახ. ნაშრ., გვ. 19—21, ტაბ. VII, 1, I და ტაბ. VIII, 1, D.
[86] შდ. P. Rau, დასახ. ნაშრ., ტაბ. VIII, 3, L.
[87] იქვე, გვ. 14—15 და 19.
[88] М. Г. Мошкова, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

ცვის ჩრდ. ფერდზე) აღმოჩნდა ცნობილი ტიპის, მოკლე და მასიური კონიკური საკინძი წატეხილი წვერით (№ 2204$_1$, იხ. ტაბ. LXI—LXII). ამგვარი საკინძები საკმაოდ ცნობილია და ბ. კუფტინის მიერ მათი შემცველი სამაროვნები დაახლოებით ძვ. წ. VII ს-თაა დათარიღებული[89]. თუ ეს თარიღი სწორია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი საკინძები V ს-მდე არსებობდნენ, რამდენადაც ხოვლური ცალის დათარიღება ძვ. წ. VII ს-ით ყოვლად შეუძლებელია.

მეორე საკინძი კუბიკური თავით აგრეთვე კარგადაა ცნობილი (№ 515, იხ. ტაბ. LXII) და, როგორც უკვე აღვნიშნეთ სამთავროს სამაროვანზე ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრისა და VI ს-ის სამარხებში გვხვდება[90]. ხოვლური საკინძი აღმოჩნდა ისეთ ვითარებაში, რომ იგი შესაძლებელია III ჰორიზონტისაც იყოს (კედელი, რომლის ძირშიაც ის აღმოჩნდა აგებულია III პერიოდში, მაგრამ არსებობს II პერიოდშიც), მაგრამ მისი არსებობა V ს-ში (და უფრო გვიანაც) სავსებით დასაშვებია, რადგან, ჯერ ერთი, სამთავროში არ გვხვდება ან არ არის ჯერ გამოყოფილი ძვ. წ. V (და IV) ს-ის სამარხები, ხოლო, მეორე მხრივ, ტიპოლოგიურად მსგავსი საკინძი აღმოჩენილია დიღომში ახ. წ. I ს-ის სამარხში[91].

ძვ. წ-ის V ს-ით უნდა დავათარიღოთ ჩვენ აგრეთვე სამხრეთი ნასოფლარის ზედა სტრატიგრაფიული ფენა, რომელიც, უეჭველია, ბორცვის II ჰორიზონტის შესატყვისია, რასაც პირველ რიგში მოწმობს ის, რომ სწორედ მათთვისაა დამახასიათებელი მილიანი, ჩაიდნისებური ჰურჭელი (იხ. ზემოთ, გვ. 52—53). ამას გარდა ნასოფლარის ერთ-ერთი ნაგებობის იატაკზე აღმოჩნდა სამფრთიანი მასიური ისრისპირი (№ 1300— S), რომელიც, როგორც ვიცით, ძვ. წ. VI ს-თვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სპორადულად V-შიც გვხვდება. აქ აღსანიშნავი კიდევ ის არის, რომ ის ნაგებობა (№ 9), რომელშიც ეს ისრისპირი იქნა ნაპოვნი ორ იატაკს შეიცავდა, რომელთაგან ქვედა ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს დამახასიათებელია ამ ნასოფლარის ზევიდან მეორე სტრატიგრაფიული ფენისა და ჩრდ. ნასოფლარის ნაგებობათა იატაკებისათვის (ქვის ფილებით მოგებული ნახევარი სანერწყლითურთ). ზედა იატაკი სათავსოს შიდა ნაწილში თიხატკეპნილი იყო, ხოლო გამოსასვლელთან ფილაქნებით მოგებული. ფილაქნებით მარტივად მოგება სათავსოსი ზედა სტრატიგრაფიული ფენისთვისაა დამახასიათებელი. ზედა იატაკის დაქანების გამო სათავსოს O კუთხესთან ეს ორივე იატაკი ფაქტიურად ემთხვეოდა ერთმანეთს და სწორედ აქ აღმოჩნდა ზემოხსენებული ისრისპირი. ასე რომ იგი, შესაძლებელია, ქვედა ჰორიზონტის კუთვნილიც იყოს, თუმცა ეს თითქოს ნაკლებ სავარაუდოა.

ცხადია, ბორცვის დანგრევასთან ერთად ნასოფლარსაც მოეღებოდა ბოლო. შესაძლებელია, ამას მიუთითებდეს სწორედ იმავე № 9 ნაგებობაში ხანძრის კვალი (ნაცრის ფენა და დამწვარ-დანახშირებული ძელების აშკარა ნაშთები იატაკზე) და, ეგების, ზემოხსენებული ისრისპირიც. ამის შემდეგ აქ ცხოვრება, როგორც ჩანს, აღარ განახლებულა, ყოველ შემთხვევაში რაიმე ნიშანდობლივი კვალი ამის დამადასტურებელი არ ჩანს.

---

[89] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 48—50.

[90] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე..., გვ. 126, ტაბ. I.

[91] ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს სახელ. მუზ. მოამბე. IV, გვ. 172, ტაბ. VIII, 14. ამ საკინძების შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, 1956, გვ. 27—32 (ხელნაწერი).

ხოვლე I პერიოდში ცხოვრება, როგორც ჩანს, მხოლოდ ბორცვზე განახლდა ისიც მის ერთ ნაწილში (თხემი და SW ფერდობი). ამ პერიოდის დათარიღება მასალის ფრაგმენტულობის გამო საკმაოდ ძნელია. ერთი მხრივ, აქ, როგორც ვიცით, გვხვდება ისეთი ფორმები ჭურჭლისა და ისეთი ორნამენტაცია, რომელიც ქვედა ჰორიზონტებისთვისაა დამახსიათებელი. ეს უნდა მოწმობდეს, რომ I ჰორიზონტი დროში არც ისე შორსაა ხოვლე II პერიოდისაგან. მეორე მხრივ, აქ ახალი ნიშნები გვხვდება, რაც ამ პერიოდს თითქოს აახლოებს ძვ. წ-ის უკანასკნელი საუკუნეების მასალასთან.

ახალი რაც აქ გვხვდება ეს არის ჯერ ერთი, ჭურჭლის ზოგიერთი ფორმა, მაგალითად.: პატარა ბრტყელძირიანი სურა (? № 1980), ორყურა პატარა, ტუჩიანი ჭილა (№ 1979) ან პატარა კოჭობები გამობერილი მუცლითა და მაღალი ყელით (№№ 565; 1981). ამ უკანასკნელი ჭურჭლის ფორმა შესაძლებელია დავუკავშიროთ III ჰორიზონტიდან ცნობილ მსგავს კოჭობებს №№ 1279; 1317) და ანდენად ესენიც დაგვიმოწმებენ I ჰორიზონტის ქრონოლოგიურ სიახლოვეს ხოვლე II და III პერიოდებთან.

ახალი ჩანს ჭურჭლის შეღებვის ხერხი. უფრო სწორად ეს რაიმე საგანგებო ხერხი კი არ უნდა იყოს, არამედ ძველი ტრადიციის გადაგვარებას უნდა მოასწავებდეს, რანდენადაც ამ ჰორიზონტის ჭურჭელი (ზემოხსენებული კოჭობები, ორყურა ჭილა, სურა და სხვ.) შეღებილია უდებად, როგორც ჩანს, გაცილებით ნდარე ხარისხის საღებავით (ვიდრე ხოვლე II—III პერიოდებში), რომელიც განჭრქალებულია და ალაგ-ალაგ აცლილი ზედაპირიდან.

შეღებვის ამ „წესით" და თვით საღებავის შედგენილობით ხოვლე I-ის ეს ჭურჭელი ძალიან გავს სამთავროს სამაროვნის ქვევრსამარხებში აღმოჩენილ შეღებილ ჭურჭელს, რომელიც თარიღდება ძვ. წ-ის III—I სს-ით[92].

მეორე მხრივ (№ 1985) სურის ყელის ფრაგმენტი, რომელიც აგრეთვე წითლადაა უდებად შეღებილი თავისი ფორმით (ღრუ წიბო შუაში), მიაგავს ლოჭინის ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარიდან ცნობილ ფრაგმენტებს, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ნყოფილების ფონდში ინახება (ინვ. № 2—60/II და № 2—60/47), თუმცა ეს უკანასკნელი შეუღებავია და თან წიბოდან ყური გამოსდით. ხოვლური ცალს ერთ ადგილზე წიბო ამოტეხილი აქვს. ასე, რომ შესაძლებელია ამასაც ჰქონდა ყური. ლოჭინის ნამოსახლარის მასალა ახ. წ. IV—VI სს-ით თარიღდება[93].

ხოვლე I-ის ამ ჯურის მეტად საინტერესო ჭურჭელი თხემის საკმაოდ მცირე ფართობიდან იქნა მოპოვებული და ამიტომ ჩვენ გვიჭირს იმის თქმა, დამახასიათებელია იგი ამ ჰორიზონტისათვის თუ — გვიანაა მოხვედრილი აქ, როგორც თითო-ოროლა ფრაგმენტი შუა საუკუნეების პერიოდისა. ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, რომ ხოვლე I პერიოდის სამოსახლო, რომელიც, ასე ვთქვათ, ინერციის ძალით განაგრძობს ცხოვრებას ძველ ნასახლევზე, უნდა დათარიღდეს დაახლოებით ძვ. წ. IV ს-ით.

---

[92] Г. А. Ломтатидзе, Археологические раскопки в Мцхета, Тб., 1955, с. 57—62. სამთავროს ქვევრსამარხების შესახებ ამჟამად, იხ. ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, მსკა, III, 1963, გვ. 140—147.

[93] რ. აბრამიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური გათხრები, საქ. სახელ. მუზ. მოამბე, XXIII—B, 1962, გვ. 203.

ამგვარად, რომ გავიმეოროთ ყველაფერი ზემოთქმულის შედეგად მიღებული დასკვნები ხოვლეს არქეოლოგიური ძეგლის კულტურულ ფენათა დაახლოებითი ქრონოლოგიური განსაზღვრის შესახებ, მივიღებთ ასეთ სქემას:

ხოვლე VIII პერიოდი — ძვ. წ. XV ს.
ხოვლე VII პერიოდი — ძვ. წ. XIV ს.
ხოვლეVI პერიოდი — ძვ. წ. XIII ს.
ხოვლე V პერიოდი — ძვ. წ. XII—X სს.
ხოვლე IV პერიოდი — ძვ. წ. IX—VII სს.
ხოვლე III პერიოდი — ძვ. წ. VI ს.
ხოვლე II პერიოდი — ძვ. წ. V ს.
ხოვლე I პერიოდი — ძვ. წ. IV ს.

## თავი XI

## ზოგადი დასკვნები

ხოვლეგორის ნამოსახლარი კომპლექსის გათხრის შედეგად გამოვლენილი კულტურა თავსდება იმ ვრცელი არქეოლოგიური კულტურის არეში, რომელიც გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის პერიოდში მოიცავდა ამიერკავკასიას. აღმოსავლეთ-ამიერკავკასიული კულტურა სადღეისოდ ზოგად ხაზებში კარგად არის ცნობილი ისეთი პირველხარისხოვანი არქეოლოგიური ძეგლების გათხრების შედეგად, როგორიცაა სამთავროს[1], დებედას ხეობის[2], თრიალეთის[3], დელიჟანის[4], ყალაქენტ-ქედაბეკის[5], მინგეჩაურის[6] და სხვ. სამაროვნები. მიუხედავად ლოკალური ვარიანტებისა მატერიალურ კულტურაში, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დიდი ხანია რაც გამოყოფილია სხვადასხვა მხარისათვის დამახასიათებელი არქეოლოგიური კულტურის წრეები (ლითონის ნაწარმის მიხედვით)[7], მათ ბევრი რამ საერთოც აქვთ და პირველ რიგში შავად და ლეგად გამომწვარი კერამიკული ნაწარმი, რომელიც ამას გარდა სხვადასხვა ლოკალურ კულტურას ცალკეული ჭურჭლის ფორმებისა და ორნამენტაციის მსგავსების მხრივაც აკავშირებს. ხოვლური კერამიკა, რა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს და იგი მსგავსებას ამჟღავნებს არა მხოლოდ მეზობელი რესპუბლიკებიდან ცნობილ სათანადო მასალასთან[8], არამედ გაცილებით უფრო შო-

---

[1] F. Bayern's Untersuchungen über ältesten Gräber — und Schätzfunde in Kaukasien, Berlin, 1885, SS. 27—40. Предметы древности в хранилище «Общества любителей Кавказской Археологии», Тиф., 1877.

[2] J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, t. I—II, Paris, 1889.

[3] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

[4] F. Bayern, იქვე, გვ. 1—26.

[5] А. А. Ивановский, По Закавказью, МАК, VI, М., 1911.

[6] Г. Асланов, Р. Ваидов, Г. Ионе, Древний Мингечаур, Баку, 1959.

[7] А. А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. ИГАИМК, вып. 120, 1935; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949.

[8] ყალაქენტ-ქედაბეკიდან, იხ. მაგ. А. А. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. X, 1, 6, 8; ტაბ. XII, 13; დელიჟანიდან, იხ. მაგ., F. Bayern, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVI, მინგეჩაურიდან,

რეული მხარეების განათხარ ჭურჭელთან. კერძოდ, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ჭურჭლის ფორმა და ორნამენტული მოტივი ანალოგიებს პოულობს, ერთი მხრივ, ერანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გათხრილი ერთ-ერთი ნამოსახლარი ბორცვის, გოდ-თეფეს, A პერიოდის კერამიკასთან[9], მეორე მხრივ, მსგავსი ელემენტები ჩანს თურქეთის ტერიტორიიდან, მაგალითად, ალიშარ IV-ის კერამიკაში[10] და სხვ.

მაგრამ განსაკუთრებულ სიახლოვეს ხოვლური მასალა ბუნებრივია, იჩენს მეზობელი მხარეების, ერთი მხრივ, თრიალეთისა და ქვემო ქართლის და, მეორე მხრივ, სამთავროს და შიდა ქართლის ცნობილ კულტურასთან. ამისი არაერთი მაგალითი ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ, კერამიკულ ნაწარმთან დაკავშირებით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხოვლეს უძველესი კერამიკა თავისი ტექნოლოგიური თვისებებითაც (თიხის კონსისტენცია, გამოწვის ხარისხი), და არა მხოლოდ ფორმების მიხედვით, ძლიერ მიემსგავსება სწორედ სამთავრულ (და შიდა ქართლის) მაღალხარისხოვან კერამიკას, რომლისთვის ისევე, როგორც ხოვლესთვის დამახასიათებელია ლაზათიანი ფორმის, ძირვიწრო და მხრებგანიერი (კვერცხისებური), აზიდული დერგები თუ ქოთნები, „ფრჩხილის“ ორნამენტით შემკული ყურიანი ქვაბქოთნების სიმრავლე, ჯამ-ლანგრების იდენტური ფორმები, ჭურჭლის კორპუსის გაპრიალება, შავი და ლეგა გამოწვა. მსგავსია შემკობის ხერხები და სახეებიც: ჭდეული სარტყლები, ამოკვეთილი სამკუთხედები, პრიალამერიდიანული ხაზები და სხვ. თრიალეთური კერამიკა (ბეშთაშენის, წინწყაროს, თაქ-ჭილისას სამაროვანი) უფრო მდარე ხარისხისაა, ვიდრე ხოვლური ან სამთავრული და ფორმებისა და ტექნოლოგიის მხრივაც განსხვავდება. ორნამენტული რეპერტუარიც უფრო შეზღუდულია. მაგალითად, თრიალეთური სამაროვნებისთვის საერთოდ იშვიათია, ხოლო ბეშთაშენში სულაც არ გვხვდება ცალყურა ქვაბქოთნები „ზოომორფული“ ყურითა და „ფრჩხილის“ ორნამენტით, რომლებიც, როგორც ვიცით, ფრიად დიდი რაოდენობით გვხვდება ხოვლეში.

ბეშთაშენში არ გვხვდება აგრეთვე ჭურჭლის მხრის „ფრჩხილის“ ორნამენტით შემკობის ხერხი, „ზოომორფული“ ყურები[11], ხოლო პრიალა ხაზებით დატანილი ორნამენტით შემკობა იშვიათია საერთოდ თრიალეთური სამაროვნების ჭურჭლეულისთვის. ეს ყველაფერი, პირუკუ, დამახასიათებელია ხოვლეს განათხარისათვის (და სამთავროსთვისაც).

მიუხედავად ამისა არის რიგი ელემენტებისა, რომელიც ახლოებს თრიალეთურ და ხოვლურ კერამიკას. ეს არის ზოგიერთი ორნამენტული ხერხი, პირველ რიგში ჭურჭლის ბაკოს შემკობის ხერხი, რაც თითქმის უცნობია სამ-

---

იხ. მაგ., Г. Асланов..., დასახ. ნაშრ., ტაბ. XXIX, 10—11; ტაბ. XXXIII, 4, 9 და სხვ. აგრეთვე: Г. Ионе, Глиняные сосуды-сапожки из Мингечаура. МКА, III, 1953, с. 36—59.

[9] T. Burton, Brown, Excavations in Azarbaijan, 1948, London 1951, pp. 155—162; fig. 35—41, fig. 14, pl. XIII, 356; XIV, 61.

[10] Erich F. Schmidt, The Alishar Hüyük, part I, OIP, vol. XIX, 1932. p. 244-251, fig. 317, 318, 320, 325, 326 შდ. აგრეთვე კერამიკული სადგარი ალაჯა-ჰუიუკიდან, იხ. Koşay Hâmit Zübeyr, Ausgrabungen von Alaca Höyük, Ankara, 1944, ტაბ. XXXV.

[11] მხოლოდ ერთ შემთხვევაში ტოლჩის ყურზე მუთაქისებური დანაძერწია, იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVIII.

თავროს სამაროვნისთვის, მაგრამ ჩვეულებრივია ბეშთაშენის უძველესი ჭურჭლეულისათვის.

კერძოდ, რიგი ჭურჭლისა, განსაკუთრებით მაღალყელიანი, ელიფსურ-მუცლიანი ჭილები და დაბალი, პირფართო, გვერდწიბოიანი ქვაბჭოთნები ბეშთაშენის სამარხებიდან შემკულია მარტივ ბაკოზე დატანილი ფართო და თხელი ირიბი ჭდეებით, რაც ჭურჭლის პირს „გრეხილის“ სახეს აძლევს[12]. უფრო იშვიათად თვით ბაკოა პროფილირებული და ასეთ შემთხვევაში მის კიდეს ღრმა, ირიბი „ფრჩხილის“ ორნამენტი შემოუყვება[13] (შდ. ხოვლე IV—№. 2048; ხოვლე III—№ 406. S; ხოვლე V—№ 2132).

დაახლოებით იგივე უნდა ითქვას ე. წ. „უნაგირა ყურებზე“, რომლებიც აგრეთვე იშვიათია სამთავროსათვის[14], მაგრამ დამახასიათებელია ბეშთაშენური მაღალყელიანი ჭილებისათვის[15]. საკუთრივ „უნაგირა ყურებს“ გარდა ბეშთაშენში (სამარხი № 1), როგორც ვიცით, გვხვდება მათი ვარიანტი ღრმა დანაჭდევებით ზურგზე, რომელიც იშვიათი არ არის ხოვლე V ჰორიზონტის მასალისათვის.

ზუსტ ანალოგიას პოულობს ხოვლური ფრაგმენტი გველის რელიეფური გამოსახულებით (IV ჰორიზონტი) ბეშთაშენური ქილების შემკულობაში[16]. ასევე ანალოგიურია ხოვლე III ერთ-ერთი დოქის ფრაგმენტის (№ 1287— S) ორნამენტაცია წინწყაროს სამაროვნის № 56 სამარხის წაბლისფრად გამომწვარი დიდი, სფერულმუცლიანი დოქის შემკულობისა: ხოვლურის მსგავსად ამასაც მხარზე ორი კონცენტრული რელიეფური სარტყელი შემოსდევს, რომელთა შორისაც მიძერწილია „მეჭეჭების“ მწკრივი (№ 826). ასეთივე „მეჭეჭებით“ და რელიეფური სარტყლებით სფერულ მუცელზე შემკულია კიდევ ერთი დოქი წინწყაროს სამაროვნიდან[17]. ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბევრი ნიშანდობლივი დეტალი ხოვლურ კერამიკას სამთავრულს გარდა აახლოებს თრიალეთურთანაც. ლითონიც, ბოლოს და ბოლოს, იგივეს მიუთითებს.

თუ ხოვლე VI ჰორიზონტში გვხვდება პატარა ზომის ოთხკუთხაგანივკვეთიანი თავხვია საკინძები, რომლებიც სამთავროს უძველესი სამარხებისთვისაა დამახასიათებელი, მათ გვერდით გვაქვს ბრინჯაოს დაღარულქედიანი სატევარი, რომლის ანალოგიც ცნობილია ბეშთაშენის № 20 სამარხიდან[18]. უფრო გვიან, ხოვლე II პერიოდში, გვხვდება, როგორც ვიცით, ბრინჯაოს კონუსური საკინძი, რომელიც დასტურდება თრიალეთში და კიდევ უფრო სამხრეთითაც, მაგალითად, დმანისის ნეკროპოლში[19]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხოვლეგორის სამაროვნიდან მომდინარე მასალაც ამკარად ამჟღავნებს მსგავსებას, როგორც სამთავროსთან, ასევე თრიალეთთანაც.

---

[12] იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. XLVIII, ზემოთ და ქვემოთ მარცხენა კუთხეში.

[13] სამარხი № 21, ინვ. № 261, სამარხი № 4, ინვ. № 605; სამარხი № 20, ინვ. № 246.

[14] ასეთი „ყურებიანი“ ჭურჭელი საკმაო რაოდენობითაა 1962—63 წწ. გათხრილი სამაროვნიდან კასპში (მ. ბარამიძის ცნობა).

[15] მაგ., იხ. სამარხი № 20, ინვ. № 251; სამარხი № 11; სამარხი № 19, ინვ. № 229.

[16] იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. LI.

[17] იხ. იქვე, ტაბ. $XXIX_2$.

[18] იხ. Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., ტაბ. L.

[19] იხ. იქვე, გვ. 48, სურ. 46; Г. Ниорадзе, Могильник «Стеклянного завода», с. 99, рис. 8—12.

ჩრდ. კავკასიაზე მიუთითებს ორფერდასახურავიანი საკინძი ხოვლე V პერიოდიდან[20] და შესაძლებელია აგრეთვე ორთავიანი საკინძი IV ჰორიზონტის ბოსლიდან[21]. აღსანიშნავია, რომ რკინის „ასტამი“, აღმოჩენილი ხოვლეგორის V ჰორიზონტის ე. წ. „ვერძისთავებიან ოთახში“ სრულ ანალოგიას პოულობს ა. ივანოვსკის მიერ ჭედაბეკთან გათხრილი სამაროვნის № 84 სამარხის ასეთსავე ნივთთან, რომელსაც გამთხრელი, სავარაუდოდ, ლა-ტენის ტიპის ცულისპირად თვლის[22]. საინტერესოა, რომ ამ სამარხში ლითონის სხვა ინვენტართან ერთად (განჯა-ყარაბაღული ტიპის ბრინჯაოს სატევარი, რკინის მასრაგახსნილი შუბისპირი), აღმოჩნდა ბრინჯაოს რვა ცალი ნახევარსფერული მოყვანილობის წრიული ღილი[23] ზუსტად ისეთივე ტიპისა, როგორიც აგრეთვე ხოვლეგორის V ჰორიზონტიდან გვაქვს.

ხოვლეგორის არქეოლოგიური მასალა მჭიდრო კავშირს ამჟღავნებს საკუთრივ შიდა ქართლის კულტურასთანაც. პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს ნაცარგორული II და III ფენის მასალა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მთლიანად არ არის გამოქვეყნებული. მსგავსებაა, როგორც ჭურჭლის ტექნიკურ-კერამიკულ თვისებებში[24], აგრეთვე ფორმებშიც და შემკობის ხერხებში[25]. კერძოდ, ამ მხრივ, საინტერესოა, რომ სწორედ ნაცარგორის III ფენისთვისაა დამახასიათებელი ისეთი ორნამენტული სახეები, როგორიცაა კონცენტრული წრეხაზები, დაშტრიხული რომბების მწკრივები, და სოლისებრი ნაჭდევები[26] — ორნამენტაცია, რომელიც ხოვლესთვის, ფაქტიურად, უჩვეულოა. საინტერესოა, რომ ნაცარგორაზევე გვხვდება გველის რელიეფური გამოსახულება[27]. შიდა ქართლის უძველესი ნამოსახლარი ბორცვების ზედაპირიდან აკრეფილი მასალაც, რომელიც ნაცარგორულის იდენტურია, ასეთსავე მიმართებაშია ხოვლეს კერამიკასთან[28].

მეორე მხრივ, შიდა ქართლური და, კერძოდ, ნაცარგორული ამ ხანის ჭურჭლის ორნამენტიკაში გვხვდება ისეთი სახეები, რომლებიც ხოვლეში სრულიად არ დაგვიდასტურებია. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ჭდეული ე. წ. ცრუ სპირალები[29]. ამოკაწრვით თა ამოკვეთით დატანილი მცენარეუ-

---

[20] П. Уварова, Могильники Северного Кавказа, МАК, VIII, М., 1900, стр. 52—53, таб. XL, 2.

[21] შდ. იქვე, გვ. 52, ნახ. 52, ტაბ. XXXIX$_5$. თუმცა მსგავსი დიდი ზომის (უფრო არქაული?) საკინძი გვაქვს სამთავროს № 109 ორმოსამარხიდან (1939 წ.). (ხოვლურის იდენტური საკინძი ამჟამად ცნობილია კასპის სამაროვნიდანაც, იხ. მ. ბარამიძე, კასპის სამაროვანი, მსკა, IV, 1965. გვ. 54, ტაბ. I, 5).

[22] А. Ивановский, დასახ. ნაშრ., გვ. 150, ტაბ. V, 12.

[23] იქვე, ტაბ. VIII, 12—13.

[24] გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 247.

[25] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года, рис. 24—26, табл. XLV$_{1, 2, 6}$; XLVI—XLVIII; გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. VIII$_1$, ტაბ. V$_{6-7}$.

[26] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 58, ნახ. 26$_1$, ტაბ. XLV$_{4, 8}$; გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. X$_{6, 7}$.

[27] გ. გობეჯიშვილი, იქვე, გვ. 251—252.

[28] დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 192, ტაბ. XXII$_2$.

[29] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 60, ნახ. 25$_2$, ტაბ. XLV$_9$; გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 251, ტაბ. X$_{2, 4}$.

ლი[30] და ცხოველური[31] მოტივები და სხვ. ხოვლეში არა გვაქვს შემთხვევა ჭურჭლის კოჭისებური ანდა ცხოველთა თავის ქანდაკებით შემკული ყურების აღმოჩენისა[32] და სხვ. ხოვლეში არა გვხვდება აგრეთვე მეანდრის მოტივი, რომლითაც შემკულია ნაცარგორის II ფენის ერთი ჭურჭელი[33] და რომელიც ამ მხრივ, ნაცარგორულ კერამიკას უკავშირებს, ერთი მხრივ, განჯა-ყარაბაღულ ლოკალურ კულტურას, დახასიათებულს ე .წ. ინკრუსტირებული კერამიკით[34] და, მეორე მხრივ, ყობანის კერამიკასაც, რომელიც აგრეთვე ინკრუსტირებულია თეთრი საღებავით[35].

ხოვლური მონაპოვრის მიხედვით გარკვეული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსთანაც ჩანს. კერძოდ, ამაზე უნდა მიუთითებდეს ე. წ. სეგმენტისებური იარაღი, რომელიც დამახასიათებელია[36] კოლხური კულტურისთვის და რომელსაც ბ. კუფტინი სასოფლო-სამეურნეო იარაღად[37] ან ტყავის საჭრელ დანად მიიჩნევს[38]. კავშირი ამ მიმართულებით კერამიკაშიც ისახება, თუკი, მაგალითად, ე. წ. „ზოომორფულ“ ყურებს გავითვალისწინებთ, რომლებიც გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა ვარიანტული სახესხვაობით[39].

ამ ურთიერთობასთან დაკავშირებით მეტად გონებამახვილური და საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნაცარგორული ანაკრეფი კერამიკული მასალის ანალიზის საფუძველზე ბ. კუფტინს, რომლის კონცეფციის თანახმად გვიანი ბრინჯაოს ხანაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად დასტურდება ძველ კოლხეთთან ეთნიკურად და კულტურულად მჭიდროდ დაკავშირებული მოსახლეობა, რომელიც განიცდის აღმოსავლურ-ქართული ტომების შემოტევას[40]. ნაცარგორის ზედაპირიდან ანაკრეფ კერამიკულ მასალაში იგი ორ ჯგუფს განარჩევს: პირველი, ქრონოლოგიურად უფრო ძველი კერამიკა, „საღარცხლით“ (гребенчатый штамп) დაჭანილი ორნამენტული სახეებით, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კოლხეთის დაბლობის სამოსახლოების (ნაოხვამუ) ძირითადი ფენისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან. ამაზევე მიუთითებს „ორრქიანი“ ყურები[41]; მეორე — ქრონოლოგიურად უფრო ახალი, რომელსაც შეიცავს ნაცარგორის ზედა ფენა, ხასიათდება ძირის შემკობით „ფრჩხილის“ ორნამენტით, სოლისებრი და კონცენტრულ-წრეხა-

---

[30] გ. გობეჯიშვილი, იქვე, გვ. 247; Б. А. Куфтин, იქვე, ტაბ. XLV$_7$.

[31] გ. გობეჯიშვილი, იქვე, გვ. 251, ტაბ. X$_7$ (მარჯვენა კიდეზე).

[32] იქვე, გვ. 251, ტაბ. IX$_1$; ტაბ. X$_1$, 3, 5.

[33] იქვე, გვ. 247, ტაბ. V$_4$.

[34] А. Ивановский, დასახ. ნაშრ., ტაბ. XIV$_{2-4-5, 7-8, 10-11, 16-17}$.

[35] П. Уварова, დასახ. ნაშრ., გვ. 72—75, ტაბ. XLI$_1$; შდ. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, 1950, с. 162.

[36] А. А. Иессен, დასახ. ნაშრ.; საქართველოს არქეოლოგია, თბილისი 1959, გვ. 149.

[37] Б. А. Куфтин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, საქ. სახელ. მუზ. მოამბე, XII-B, 1944, გვ. 318—320.

[38] მისივე, Материалы к археологии Колхиды, I, 1949, с. 221—223.

[39] მისივე, Материалы к археологии Колхиды, II, с. 124—126 (დაბლაგომიდან); сс 198—200, 223—227, 233, 237 (ნაოხვამუ); с. 239 (დიხა-გუძუბა).

[40] მისივე. К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе, с 328. 332; მისივე, Археологическая маршрутная экспедиция, с. 63, შდ. იქვე, გვ. 52.

[41] მისივე. Археологическая маршрутная экспедиция, с. 62.

ზოვანი შტამპით და აგრეთვე წვრილი პრიალა ხაზებით დატანილი ორნამენტით[42]. ეს უკანასკნელი ხერხი ჭურჭლის შემკობისა, სწორხაზოვანი და ტალღური ღარები, ბ. კუფტინის მიხედვით, ჩვეულებრივია ახილარის (თრიალეთი) ზედა ფენისა და მუხანათ-თეფეს (ერევანი) კერამიკისათვის[43]. ამ ჯურის კერამიკა ბ. კუფტინს დადასტურებული აქვს შიდა ქართლის რიგ „საკულტო ბორცვებზე“[44].

კერამიკის ამ ორი, ორნამენტული ხერხების მიხედვით განსხვავებული, ჯგუფის კონსტატაცია შიდა ქართლის ტერიტორიაზე ბ. კუფტინს მისი ზემოხსენებული კონცეფციის დამადასტურებელ ფაქტად ესახება და ამდენად, პირველს, მისი აზრით, უფრო ძველს იგი დასავლურ-ქართულ ტომებს უკავშირებს[45]. ხოლო მეორეს — აღმოსავლურ-ქართულს[46] და დასძენს: „...несомненно эта керамика ..... внесена сюда одним из древних культурных потоков восточно-грузинских племен, захвативших северо-восточную окраину территории принадлежащую ранее к одной общей с Колхидой этно-культурной области»[47].

აქ, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ბ. კუფტინის ამ მოსაზრებების გარჩევა, მაგრამ ჩვენ თუ ისინი დავიმოწმეთ, ეს იმიტომ, რომ ხოვლეს განათხარი, რომელიც შეიცავს ორივე ზემოხსენებული ჯურის კერამიკას, გარკვეულად ეხმაურება ამ პრობლემას.

ჯერ ერთი უნდა აღვნიშნოთ, რომ „სავარცხლის შტამპში“ (гребенчатый штамп). ბ. კუფტინი გულისხმობს ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი ჭდეული წერტილებით შექმნილ („დატიხრული“ შტრიხებით, როგორც ჩვენ ვუწოდებთ) ორნამენტულ სახეებს (ირიბი შტრიხები, თევზიფხური და სხვ)[48], ხოლო იმას, რასაც ჩვენ, მაგალითად, „ირიბწერტილოვან შტრიხებს“ ვუწოდებთ და რაც ფაქტიურად იგივე „სავარცხლის შტამპია“, მხოლოდ წერტილები უფრო შორიშორაა დაჭდეული, იგი რატომღაც პირველის გვიანდელ მინაბაძად თვლის «в форме применения зубчатого колесика»[49]. ეს უკა უკანასკნელი მოტივი ხოვლეს განათხარში, როგორც ვიცით, დიდი რაოდენობით გვხვდება თითქმის ყველა ჰორიზონტში. (ხოვლე VIII—III). მაგრამ ხოვლესთვის არ არის იშვიათი საკუთრივ ბ. კუფტინისეული „სავარცხლის შტამპი“ და, რაც მთავარია, იგი უძველესი ჰორიზონტებიდანვე მეორე გვარის ორნამენტულ სახეებთან ერთად გვხვდება[50]. კიდევ მეტი, ხოვლეს უძველეს, VIII ჰორიზონტში, რომელიც მართალია, ფრაგმენტულად შემოინახა სრულიად არ დაგვიდასტურებია „სავარცხლის შტამპი“, მაშინ როდესაც პრიალა ხაზებითა

---

[42] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 60—63; შდ. გვ. 52.
[43] იქვე, გვ. 62 და 52.
[44] იქვე, გვ. 63.
[45] იქვე, გვ. 62—63.
[46] იქვე.
[47] იქვე, გვ. 52.
[48] იხ. მაგ., იქვე, გვ. 62, ტაბ. XLVI.
[49] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, стр. 165—166; შდ. იქვე, გვ. 163.
[50] იხ. მაგ., VII ჰორიზონტისათვის: №№ $269_2$—61; $2379_{30}$ და სხვ.
VI ჰორიზონტისათვის: №№ 175—61; 127—61 და სხვ.
V ჰორიზონტისათვის: №№ $323_{12}$—61; $2334_3$, $2160_6$ და სხვ.
IV ჰორიზონტისათვის: №№ 1973, $2288_{15}$ და სხვ.

და სხვა ბ. კუფტინისეული მეორე ჯგუფის კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტული ხერხით შემკული ფრაგმენტები თუ მთლიანი ჭურჭლები საკმაო რაოდენობითაა[51].

ანგვარად, როგორც ვხედავთ, ხოვლეს, როგორც კარგად სტრატიფიცირებული ძეგლის მონაცემები არ ადასტურებს ბ. კუფტინის ზემოხსენებულ მოსაზრებებს გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის შიდაქართლური კერამიკის მონაცვლეობის შესახებ. არ ადასტურებს, ყოველ შემთხვევაში, ხოვლეს მიკრორაიონის მიმართ. რაც შეეხება ნაცარგორას, რომლის ზედაპირიდან ანაკრეფ მასალაში, მართლაც აღმოჩნდა ერთი ფრაგმენტი ზედმიწევნით მსგავსი ნაოხვამუს კერამიკისა[52], გათხრების შედეგების საბოლოო გამოქვეყნებამდე ძნელია რამის თქმა. ბ. კუფტინის სტრატიგრაფიული დაკვირვებანი[53] არ შეიძლება ზუსტი ყოფილიყო, რამდენადაც მას ძეგლი არ გაუთხრია, ხოლო ნაცარგორის გამთხრელის, გ. გობეჯიშვილის წინასწარულ ანგარიშში რაიმე სათანადო მითითება არ გვხვდება[54].

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ „სავარცხლის შტამპი“ სრულიადაც არ არის შემოზღუდული აღმ. საქართველოში მხოლოდ შიდა ქართლის ტერიტორიით, როგორც ამას ფიქრობდა ბ. კუფტინი, არამედ გვხვდება ქვემო ქართლშიც, იმავდროინდელ და იმავე ტიპის სამოსახლო ბორცვების ზედაპირულ მასალაში[55].

ანგვარად, ჩემი აზრით, „სავარცხლის შტამპით“ შემკული ხოვლური ჭურჭელი არ გამოდგება დასავლეთ საქართველოსთან მჭიდრო კულტურული კავშირისა და უფრო შორს წასული დასკვნების გასაკეთებლად, მით უმეტეს, რომ თუკი ორნამენტის დატანის ხერხი ერთია („სავარცხლის შტამპი“), სამაგიეროდ თვით მისი (ორნამენტის) ჭურჭელზე სივრცობრივი განაწილება აშკარად სხვადასხვაა: აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც წესი — ჰორიზონტულ სარტყლებად, დასავლეთ საქართველოში (ნაოხვამუ), პირუკუ, — ვერტიკალურ ან ირიბ სარტყლებად[56]. ასე რომ, ჩემი აზრით, ზემოხსენებული „სავარცხლის შტამპი“ აღმოსავლური და დასავლური კულტურული წრეების განმასხვავებელ ნიშნად უფრო გამოდგება, ვიდრე მათი მჭიდრო კავშირის დასტურად.

ბაგრატ როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურული ურთიერთობა დას. საქართველოსთან კერამიკაშიც ჩანს. ამას კარგად მოწმობს გარდა ე. წ. „რქებიანი“ თუ „ზოომორფული“ ყურების დადასტურებისა ხოვლეში, თვით ამგვარი ყურების დამატებითი შემკობის წესიც. კერძოდ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ხოვლე VII ჰორიზონტში აღმოჩენილი „რქებწაკვეთილი“ ყური შემკული ჭდეული შტრიხებით (№ $318_1$—61), რომელიც ახლო ანალოგიას პოულობს ნაოხვამუს ქვედა ფენის ასეთსავე ყურთან[57]. ნაოხვამუსთვის აგრეთვე დამახასია-

---

[51] იხ. მაგ., №№ 264-61; 289-61; 274-61; 303-61.

[52] Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция, с. 62, таб. $LII_{1-2}$.

[53] იქვე, გვ. 63.

[54] გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 247, 251.

[55] გ. გრიგოლია, თ. ტატიშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. VI.

[56] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, таб. 47; $55_1$. рис. $48_{56, 58, 59, 69, 71}$ და სხვ. მართალია უფრო იშვიათად, მაგრამ აქაც გვხვდება ჰორიზონტული სარტყლები, იხ. იქვე, ნახ. $48_{63, 66}$ და სხვ.

[57] იქვე, გვ. 233, ტაბ. $55_4$; ნახ. $48_{115}$.

თებელია ყურის ზურგის შემკობა შვეული, ჰორიზონტული ან ირიბი ღარებით[58], მსგავსად ხოვლე VII-ის ყ რ ბ ა (№№ 269—61; 2369₂). შესაძლებელია დასავლეთ საქართველოზევე მიუთითებდეს ე. წ. „პარკეტისებური ორნამენტი“[59] (№ 2191₁), ჭურჭლის კორპუსის შემკობა თხელი ვერტიკალური ღარებით[60] (№. 2359₂—V ჰორიზონტი; № 1929—IV ჰორიზონტი) და აგრეთვე ერთი დიდი წითელკეციანი (მეორადი გამოწვის შედეგად) ჭურჭლის ფრაგმენტი, შემკული დაბალი რელიეფის სპირალური ორნამენტითა და თევზიფხური შტრიხებით (№ 2341₂—V ჰორიზონტი). მსგავსად, მხოლოდ სხვაგვარი მანერით ორნამენტირებული ფრაგმენტი ცნობილია აგრეთვე ნაოხვამუდან[61].

ამგვარად, ზემომოტანილი ანალოგიები აშკარად უნდა უჩვენებდეს ხოვლური მასალის ე. ი. ხოვლეგორის ნამოსახლარისა და მისი კულტურის მეტნაკლებად მჭიდრო კავშირს მეზობელ მხარეებთან. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე უფრო ახლო მსგავსებას იგი, ჯერჯერობით, სამთავროსა და შიდა ქართლის ტერიტორიასთან ამჟღავნებს (ჭურჭლის ტექნიკურ-კერამიკული თვისებები, ფორმები, ჭდეული და პრიალა ორნამენტაცია).

მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხოვლეს ნამოსახლარის გათხრით გამოვლენილი კულტურა, ძირითადად გამოხატული კერამიკული ნაწარმით, ამ უკანასკნელის მიხედვითვე წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოში გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიური კულტურის აშკარად გამოხატულ ერთ-ერთ ლოკალურ წრეს. ამის დასადასტურებლად გამოგვადგება თუნდაც მხოლოდ ჭურჭლის ბაკოს შემკობის ის წესი („გრეხილი სალტე“), რომელიც ჯერჯერობით მაინც, მხოლოდ ხოვლური განათხარისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც სხვადასხვა ვარიანტების სახით გვხვდება აქ უძველესი პერიოდიდან, ვიდრე III ჰორიზონტამდე ჩათვლით. ხოვლესთვის ჩანს დამახასიათებელი აგრეთვე ჭურჭელი დაწახნაგებული კორპუსით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სულ ოთხი ფრაგმენტი აღმოჩნდა, ჩემთვის სხვაგნით უცნობი ასეთი ჭურჭლისა (№ 306₁—61—VII, № 1912—V, № 1847—IV ჰორიზონტები, № 2191₃ — ნაძრავი ფენიდან). ზოგიერთი ორნამენტული სახეც უნდა მოწმობდეს ამას (შვეული თევზიფხური კიბეები — ჭდეული და პრიალა, რელიეფური წიბო ჭდეული თევზიფხურით შემკული და სხვ....).

რომ ხოვლე კერამიკული წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო ამას თვით მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმის გარდა, მოგვიანო ხანისთვის აქ აღმოჩენილი კერამიკული საწარმოც ხომ კარგად მოწმობს.

ხოვლეს გათხრების შედეგად გამოვლენილი მატერიალური კულტურა და, კერძოდ კი, კვლავ კერამიკული მასალა სხვა მხრივაცაა საინტერესო. ჩვენ ცალკეული ჰორიზონტების კერამიკული ფრაგმენტების აღწერისას აღვნიშნავდით ამა თუ იმ ფორმას ან ორნამენტს, რომელიც მხოლოდ ამ ჰორიზონტისთვის თუ ჰორიზონტებისთვის იყო დამახასიათებელი. ასეთი შემთხვევები არც თუ ისე ბევრია. ეს, არ თქმა უნდა, აძნელებს სხვადასხვა პერიოდის

---

[58] Б. А. Куфтин, იქვე, ტაბ. $62_{1-2}$, ნახ. $48_{90-91, 105-108}$.

[59] იქვე, გვ. 230; ტაბ. $62_1$ ნახ. $48_{109}$.

[60] იქვე, ტაბ. $55_2$; $57_{1-2}$; ნახ. 49а, в და სხვ.

[61] იქვე, გვ. 221, ტაბ. $48_3$.

დიფერენციაციის საქმეს, რაც, ჯერჯერობით, ამიერკავკასიის გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის არქეოლოგიის მეტად მძიმე ნაკლს წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ხოვლემ ამ მხრივ იმედები არ გაამართლა. პირუკუ, როგორც ვიცით, ხოვლეგორის ნამოსახლარზე სტრატიგრაფიული (და ქრონოლოგიური) ჰორიზონტების გამოყოფა მოხერხდა სამშენებლო პერიოდების მიხედვით ანუ, ძირითადად, ერთმანეთზე განლაგებული ნაგებობებისა და მათთან დაკავშირებული კულტურული ფენების მიხედვით. ეს რომ არა, სხვაფრივ, ჩვენ უძველესი ჰორიზონტების (VIII—IV) კერამიკის გამოყოფა ერთმანეთისაგან გაგვიჭირდებოდა, რადგან, როგორც ჩანს, ძლიერ ნელა იცვლებოდა ფორმები და ორნამენტაცია, იგივე რჩებოდა ტექნოლოგიაც. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკის ქრონოლოგიური კლასიფიკაცია ნამოსახლარის გათხრებისას, როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს მონოქრომულ, მოუხატავ კერამიკასთან, მეტად ძნელია თუ არ—შეუძლებელი, რადგან ჩვენ ხელთაა, ძირითადად, ჭურჭლის ცალკეული ნატეხები, რაც ფორმის აღდგენის საშუალებას იშვიათად იძლევა. კერამიკის კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებელი და მიზანშეწონილია აღდგენილი ფორმების მიხედვით, რის საშუალებასაც, ჩვეულებრივ, სამაროვნის გათხრა იძლევა, ხოლო ხოვლეში სულ თხუთმეტიოდე სამარხი გაითხარა, რაც საამისოდ, ცხადია, არასაკმარისია.

ეს სამწუხარო, არქეოლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ფაქტი, სხვამხრივ ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა: ცხადია, რომ ჩვენ აქ კულტურულ თანამომდევნოებასთან გვაქვს საქმე და რადგან ამის გამომხატველი, პირველ რიგში, სწორედ კერამიკა და მისი ორნამენტაციაა და არა სხვა რაიმე (მაგალითად, ლითონის იარაღი), ჩვენ კულტურულთან ერთად ეთნიკურ თანამომდევნოებაზედაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

ამგვარად, სრულიად ძალდაუტანებლივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხოვლეს უძველეს ნამოსახლარზე (VIII—IV ჰორიზონტები) ცხოვრობდა კულტურულად და ეთნიკურად ერთი მოდგმის მოსახლეობა, რომლის შემოქმედებასაც წარმოადგენს ხოვლური შავლეგა (და წაბლისფერი) კერამიკა. რადგან ეს უკანასკნელი იგივე ფორმებითა და ორნამენტაციით განაგრძნობს არსებობას III და II (და I?) ჰორიზონტშიც, უნდა დავასკვნათ რომ ამ პერიოდშიც იმავე მოსახლეობასთან გვაქვს საქმე. ზემოაღნიშნული ეს გარემოება მტკიცდება არა მარტო კერამიკის შესწავლით, არამედ მატერიალური კულტურის სხვა გამოვლინებებითაც (ერთიანი სამშენებლო ტექნიკა VIII—III ჰორიზონტებში; იდენტური საცხობი ღუმლები VI—III ჰორიზონტებში; ცხვრის თავის ჭანდაკებები VIII—V ფენებში). ასე რომ, დაახლოებით ერთი ათასწლეულის მანძილზე ჩვენ ხოვლეს ნამოსახლარზე ეთნიკურად ერთსა და იმავე მოსახლეობას ვხედავთ. რა თქმა უნდა, აქ ერთ სოფელზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მაინცდამაინც მთელ (თუნდაც მცირე) მხარეზე. ეს ერთი დასკვნა.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება ვლინდება იმავე ხოვლური კერამიკის შესწავლით. დაწყებული IV პერიოდიდან, როგორც ჩანს, მისი ბოლო ფაზიდან ჩნდება სრულიად ახალი, ხოვლესთვის აქამდე უცნობი, წითლად გამომწვარი კერამიკა. თუ IV ჰორიზონტში თითო-ოროლა ცალი გვაქვს ამ ჯურის ჭურჭლეულისა, III-ში იგი უკვე საკმაოდ ინტენსიურადაა წარმოდგენილი და თანაბარი რაოდენობით გვხვდება შავ და ლეგა ნაწარმთან ერთად. II პერიოდში წითლადგამომწვარი კერამიკა აშკარად ჭარბობს და გაბატონე-

ბულია. I-ში იგი თითქმის ერთადერთია. უაღრესად საინტერესოა რომ წითლადგამომწვარი ჭურჭელი დიდ ნაწილში სრულიად არ ამჟღავნებს რაიმე გენეტიკურ კავშირს მის წინამორბედ შავ და ლეგა კერამიკასთან. პირუკუ, თვით ტექნოლოგიური სხვაობის გარდა, იგი გვიჩვენებს სრულიად ახალ ფორმებს: გრეხილსარტყლიანი ქვევრები, დერგები, ჭილები, ტუჩიანი ხელადები („სამტუჩა"), მილიანი ხელადები, ძაბრი, ბოლოს და ბოლოს თვით ჯამ-ლანგრები...

გარდა ამისა ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ წინააღმდეგ მისი წინამორბედი და თანადროული შავლეგა ჭურჭლისა, წითლადგამომწვარი — სადაა და არა აქვს არავითარი ორნამენტი (გამონაკლისს წარმოადგენს: რელიეფური გრეხილი ქვევრის ყელზე — თავისთავად ესეც უცხო ელემენტი; მეჭეჭისებური დანაძერწი დოქების ყურის თავის კიდეებზე; უდებად დატანილი რადიალური ხაზები თითო-ოროლა ჯამის ფსკერზე — უფრო ზედაპირის მოგლესვის ნიშანი, ვიდრე საგანგებო ორნამენტი: ასევე უდებად შესრულებული ძლივსშესამჩნევი პრიალა წვრილი ხაზების ტეხილი I ჰორიზონტის ორ ჭურჭელზე). სრულიად ახალი მოვლენაა აგრეთვე ჭურჭლის მთლიანად ან ნაწილობრივ შეღებვა წითელი საღებავით — წერნაქით.

ყველაფერი ზემოთქმული სრულიად უდავოდ გვარწმუნებს, რომ წითლადგამომწვარი და წითლადშეღებილი ჭურჭლის გაჩენის ფაქტი ხოვლეს ნამოსახლარზე მოწმობს ახალი კულტურული ნაკადის შემოჭრას. კიდევ მეტი. მე მგონია, რომ აქ მხოლოდ კულტურულ გავლენაზე ლაპარაკი სწორი არ იქნება — იმდენად განსხვავებული და თავისთავადია ეს ახალი კერამიკა. და, ამავე დროს, იმდენად უეცარი, სწრაფი და მძლავრი ჩანს ცვლილება.

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული წითლადგამომწვარი კერამიკა მიგვითითებს ხოვლეში ახალი ეთნიკური ელემენტის შემოჭრაზე, რომელმაც თან ახალი კულტურული ნაკადი შემოიტანა.

შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ვთქვით, ცვლილება საკმაოდ უეცარი, სწრაფი და მძლავრი ჩანს, მაინც აქ ლაპარაკი რაიმე კატასტროფაზე ან ძალდატანებაზე არ იქნებოდა მართებული. საამისო საბუთებს ხოვლეს ნამოსახლარის IV ჰორიზონტი არ იძლევა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ახალი ეთნიკური ელემენტის არა ძალდატანებით შემოჭრასთან, არამედ — ინფილტრაციასთან. საკმაოდ ინტენსიურ, მაგრამ მაინც ინფილტრაციასთან, რასაც სრული სიცხადით მოწმობს, როგორც ძველი, ადგილობრივი კერამიკის თანაარსებობა შემოტანილთან, აგრეთვე ძველი ყოფაცხოვრებითი ტრადიციების არსებობაც (სამშენებლო ტრადიცია, საცხობი ღუმლები...).

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხოვლეში უძველესი პერიოდიდანვე არსებობდა მძლავრი, თავისთავადი კერამიკული ცენტრი, და ვიკარაუდებთ, რომ ნაწილობრივ მაინც ტეხილი კერამიკულ წარმოებაში ადგილობრივ ნიადაგზე მოხდა[62], მაშინაც კი უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ფაქტი თანადაემთხვა ახალი ეთნიკური და კულტურული ელემენტის შემოჭრას ხოვლეში.

---

[62] მართლაც, შეიძლება თითქოს ზოგიერთი წითლადგამომწვარი ჭურჭელი შავ და ლეგა ჭურჭელს დავუკავშიროთ: დიდი დოქები ყურზე მეჭეჭებით, ზოგიერთი, არამკვეთრად პროფილირებული ჯამ-ლანგარი, ქვევრები და საერთოდ სქელკეციანი ჭურჭელი და სხვადასხვა.

საიდან უნდა ვივარაუდოთ ამ ახალი ელემენტის შემოჭრა?

მე ვფიქრობ — სამხრეთიდან.

საკმარისია ხოვლური წითელი კერამიკა შევადაროთ ურარტული ცენტრებიდან ცნობილ სათანადო მასალას, რომ მათ შორის აშკარა მსგავსება ან იდენტურობა დავინახოთ.

კერძოდ, ხოვლური ქვევრისპირები დამახასიათებელი სამკუთხა პროფილის ბრტყელბაკოიანი ყელით, რომლის ძირსაც ამკობს მაღალი რელიეფის „გრეხილი“ სარტყელი აშკარა მსგავსებას ამჟღავნებს კარმირ-ბლურის გათხრებიდან ცნობილ კარასებთან. ამგვარი კარასები ცნობილია ურარტუს სახელმწიფოს ცენტრიდან, თოფრახ-კალედან და აგრეთვე ასურეთის ტერიტორიიდან[63].

სრულიად იდენტურია აგერთვე ხოვლე III და ხოვლე II პერიოდებისათვის დამახასიათებელი „სიგარისებური“, გრძელტანიანი ჭილები იმავე ურარტული ცენტრიდან ცნობილი ე. წ. „სალუდე“ დერგებისა[64]. ორივეგან გვხვდება სამყურა ბალახის ფოთლის მოყვანილობის პირიანი დოქები თუ ხელადები[65]. მსგავსია აგრეთვე ხოვლური და ურარტული პირშეზნექილი და პროფილირებული თასები[66]

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ კარმირ-ბლურის გათხრების დროსაც აღმოჩნდა ხოვლურის სრულიად ანალოგიური კერამიკული ძაბრი[67] და აგრეთვე კერამიკული ჩარხი[68].

მსგავსება მხოლოდ ფორმალური ანალოგიით არ ამოიწურება, ტექნოლოგიური თვისებებითაც ეს ჭურჭელი ერთნაირია: დაწმენდილი თიხა, მაღალხარისხოვანი თანაბარი გამოწვა, წითელი კეცი, გაპრიალებული და წითლად შეღებილი ზედაპირი[69]. თუმცა აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ურარტული ცენტრებიდან მომდინარე ეს კერამიკა, მაინც უფრო მაღალხარისხიანი ნახელავია.

დასასრულს, ხოვლეში დამოწმებულია წითელკეციანი კერამიკის დამზადების ტექნიკის ზუსტად ის წესი, რომელიც ასხვავებს ურარტულ კერამიკას

---

[63] Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), 1959, с. 191; მისივე, Кармир-блур, II, Л., 1952, с. 16, рис. 3, рис. 35; К. Л. Оганесян, Арин-берд, I, Ер., 1961, с. 43, рис. 22.

[64] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, I, Л., 1950, с. 28, рис. 10; მისივე, Кармир-блур, II, таб. 22—23; მისივე, Кармир-блур, III, Л., 1955, с. 21, таб. IX; А. А. Мартиросян, Город Тейшебаини, 1961, с. 115, 122, 134—135, рис. 45.

[65] Б. Б. Пиотровский, Ванское царство, с. 193, рис. 51; А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., с. 115, рис. 46.

[66] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, III, с. 21, таб. IX; Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит. საქ. სახელმ. მუზ მოამბე, XIII-B, 1944, с. 18—19, рис. 15—16$_3$ (მალაქლუდან), с. 22, рис. 19 (არმავირ-ბლურიდან). შდ. H. H. von der Osten, Die urartäische Töpferei aus Van und die Möglichkeiten ihrer Einordnung in die anatolische Keramik, I. Orientalia, v. 21, 1952, S. 310, Abb., I, S. 312, Abb. VIII.

[67] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, II, с. 19, рис. 5.

[68] მისივე, Кармир-блур, I, с. 18; В. С. Сорокин, Раскопки древнего поселения, Кармир-блур, II, с. 86, рис. 46.

[69] Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრ., გვ. 17—23; Б. Б. Пиотровский, Ванское царство, с. 193. ვ. სოროკინი, რომელმაც დეტალურად შეისწავლა კარმირ-ბლურის ნამოსახლარის კერამიკა წითლად გამოწვას და გაპრიალებას ტიპიურად ურარტულ ტექნიკურ ხერხად თვლის, იხ. მისი ზემოდასახელებული წერილი, გვ. 83, შდ. А. А. Мартиросян, დასახ. ნაშრ., გვ. 120, 133.

ბერძნული ან რომაული მსგავსი (წითელლაკიანი) კერამიკისაგან[70]. ერთ-ერთი წითლადგამომწვარი დოქი, დამზადებული დაწმენდილი თიხისაგან, ამოვლებული ყოფილა ასეთივე თიხის თხელ ანგობში და გამომწვარი ისეთ ტემპერატურაზე, რომლის დროსაც არ ხდებოდა ანგობისა და თვით ჭურჭლის კეცის შედუღება, რის შედეგადაც ანგობის ატკეცა ჭურჭლის ზედაპირიდან ადვილი იყო. ხოვლური დოქის ფრაგმენტს, რომელსაც კარგად გაპრიალებული მოყვითალო ზედაპირი (ანგობი) აქვს, ერთ ადგილას ატკეცილი აქვს ანგობი, რომლის ქვეშაც ნათლად ჩანს საკუთრივ ჭურჭლის წითლადგამომწვარი კეცი წვრილი კონცენტრული ღარებით (ჩარხზე ნაკეთობის კვალი).

ჩემი აზრით, კულტურულ ელემენტთა ერთიანობის ეს ფაქტები, მით უმეტეს გამოხატული კერამიკული წარმოების დარგში, არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ახალი მოვლენები, ამ მხრივ, რაც მოწმდება ხოვლე III პერიოდიდან, უნდა მიუთითებდეს ურარტული კულტურის გავლენაზე, კონკრეტულად კი, ვფიქრობთ, იმაზე, რომ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ხოვლე III პერიოდში იმ ეთნიკური ელემენტის ინფილტრაცია აბორიგენულ მოსახლეობაში, რომელიც თავის დროზე ურარტული კულტურის ორბიტაში იყო მოქცეული. როგორც ცნობილია თეიშებაინის ციხე-ქალაქი (კარმირ-ბლური) VII საუკუნეშია აგებული ურარტუს მეფის რუსა არგიშთის ძის დროს( ძვ. წ. 685—645 წწ.)[71]. ამ ციხე-ქალაქმა იარსება ძვ. წ. VI ს-ის 80-იან წლებამდე (როდესაც იგი ძალდატანებით იქნა დანგრეული), რის შემდეგაც აქ ცხოვრება აღარ განახლებულა[72]. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ გათხრების დროს შიდა-ციხის საწყობებში აღმოჩენილი ბრინჯაოს საგნები ყველა ძვ. წ-ის VIII ს-საა[73]. თვით კულტურული ფენა ძირითადად ძვ. წ. VII ს-ეს და VI ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. ეს გარემოება, თავის მხრივ, ამაგრებს ხოვლე III პერიოდის დათარიღებას ძვ. წ. VI ს-ით[74].

---

[70] Б. Б. Пиотровский, Ванское царство, с. 193.

[71] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, I, с. 20—21; მისივე, Ванское царство, с. 113—114.

[72] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, I, с. 96; მისივე, Ванское царство, с. 115—116; В. С. Сорокин, Раскопки древнего поселения, с. 83.

[73] Б. Б. Пиотровский, Кармир-блур, II, с. 9.

[74] აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებული წითლადგამომწვარი კერამიკა აღმოჩენილი კარმირ-ბლურის ნაქალაქარზე და ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში ყველა მკლევრის მიერ „ურარტულ კერამიკადაა“ აღიარებული და ამდენად თვით ურარტელების ნაწარმად ითვლება. ამასთანავე ა. მარტიროსიანის აზრით, «урартская керамика не нашла никакого распространения в аборигенной среде Кавказа» (იხ. მისი, Город Тейшебаини, с. 99). თუ ეს, მართლაც, ასეა, მაშინ ჩვენ ხოვლე III პერიოდში საკუთრივ ურარტელთა ინფილტრაცია უნდა გვეგულისხმა. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ a priori, რომ შეუძლებელია ურარტულ მაღალი დონის კერამიკულ წარმოებას არავითარი გავლენა არ მოეხდინა ადგილობრივ ხელოსნურ წარმოებაზე, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი მატერიალური კულტურის ელემენტების გავლენა (თვით კერამიკულ წარმოებაშიც კი) ურარტულზე დადასტურებულია (იხ. იქვე, გვ. 75, აგრეთვე, В. С. Сорокин, დასახ. ნაშრომი, გვ. 81—83). მეორე მხრივ, თვით ა. მარტიროსიანი, თავისივე მოსაზრების საწინააღმდეგოდ, აღნიშნავს წითლად გამომწვარ (охракрасного цвета) ადგილობრივ კერამიკას „წარჩინებული ურარტელის სახლიდან“ კარმირ-ბლურის ნაქალაქარში და ამ უკანასკნელის დანგრევის შემდეგ აქ მოწყობილ ადრესომხური სამაროვნის (ძვ. წ. V—IV სს.) ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილ ჭურჭელს, რომელიც «представлял собой комбинацию двух миниатюрных шаровидных горшочков, покрытых красным ангобом. Совершенно тождественные, покрытые красным ангобом двоинные сосудики попадаются довольно часто при раскопках помещений цитадели города Тейшебаини (А. А. Мартиросян, Город Тейшебаини, с. 149).

ხოვლე II პერიოდში, ან უკეთ, როგორ ჩანს, ხოვლე III-ის ბოლო ფაზიდან ჩვენ ახალ კულტურულ ელემენტებს ვადასტურებთ, რასაც ვერ დავუკავშირებთ ურარტულ სამყაროს.

ეს არის პირველ რიგში, მილიანი ხელადები ანუ ჩაიდნისებური ჭურჭელი, რომელიც სრულიად არ არის დამახასიათებელი ურარტული კერამიკული ნაწარმისათვის. მაშასადამე, მათ გავრცელებას ხოვლე II-ში ვერ მივაწერთ ურარტულ გავლენას. მეორე მხრივ, არც ამ ჭურჭლისთვის გვაქვს სათანადო ფაქტები რომ იგი გენეტიკურად ხოვლეს ძველი ჰორიზონტების კერამიკას დავუკავშიროთ.

ბუნებრივია, ამიტომ, აქაც გარეშე გავლენა ვიგულისხმოთ და ვეძიოთ კიდეც, ოღონდ ურარტუს გარეშე. ფაქტები კვლავ სამხრეთისაკენ გვეწევიან. მართლაც, ასეთ ჭურჭელს ჩვენ ვხვდებით აქემენიდურ სამყაროში, რომელიც პოლიტიკურად და კულტურულად, სხვასთან ერთად, ურარტუს სახელმწიფოს მემკვიდრეც იყო.

კერძოდ, ერანის უძველესი სახელმწიფოს ერთ-ერთ ცენტრში, სუზაში, საცა ამ უკანასკნელ ხანებში სპარსულ-აქემენიდური ხანის ნასოფლარი გაითხარა, ასეთი ჩაიდნისებური ჭურჭლის სხვადასხვა ვარიანტებია დადასტურებული: ჩვეულებრივი, მოხატული და მოჭიქული.

განსაკუთრებით დამახასიათებელია იგი, როგორც ჩანს, სუზის ნასოფლარის I ჰორიზონტისათვის, რომელიც ძვ. წ. VII—VI სს-ით თარიღდება. აქ გვხვდება წაბლისფერ-მოწითალოდ გამომწვარი სფერული უსახელურო ჭურჭელი კონიკური ან ცილინდრული მილით, რომლის პირიც ზოგჯერ ძაბრისებურადაა გადაშლილი (შდ. № 989— S ხოვლე II)[75]. ერთი მოხატული ასეთი ჭურჭლის მილი ვერტიკალურადაა დასმული და სამყურა ბალახის ფოთლისებური პირი აქვს[76] (შდ. № 973— S, ხოვლე II). მეორე, მოჭიქული, მაღალი და ფართოპირიანი ხელადა, შემკული რელიეფური ვოლიუტებით ფორმით ძალიან მიაგავს ხოვლეს სამხრეთი ნასოფლარის ერთ-ერთ ასეთ ჭურჭელს (№ $1239_2$ — S). მხოლოდ სუზისეულის მილი მიერთებულია პირთან პატარა „ხიდის“ საშუალებით[77].

ჩაიდნისებური ჭურჭელი სუზას ნასოფლარის II ჰორიზონტშიაც გვხვდება, რომელიც ძვ. წ. VI—V სს-ით თარიღდება. აქ აღმოჩნდა ორი ასეთი შავლეგად გამომწვარი ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელთაგან ერთის მილი, სამყურა ბალახის ფოთლისებური პირით, ასეთივე ხოვლური ცალების ანალოგიურია[78]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე დონეზეა აღმოჩენილი ტუჩიანი (სამყურა ბალახის ფოთლის ფორმის) ხელადის პირის ფრაგმენტი და აგრეთვე ხოვლური V პერიოდის მსგავსი სადგარი, რომელიც რ. გირშმანის აზრით იხმარებოდა ძირწვეტიანი, არამდგრადი ჭურჭლებისათვის[79].

სუზას ნასოფლარის III ჰორიზონტმა მხოლოდ ერთი შავლეგად გამომწვა-

---

[75] R. Ghirshman, Village perse-achémenide. Mémoires de la Mission Archéologique en Iran, t. XXXVI, Mission de Susiane, 1954, p. 23, pl. XXIX, G. S. 1206 b; G. S. 957; G. S. 956.

[76] R. Ghirshman, დასახ. ნაშრ. გვ. 24—25, ტაბ. XXXII, G. S. 787.

[77] იქვე, გვ. 24, ტაბ. XXXI, G. S. 2394.

[78] იქვე, გვ 27 ტაბ. XXXVIII, G. S. 1221 c.

[79] იქვე, G. S. 1221 d; G. S. 1212.

რი მილიანი ხელადის ფრაგმენტი შემოინახა[80]. ეს ჰორიზონტი ძვ. წ. V—IV ს-ის დასაწყისით თარიღდება[81].

ჩაიდნისებური ხელადები აღმოჩენილია აქემენიდური სამყაროს სხვა ცენტრებში, კერძოდ, პერსეპოლისში[82] და პასარგადში[83] და ერანული არქეოლოგიის სპეციალისტის აზრით დამახასიათებელია, სწორედ არქაული აქემენიდური კერამიკული ნაწარმისათვის[84].

ამავე ურთიერთობის მაჩვენებელი უნდა იყოს ძირწვეტიანი ქილების(?) ფრაგმენტები აღმოჩენილი ხოვლეგორის სამხრეთი ნასოფლარის კულტურულ ფენაში (№ 740—S ხოვლე III ჰორიზონტი, № 1200—S ხოვლე II ჰორიზონტი). ამათგან პირველი ფრაგმენტი ნასოფლარის II სტრატიგრაფიული ფენის № 1 შენობის იატაკზე აღმოჩნდა. ეს შენობა რომელშიც ნაპოვნი იქნა აგრეთვე ბერძნული შავფიგურიანი კერამიკის ნატეხი, დათარიღებული ძვ. წ. VI ს-ის უკანასკნელი მესამედით, ამდენად, ხოვლე III პერიოდის ბოლო ფაზას უნდა ეკუთვნოდეს.

ასეთი ძირწვეტიანი ქილები ცნობილია კვლავ აქემენიდური სამყაროდან, კერძოდ კი პერსეპოლისიდან[85] და სუზას ზემოხსენებული ნასოფლარიდან, საცა იგი ტრანსფორმაციას განიცდის მაღალყელიანი მკვეთრად ძირწვეტიანი ფორმიდან I ჰორიზონტში[86], დაბალყელიანი, ნაკლებად წაწვეტებული ძირის ფორმით II ჰორიზონტში[87], ვიდრე სრულიად ბრტყელძირიან ქილამდე (III ჰორიზონტი), რომელიც ზედმიწევნით მიაგავს ურარტულ ე. წ. „სიგარისებურ“ ჭურჭელს, რომლისგანაც მხოლოდ ზომის სიმცირით განსხვავდება[88]. ასე, რომ ხოვლე II პერიოდში დადასტურებული „სიგარისებური“ ჭურჭლის ფრაგმენტები, შესაძლებელია, ნაწილობრივ მაინც ამ კონტექსტში უნდა იყოს განსახილველი.

ამგვარად, ის ახალი ელემენტები, რომლებიც ხოვლე II და ნაწილობრივ, როგორც ჩანს, ხოვლე III (მისი ბოლო ფაზა) პერიოდიდან დასტურდება კერამიკულ წარმოებაში აშკარად მიუთითებს ურთიერთობაზე ერანულ სამყაროსთან.

არ არის აუცილებელი და, მე ვფიქრობ, ხოვლე II პერიოდის მონაცემები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ზემოხსენებული ურთიერთობის ფაქტი გადაჭარბებით შევაფასოთ და იმგვარადვე ავხსნათ, როგორადაც ხოვლე III პერიოდის ურარტულ სამყაროსთან ურთიერთობა ავხსენით. ყველაფერი ეს ამ შემთხვევაში უფრო მარტივად შეიძლება წარმოვიდგინოთ კულტურული და სავაჭრო ურთიერთობის საფუძველზე, მით უმეტეს, რომ ჩვენ აქ, ხოვლეში, ფაქტიურად, ადგილობრივი კერამიკა გვაქვს, წარმოების ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ტექნიკის საფუძველზე დამზადებული (დაწმენდილი თიხა,

---

[80] R. Ghirshman, დასახ. ნაშრ., გვ. 28, ტაბ. XL, G. S. 2372.

[81] იქვე, გვ. 20.

[82] იქვე, გვ. 62; მისივე, Iran from the earliest time to the islamic conquest, 1954, p. 184, fig. 72; Erich Schmidt, Persepolis, II, Chicago, 1957, p. 96, pl. $72_{11}$; pl. $73_{1}$.

[83] R. Ghirshman, Village..., გვ. 62, ტაბ. $XXIV_{6}$.

[84] იქვე, გვ. 62.

[85] R. Ghirshman, Iran..., p. 184, fig. 72; მისივე, Village..., p. 62. E. Schmidt, Persepolis, II, p. 96, pl. $71_{13}$; $72_{17}$.

[86] R. Ghirshman, Village..., p. 22, pl. XXVII, G. S. 2383; pl. $XI_{6}$; $IX_{3-4}$.

[87] იქვე გვ. 25, ტაბ. XXXV, G. S. 948, 949, ტაბ. $XII_{7}$.

[88] იქვე, გვ. 27, ტაბ. XXXIX, G. S. 2155, 2156, 1240 და ტაბ. $XII_{4-5}$.

წითლადგამომწვარი და წითლადშეღებილი კეცი), რომელიც აშკარად განსხვავდება აქემენიდურისაგან, რამდენადაც, მაგალითად, სუზას ნასოფლარის I ჰორიზონტის ჩვეულებრივი კერამიკა (და არა მოხატული ან მოჭიქული) რომელსაც მიეკუთვნება ამ დონის მილიანი ჭურჭლების დიდი ნაწილი და აგრეთვე ძირწვეტიანი ჭილები საკმაოდ უხეშია ცუდად დაწმენდილი თიხისა, ცუდადგამომწვარი, ხოლო II და III ჰორიზონტების ეს ჭურჭლეული კი (ჩაიდნისებური), როგორც ვიცით, შავლეგად გამომწვარია.

მეორე მხრივ, აქემენიდური ერანის სახელმწიფოს შექმნამ კიროსის მიერ (ძვ. წ. 559—530 წწ.) და განსაკუთრებით დარიოსის (ძვ. წ. 522—486 წწ.) ცნობილმა ადმინისტრაციულმა რეფორმებმა უაღრესად შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას. კომერციულ ურთიერთობაში ჩაება ისეთი ქვეყნები, რომელთაც ადრე არავითარი აღებ-მიცემა ერთმანეთში არ ჰქონია[89]. სავაჭრო ურთიერთობის მოცულობამ VI და V ძვ. წ. სს-ში გადააჭარბა ყველაფერს, რაც კი მანამდე ცნობილი იყო ძველ აღმოსავლეთში და, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია, ძვირფასი საგნების გარდა, რომლითაც ისაზღვრებოდა ადრინდელი ურთიერთობა, სავაჭრო მიმოქცევა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ პროდუქციასაც შეეხო[90].

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ძნელი არ იყო აქემენიდურ კერამიკას ამიერკავკასიაშიც გასცნობოდნენ და მისი მიმბაძველობით ადგილობრივი ჭურჭელი დაემზადებინათ. შესაძლებელია ამავე რიგის მოწმობა იყოს ხოვლეს II ჰორიზონტში აღმოჩენილი ქვის ჭურჭლის ერთადერთი ფრაგმენტი (№ $1352_1$), რამდენადაც სწორედ აქემენიდურ ეპოქაში ქვის ჭურჭლის წარმოება ფრიად გავრცელებული იყო[91]. დაბოლოს ხოვლე II პერიოდის აქემენიდურ ერანთან კულტურულ ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს ამ ჰორიზონტში აღმოჩენილი ბრინჯაოს პატარა ქანდაკება შიშველი ქალისა, რომელსაც დამახასიათებელი პოზის მიხედვით „უბიწო ვენუსს“ (Venus pudique) უწოდებენ.

მართალია, ს. ტოლსტოი, რომელმაც ასეთი ტერაკოტული ქანდაკებები დაამოწმა ძველი ხორეზმის ტერიტორიაზე (ჯანბას-კალა), როგორც ჩანს, ჭუშანურ პერიოდში (I—III სს.), მათ გენეტიკურად ელინურ სამყაროს უკავშირებს, სადაც მას აფროდიტეს უძველესი ამგვარი ქანდაკება ძვ. წ. IV ს. ბოლოსთვის ეგულება და კატეგორიულად აცხადებს, რომ ქანდაკების დამახასიათებელი ჟესტი სრულიად უცხოა ძველაღმოსავლური ტრადიციისათვის[92], მაგრამ ნადმვილად იგი, როგორც ჩანს, სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება.

ძველ აღმოსავლეთში ქალღმერთის ასეთი ფიგურა ძვ. წ .I ათასწლეულის დასაწყისიდანაა დადასტურებული. რ. გირშმანის მიხედვით „უბიწო ვენუსი“ ერანის ტერიტორიაზე ძვ. წ. VII ს-ზე უფრო ადრე არ არის ცნობილი[93]. კერძოდ, იგი გვხვდება ლურისტანული ბრინჯაოს ნივთების კომპლექსში[94], რომლის დიდ ნაწილს იგივე მეცნიერი ძვ. წ. VIII ან VII ს. ანდა კიდევ უფრო

---

[89] R. Ghirshman, Iran..., p. 185.
[90] იქვე, გვ. 186.
[91] R. Ghirshman, Village..., p. 35—36.
[92] С. П. Толстой, Древний Хорезм, М., 1948, с. 199, таб. 74.
[93] R. Ghirshman, დასახ. ნაშრ., გვ. 57.
[94] იქვე, ტაბ. $XVI_7$.

გვიანი დროით ათარიღებს[95]. სუზაში ქალღმერთის ზემოხსენებული ტერაკოტული ფიგურები ძვ. წ. VI—V სს-ში ჩნდება პირველად (ნასოფლარის II დონე)[96]. აქ მათი არსებობის პერიოდი, როგორც ჩანს, არ იყო ხანგრძლივი, რადგან პართულ-სელევკიდური ნამოსახლარის მრავალრიცხოვან ქანდაკებებში არც ერთს აღარ აქვს მათთვის დამახასიათებელი ჟესტი[97].

ამგვარად, თუ ზემოხსენებული მოსაზრებები სწორია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხოვლეში ახალი კულტურული ნაკადების შემოჭრა-ინფილტრაციის პროცესი ორ ეტაპად, ორ ტალღად ხორციელდებოდა: პირველი, ძირითადად, III პერიოდში, მეორე — II პერიოდში. პირველის შემომტანნი იყვნენ ურარტული სამყაროდან წამოსული ტომები; მეორე კი იყო შედეგი აქემენიდურ სამყაროსთან გაცხოველებული სავაჭრო-კულტურული ურთიერთობისა. საამისო პირობები საერთაშორისო ასპარეზზე ორივე ხანისათვის, რა თქმა უნდა, არსებობდა: ძვ. წ. VII ს-ის ბოლოსა და VI ს-ის დასაწყისში ურარტუს სახელმწიფოს ნგრევასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ამოძრავებულიყო და ამოძრავდა კიდეც ხალხთა დიდი მასები; VI ს-ის მეორე ნახევარსა და V ს-ის დასაწყისში კი, როგორც დავრწმუნდით, იმდროინდელ მსოფლიოში მანამდე არნახულ განვითარებას მიაღწია სახელმწიფოთა შორის ეკონომიურმა და კულტურულმა გაცვლა-გამოცვლამ.

ბე, რასაკვირველია კარგად ვგრძნობ, რომ ზემოხსენებული მოსაზრებები რამდენადმე გაზვიადებული ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ აქ ხოვლე — ერთი მცირე ნამოსახლარი — ასე ვთქვათ, უპირისპირდება ურარტულ და აქემენიდურ სამყაროებს და ჩვენ არ გვაქვს სხვაგნით მომდინარე მსგავსი მასალა, რომელიც დაადასტურებდა ამას[98]. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს აგრეთვე მასალა, რომელიც უარჰყოფდა ან სხვაგვარად დასვამდა იმავე საკითხებს. ეს გარემოება, ჩემი აზრით, ამ უაღრესად საინტერესო პერიოდის ჩვენი არქეოლოგიის უპოვარებით უნდა აიხსნას. ამიტომ, ჯერჯერობით იძულებულნი ვართ მხოლოდ ხოვლეს განათხარს დავჯერდეთ, ხოლო ეს უკანასკნელი კი შეიცავს იმდენად მხოლაზროვან და ფრიად ნიშანდობლივ მონაცემებს, რომ მაბედინებს საკითხის ამგვარად დასმას[99].

ხოვლე II პერიოდი, როგორც ვიცით, დაახლოებით ძვ. წ. V—IV სს-თა მიჯნაზე კატასტროფით მთავრდება. ვინ იყო ამ კატასტროფის მომქმედი ძნე-

---

[95] R. Ghirshman, Iran..., p. 105—106.

